

მურმან ზაჟარაია



„პატარა აღამიანთა“
ძლიერი გზნება

მურმან ზაქარაია

„პატარა ადამიანი“
ძლიერი გზება



გამომცემლობა „კნიგების დოკუმენტი“
თბილისი 2022

ამ ესეისტურ შრომაში შევეცადეთ იმ შიდა არსის მოძიებას, რომელიც დავით კლდიაშვილის შემოქმედების ქვეტექსტებში ასე უხვადაა „ჩატენილი“ ე. ი. „ქვეფერულად“ მიდევნებული აზრების წვდენას ამ „ერთიანი წიგნისას“... „დგენას“ იმისას, რისი არსებობისაც ნაკლებად სჯეროდათ და ნარმოედგინათ მკითხველთა ფართო წრეს.

ავტორი

რედაქტორი: **ჯემალ შონია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თეა შონია**

© მ. ზაქარიას, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკას №4, ჟ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-214-2

ნინასითყვაობა

მხატვრული შემოქმედების „ჩხრეკა“, როგორც უცხო გავლენით ჩვეულებრივ ვუწოდებთ, კრიტიკა, იმპულსს იძლევა იმისას, რომ ორიენტირება მოვახდინოთ მნერლის შემოქმედების საზრისმომცველობით ასპექტებზე იმ ადგილიდან და დროიდან, რომელშიც ვიმყოფებით, შევძლოთ იმის აღქმა, თუ რამდენად შეძლო ავტორმა პასუხი გაეცა „ადამიანის ყველაზე მწვავე საკითხზე, მის ყოფიერების საკითხზე“ (რ. ბულტმანი).

ვინაიდან ღირებულებითი შეფასებით და მიზანდასახულობით პრობლემათა რკვევა ადამიანთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია, უფრო მისი თვისებაა, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად სწორად აღიქვამდნენ თაობები ავტორისეულ ჩანაფიქრსა და მიზანდასახულობას. სწორედ ამ ღირებულებით პრობლემებზე გვიხდება მსჯელობა ამ მოკლე ნაშრომში, რომლის დაწერასაც, სრულიად შემთხვევით ბიძგი მისცა ერთმა ტელელექციიმ (რამდენადაც მივხვდი, შემოკლებულმა, განმეორებითმა ჩვენებამ), რომელიც გადიოდა, მართალია, რამდენადმე „სექტანტური“, მაგრამ მაინც ბევრი რამით პროგრესული არხით – „არტარეა“. მოცემულ შემთხვევაში ის ფონად იქნა გამოყენებული.

* * *

დავით კლდიაშვილის სიცოცხლეშივე კლასიკად ქცეულ შემოქმედებაზე მსჯელობისას ჩვენ შევეცადეთ, მის მიმართ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის ლოგიკიდან გამომდინარე, იმ შტრიხ-კოდების მოძიებასა და გახსნას, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიერ, განზე რჩებოდა ფართო მკითხველ საზოგადოებას თუ კრიტიკას.

ამ ღრმად ჰუმანურ შემოქმედებაში, წმინდად სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ მოტივებს მიღმა, ძალზე ხშირად შეუმჩნეველი ხდებოდა ის ეროვნულ-პატრიოტული განწყობანი, რომლის მატარებელნიც იყვნენ რუსული – ახალი წესრიგის შედე-

გად გაღატაკებული ეს აზნაურები. უკვე ეს შეგრძნება გარეშე ძალის ზემოქმედებისა ქმნიდა იმ ფსიქოზნეობრივ გარემოს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავდა ეროვნულ-პატრიოტული მუხტი და აღავსებდა მათ აზნაურულ-მამულიშვილურ ლირსებას, რაც, იმ უკიდურესად კრიზისულ სიტუაციაში, ხასიათის ახირებულობის სახით გამოჩნდებოდა ხოლმე ყოველდღიურობაში. სინამდვილეში, ეს იყო ჩვენს გენეტიკაში მოცემული იმ მეორებული სულის გამოხატილი, რომელიც ყოველგვარ ბრძოლაში მათ მეწინავეობისკენ უბიძგებდა.

მის მოთხოვნებსა თუ პიესებში, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, ვერსად იპოვით მიწიშვილისეულ ხელჩაქნეულობას, რომ, თითქოსდა, საქართველო პასიური მოვლენაა, უენერგიო, „გარეშეებზე“ დამოკიდებული. აქ ყველანი მოქმედებენ, ფუსფუსებენ, სულდგმულობენ; აქ „დუმილიც ხმაურობს“; მაშასადამე, კოლონიალიზმის ულელქვეშ მგმინავი ხალხის ფსიქოკულტურული წყობის შიგნით ცირკულირებს უშრეტი სულიერი ენერგია; ყველან გამოსჭვივის ჭეშმარიტი ნიჭი ლირსებისა.

* * *

ეროვნული სულიერების გამოხატულება შეიგრძნობა მისი შემოქმედების ღრმად კომედიურ (არა პამფლეტურ-სატირული) სტილში. კარგი კომედია – ეს ცოცხალი სურათია ნაციის ცხოვრების შინაგანი არსის გამოხატვისა, მხიარულ-სასაცილო თუ ტრაგიკომიკური სახით. ამასთან ერთად, ჩვენ ვწვდებით არა მარტო მის ეროვნულ საზრისმომცველობას, არამედ ამ ხასიათების ზოგადადამიანურ თვისებათა მოცემულობებსაც.

ტრაგიკულისა და კომიკურის ერთობლიობაში განცდა წარმოადგენს მოდგმის გენოკულტურის, მისი ნაციონალური ბუნების სრულყოფილად წარმოჩნდის საშუალებას. მაშასადამე, კლდიაშვილის შემოქმედებაში თავისთავად მოიაზრება ეროვნულ-პატრიოტული მოტივი.

ამასთან, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, როგორც

აკ. განერელია მიუთითებდა, იმ შინაარსის მოძიება, რომელიც „მთლიანად ქვეტექსტშია ჩატენილი“; იმ უთქმელისა და ნიუანსების გაგება, მკითხველისთვის რომ მიუნდვია ავტორს, ფილოსოფიური თუ ირაციონალური ჭვრეტის საშუალებით თითქმის ფატალურ, გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეულ გმირთა მისტიკურობამდე მისულ ცნობიერებაში წვდომა და, შესაბამისად, ამ უკიდურესად მძიმე კრიზისული ვითარების მიზეზ-შედეგობრიობის გააზრება.

ამ ესეისტურ შრომის მიზანზე გრ. რობაქიძის მეტასიბრძნის მოხმობით შეიძლება ვთქვათ: „საჭირო იყო: „ხილვა“ საიდუმლოთა და „ხილვა“ როგორც „წვდენა“ სიღრმესი და „წვდენა“ როგორც უშუალოდ „დგენა“ ხილულისა“... (ქართული სიტყვიერება, გრიგოლ რობაქიძე, თბ. 2012). მიზანი მიღწეული იქნება, თუკი კლდიაშვილის „ახალი“ მკითხველი, თუ მისი „ახლებურად“ წაკითხვის მცდელი (ეს, ალბათ, მხატვრული შემოქმედების სხვა ყველა ნიმუშსაც მიესადაგება). ამასთან ერთად, გაითვალისწინებს მის მეორე რჩევასაც: „წიგნის კითხვისას არ გაუშვას გონებიდან ერთი ლიად ართქმული, ხოლო ქვეფერულად გაყვანილი აზრი“.

* * *

ამდენად, „ქვეფერულად“ მიღევნებული აზრების სუბიექტური (ირაციონალური) ჭვრეტის მეოხებით, შევეცადეთ „წვდენას“ სიღრმისას ამ „ერთიანი წიგნისას“ და „დგენას“ იმისას, რისი არსებობისაც ნაკლებად სჯეროდათ და წარმოედგინათ მკითხველთ.

ვინაიდან „ნამდვილი სიღრმე გამჭვირვალეა“ (პ. ვალერი), აღმოვაჩინეთ, რომ:

1) სოციალურ და ეთნომორალურ გააზრებებს მიღმა აშკარად იკვეთება ეროვნული თავისუფლებისკენ მიმსწრაფი ცნობიერების ნაკვალევი (მოტივი);

2) იმერული „ცხოვრების კომედიის“ ამ მაღალმხატვრულ

„აღნერაში“ მთელი სისრულით გამოიხატა ერის შინაგანი არსი, რომელიც ამ სიღრმისეული გამჭვირვალობის პრიზმაში გარდატყველება პატრიოტულ (პატრიციულ, მამობრივ) გრძნობაში (მოტივში);

3) კლდიაშვილის შემოქმედების ტრადიციულ გააზრებებთან ამ ორი გენური გზნების (პატრიოტული და ეროვნული თავისუფლების) მიერთება და მათი ფილოსოფიურ-რაციონალურ კონტექსტში გააზრება გვიდასტურებს ამ „მცირე“ შემოქმედების – „ერთიანი წიგნის“ „პატარა ადამიანთა“ გალერეას აქვს უნარი, იყოს ნათესაურ კავშირში: а) ადამიანური სიტყვით გამოთქმული უდიადესი აზრის, – სერვანტების „დონ კიხოტის“ გმირებთან და მის საკაცობრიო ჰუმანიზმთან; და ბ) წარსულის, აწმყოს და მომავლის ყველაზე დიდი რეალისტის (ენგელსი) ბალზაკის რეალიზმთან, ვინაიდან მისი გმირების სოციალური და ფსიქომორალური განწყობა, მათი სულიერ-ირაციონალური ცნობიერება იძლევა შესაძლებლობას, მთელი ეს შემოქმედებითი სამყარო შეკრას და შეათანხმოს ერთმანეთთან, ერთი მთლიანი წიგნის სახით;

4) მსოფლიო ჰუმანიზმისა და რეალიზმის მამამთავრების ქმნილებებთან დ. კლდიაშვილის შემოქმედების „ნათესაური“ კავშირის არსებობის დაშვებულობის ძიება შესაძლებელია მის-ტიკურ-ირაციონალურ (მეტაფიზიკურ) გააზრებათა გზით;

და ბოლოს:

5) „არტარეას“ ერთ-ერთი ლექციის (გადაცემის) მიმართ გამოთქმული რეპლიკის ფონზე, ჩვენი დღევანდელი კრიზისული ცნობიერების გამოვლინება და ქართველი კაცის ხასიათსა და მის ბუნებაზე შეთხზული ცრუ იდეათა კრიტიკა (ჩვენი დღევანდელი რეალობის – დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი პროცესის – გააზრებით) ორ ანტიპოდურ წარმოდგენათა შუქზე.

თავი I

რეალიტა „არტარეას“ ერთ ტელელექციაზე

1. რეპლიკის წინაისტორია

აპრილის შუა რიცხვებში¹ გასული ეს ტელელექცია, რამდენადაც მივხვდი (ვინაიდან მხოლოდ გაკვრით ითქვა), ეძღვნებოდა დავით კლდიაშვილის მოთხოვნის „სამანიშვილის დედინაცვალის“ გერმანულად თარგმნას.

ლექციას ორი წამყვანი უძლვებოდა, – კაცი და ქალი, (მათი სახელები არ გაულერებულა), როგორც დავასკვენი, რომელიდაც სამწერლობო-სალიტერატურო „კლანის“ წარმომადგენელი. ჩვენც იძულებულნი ვართ, ეს „ძალად ანონიმურობა“ დავიცვათ.

ახალგაზრდა კაცი, ყოველგვარი მიეთმოეთის გარეშე, პირდაპირი ტექსტით აცხადებდა: ჩვენ ავირჩიეთ მწერალი, რომელიც არაა სათანადოდ დაფასებული. ის ბრალს სდებდა ქართულ მკითხველ საზოგადოებას, რომ მისი შემოქმედება არასწორად არის გაგებული. მისი თქმით, ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ მას თვლიან ოდენ იმერელ იუმორისტად; მხოლოდ მის გმირთა კომიკურ მხარეებზე აკეთებენ აქცენტს; მიაჩნიათ, მწერალი მიზანდასახულად დასცინის იმერელ აზნაურს, ე. წ. „შემოდგომის აზნაურებს“ და ა. შ.

ქალბატონი ლექტორი ზურგს უმაგრებს თავის კოლეგას და აგრძელებს ამ „ლრმაზროვან კრიტიკას“. ის იწყებს, როგორც ეს შეშვენის ჩვენი ამ კულტურული დეკადანსის „კუდაბზიკურ ხანას“, დასავლური ლიტერატურისა და მწერლობის „ლრმა ცოდნის“ დემონსტრირებით. მაგალითისთვის მოჰყავს სტეინბეკის ერთი შენიშვნა მისი გმირებისადმი საზოგადოების (მკითხველის, კრიტიკის...) არასწორი მიდგომის თაობაზე, რომ

¹ 2020 წლის.

ბევრს მისი შემოქმედება წარმოუდგენია, როგორც დაცინვა ცხოვრებისაგან გარიყული, გაუბედურებული, მარგინალური ელემენტებისადმი, რითაც ხალხი ხალისობს და ა.შ. სინამდვილეში მე არავის დავცინი, ასეთი წარმოდგენის გამო ბოლოშს ვუხდი ჩემს გმირებსო. ამის შემდეგ ლექტორი ლოგიკურად გადადის დავით კლდიაშვილის ცნობილ გამონათქვამზე თავისი გმირების მიმართ ზოგიერთთა დამოკიდებულების გამო, – „მე არასდროს არავისთვის არ დამიცინიაო“ (ამაზე ჩვენ თავის ადგილას გვექნება მსჯელობა).

მოცემულ შემთხვევაში, ეს ძალზე სწორი შედარებაა, რომ არა მის უკან შეფარებით მომზირალი მიზანი, რომ, თითქოსდა, დავით კლდიაშვილის შემოქმედებისადმი წინა თაობების დამოკიდებულება ძირშივე არასწორი იყო; მისი არა გაეგებოდათ რა, თვინიერ მათი, ვინაც თითო-ოროლა ევროამერიკული ლიტერატურული ტექსტის გადაკითხვა რომ მოასწრო. მხოლოდ მათ ძალუძთ, ეს დაჩაგრული ავტორი, მისი მივიწყებული შემოქმედება გამოაცოცხლონ და შესაფერისად დააფასონ.

რა სჯობია ასეთ კეთილ მიზანსწრაფვას, მაგრამ კეთილი საქმე სიცრუითა და კუდაბზიკობით ვერ მიიღწევა. აქ კი რამდენი საზრისმატარებელი სიტყვა და აზრია, უფრო სწორად, გამოითქვა იმ ლექციაზე, იმდენი კითხვა ისმევა, იმდენივე ნებსითი თუ უნებლიერ შეცდომაა დაშვებული.

ამ შესავალი მონოლოგების შემდეგ ახალგაზრდა კაცი, იმავე შემტევი სტილით, როგორითაც დაიწყო, აკხადებს: დავით კლდიაშვილს – ქართველ მწერალს, არ გაუმართლა, ვერ გასცდა საქართველოს ფარგლებს. საუკუნეთა მიჯნაზე აქ დულილია, კლდიაშვილს, მის შემოქმედებას ვერ (არ) აღიქვამენ და ა. შ. შემდეგ ეხება საბჭოთა ეპოქაში მწერლობის იდეოლოგიზების საკითხს, ალბათ, სწორადაც, და მის გავლენას დაკლდიაშვილის შემოქმედების გააზრებაში. მისი თქმით, იდეოლოგიზებული კრიტიკის პროცესი და კლდიაშვილსაც შეეხო და

დააზიანა მისი დიდი შემოქმედება. ჩვენს მწერლობაში არავინ გვყავს მისი მსგავსი, **თუნდაც ილია**. ის განცალკევებით დგას. ილია „კაცია-ადამიანში?!” მიზანმიმართულად აგრძელებს თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს შემოქმედებითად. დავითი კი სხვაა: მართალია, სამიზნე აქაც თავადაზნაურობაა, გაღატაკებულნი, დაბეჩავებულნი და ა.შ., მაგრამ მწერლის მიღებომა მათდამი განსაკუთრებულია.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ – აგრძელებს იგი, ერთ დიდ ნაწილში, სიცილ-ხარხარია, შეიძლება ითქვას, ცანცარობაა, მაგრამ ტექსტის ტრაგიკული ნაწილი იწყება სულ სხვა სტილით, უეცრად, მოკვეთით გადადის მწერალი მასზე, არა ისე, როგორც ამას აკეთებენ სხვები, რომ გაიპრანჭებიან (?!)... ის ამას ძალიან მარტივად აღწევს. აჩქარებულად გადადის იუ-მორიდან ტრაგედიაზე... მშერს ... ეს ბუნებრვი ნიჭია და ა. შ.

მოსაზრებას დ. კლდიაშვილის შემოქმედების „სიმარტივეზე“ თავისებურად ამაგრებს ქალბატონი ლექტორი. ის ბრძანებს: „სასტიკად არ მიყვარს, როდესაც ავტორი შეურაცხყოფს მყითხველს, გაუთავებლად მიხსნის სიუჟეტის არსს, რომელიც მან წარმოადგინა და იმ საზრისს, რომელიც უნდა ამოვიკითხო ტექსტში თუ სტრიქონებს მიღმა“. დავით კლდიაშვილი კი წერს მოკლე-მოკლე წინადადებებით, გასაგებად და ა. შ. ამით მან, კლდიაშვილის შემოქმედებაში, გამორიცხა ქვეტექსტები, რაც ძირშივე არასწორია, რაზეც ზემოთაც ითქვა და თხრობის პროცესში კიდევ უფრო დარწმუნდებით. რამდენადაც მახსოვს, ამასთან მიმართებით ახსენა კონსტანტინე გამსახურდია; თუ არ ვცდები, რაღაც ორაზროვნად „კბილი გაკრა“ „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენას“ სტილს, და ეს ყველაფერი – არც მეტი, არც ნაკლები, კლდიაშვილის ალბათ ყველაზე ნაკლებად „დაფასებულ“, „მეორეხარისხოვან“ მოთხოვაზე, „მიქელაზე“ მსჯელობისას.

ამ სტილთა შედარებისა და წერის მანერის უხერხულ საკითხს მეტად რომ არ დავუბრუნდეთ, მით უმეტეს, რომ ის

სცილდება ჩვენი სტატიის მიზანდასახულობას, აქვე მოვიყვან, აკაკი განერელიას შეხედულებას ამ მოკლე-მოკლე წინადაღებებით, გასაგებად წერის (თხრობის) მანერასა და მის „უპირატესობაზე“.

იგი წერს: „დ. კლდიაშვილი დიალოგის დიდი ოსტატია. ეს არის მწერლის მთავარი ხერხი პერსონაჟის დახასიათებისა და ჩვენებისა (როგორც თხრობის ოსტატი, დ. კლდიაშვილი არ არის ძლიერი, – მწერალს დალატობს საღებავები, მისი ენაც უფერულია)“.

მისი მეწყვილე, რა თქმა უნდა, აგრძელებს დაწყებულ თემას ზედმეტ ახსნა-განმარტებაზე – „დაღეჭვაზე“ და, არც მეტი, არც ნაკლები, ისევ მიადგება ილიას: ილია, როცა მიხსნის მისივე ტექსტს, მას თავისი დასახული ამოცანა აქვს. დ. კლდიაშვილს კი არავითარი წინასწარგანზრახული მიზანი (სოციალური, მორალური, მით უმეტეს პოლიტიკური და ა. შ.) არ აქვს (?? – მ. ზ.)... მას ტექსტის „დაღეჭვა“, ე. ი. იმის განმარტება, თუ რას გვასწავლის ეს ტექსტი, არ სჭირდება. ავტორი წმინდადად ლიტერატურულად აღწევს მიზანს... ტრაგედიის აფეთქება ხდება უმწირესი მწერლური ხერხებით. მასთან თითქმის ვერ იპოვით მეტაფორას. დ. კლდიაშვილი არის **ძალზე მკაცრი, დაუნდობელი ავტორი**.

სსრკ-ში მიღებული არასწორი კრიტიკის ფონზე, აგრძელებს ის, ყოველივე ეს განზე რჩებოდათ და მასში ოდენ იუმორისტს ხედავდნენ. მარქსისტული რეალისტური კრიტიკა ცდილობდა, კლდიაშვილის გმირებში დაენახა დიდი სიდუხჭირის შედეგად ადამიანობადკარგული სახეები, რომ სილარიბე აქცევს მათ ურჩხულებად და ა. შ. მაგრამ მწერალი თვითონ არსად უთითებს ამაზე, როგორც ამას აკეთებს **ილიაო**. ასე ზოგადად, თითქმის ჭორაობის დონეზე წარმოუდგენს ის **ახალგაზრდა აუდიტორიას** დ. კლდიაშვილის შემოქმედების საუკუნოვანისტორიას.

ის იქვე უბრუნდება დავითის **სისასტიკეს** თავისი პერსონაჟების მიმართ და მაგალითად მოჰყავს „სამანიშვილის დედი-ნაცვლის“ ბოლო აკორდი, როცა ბეკინა განწირული ხმით ევედ-რება პლატონს, არ გაეყაროს მოხუც მამას: „კი შვილო, კი,... ვინ გეიგონა ჩვენი გაყრა!“ პლატონი ამაზე პასუხობს, „მე შე-მიძრალა ვინმემ?“ ... ეს სისასტიკეა, – ამბობს ლექტორი და გვიხსნის: **ჩვენ, დღევანდელ თაობას, გვიყვარს სისასტიკე** (გა-მოდის, მას და მის თაობას კლდიაშვილთან ეს სისასტიკე აკავ-შირებთ და არა მისი **მორალი და ჰუმანურობა**). მას ამ სიუჟე-ტიდან კიდევ უფრო შორსმიმავალი დასკვნა გამოაქვს. მისი თქმით, ამ ბოლო სიუჟეტში მთავარი ისაა, რომ ავტორი არ მი-მანიშნებს იმაზე, რომელი იმსახურებს თანადგომას ე. ი. მამა თუ შვილი. ეს კი მას აძლევს საშუალებას წყალგაუვალი აქსიო-მური განცხადების გაკეთებისთვის – **დ. კლდიაშვილი დემოკ-რატი მწერალია.**

ჩვენი რეპლიკაც ამ ორ, მათი აზრით, ალბათ, ნეომო-დერნისტულგააზრებას: დავითის შემოქმედებით სისასტიკესა და დემოკრატიულობას შეეხება.

* * *

დაახლოებით ასეთია ამ გადაცემის ძირითადი არსი. რამ-დენადაც მივხვდი, მისი (ლექციის) საბაბი უნდა ყოფილოყო და-ვით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ გერმანულ ენაზე თარგმნა, რომელიც მიუწენის წიგნების ბაზრობაზე ქართული წიგნის დღეების მიმდინარეობისას წარუდგენიათ; რაშიც დიდი შრომა ჩაუდია ბატონ ლექტორს (წამყვანს). მან სასხვათაშორისოდ აღნიშნა, რომ ბევრი უწვალია იმისთვის, რომ გერმანელებისთვის მიახლოებით მაინც გაეგებინებინა ის, თუ რა დონის შემოქმედია დავით კლდიაშვილი. „ამისთვის მო-მიწია მაგალითად მომეყვანა ჩეხოვის შემოქმედება, თუმცა კარგად ვუწყი, რომ აბსოლუტურად მიუღებელია ასეთი შედა-რება“.

ეს ყველაფერი ძალზე სასიხარულოა და მადლობის მეტი ვის რა ეთქმის, რომ გადაცემის ორგანიზატორებს თავიანთი ძალისხმევა ამ მთარგმნელობითი საქმიანობისკენ მიემართათ, ბრძოლის შემდეგ მუშტების ქნევას არ მოჰყოლოდნენ, დღეს უკვე ყველას მიერ „უშიშრად“ დაგმობილი და არავისთვის საინტერესო, შემოქმედების იდეოლოგიზების საბჭოური მეთოდის ხელახლა დაგმობისთვის დრო არ დაეკარგათ. ამით საკუთარ შრომასაც ჩრდილი მიაყენეს (ვერ წარმოაჩინეს სრულად) და ვერც დ. კლდიაშვილის შემოქმედების კრიტიკას შესძინეს ახალი რამე, რაც ამ, მართლაცდა, მაღალ შემოქმედებაში დაფუარულ და დღემდე გაუშიურავ საზრისს დაგვანახვებდა.

2. როიალისტი ბალზაკი და დემოკრატი კლდიაშვილი

დ. კლდიაშვილის შემოქმედება ჯანსაღი კრიტიკის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული და სათანადოდ დაუფასებელი კი არ ყოფილა, როგორც ამას ლექტორები აღნიშნავდნენ, არამედ მას სულიერი შეხების წერტილებს უძებნიდნენ სამყაროს „პირველ“ ჰუმანისტთან – სერვანტესთან, რეალისტური რომანის ფუძემდებელ ბალზაკთან – რომელსაც მთელი საზოგადოების (სამყაროს) დარდი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე... არსებას, რომელიც დიდხანს დაფრინავდა გენის ხილული ფრთებით ხალხის თავზე (პიუგოს მიხედვით). ქართული კრიტიკა ცდილობდა, დ. კლდიაშვილის მთელი შემოქმედება (მისი საუკეთესო ნაწილი) ერთ მთლიან ნაწარმოებად წარმოესახა ბალზაკის „ადამიანური კომედიის“ მიმსგავსებით. ამაზე უფრო დიდი დაფასება რა შეიძლება იყოს?

ახლა კი ჩვენი რეპლიკის ერთ-ერთ საკითხზე – კლდიაშვილის შემოქმედების დემოკრატიულობაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც იმაში ყოფილა, რომ ის „შეურაცხყოფას არ აყენებს მკითხველს, არაფერს არ უხსნის გაუთავებლად“; უტოვებს არჩევანის უფლებას.

ჯერ ამ „შეურაცხმყოფელ გაუთავებელ ახსნაზე“ შევჩერდეთ, ასე მძაფრად, მაგრამ უკულმართად რომ აღპეჭდილა „მე-დასავლეთე“ ქალბატონის მეხსიერებაში ქართული „კლასიკის“ კითხვისას. თუმცა, კი არ შევჩერდეთ, არამედ პირდაპირ მოვიყვანოთ მაგალითი, ბალზაკიდან. ის წერდა: „კარგად მესმოდა ამ ხალხის გულისთქმა, უხდები მათი ბედის მოზიარე, ვგრძნობდი ჩემს მხრებზე მათს ძონძებს, მეგონა, საკუთარი ფეხები მოჩანდა მათი დაგლეჯილი ფეხსაცმლიდან... მათი გა-საჭირი ... ჩემს სულს გაივლიდნენ, ან კიდევ ჩემი სული გადა-დიოდა მათთან... ჩემი მორალური ძალების ერთგვარი გაბრუების წუთებში სხვა ადამიანად გარდაქმნა და გარდასახვა ხდება. ვის ვუმადლი ამ ნიჭს? ხომ არაა ეს ნათელჩენა? ...არასდოოს არ მიცდია ამ ნიჭის მიზეზების კვლევა. მე ვფლობდი ასეთ უნარს და ვიყენებდი მას – ეს იყო და ეს“ (სტ. ცვაიგი, გვ.54, თბ., 1963 წ.). ეს ხომ რომანში განსახიერებული ბალზაკის „გა-უთავებელი ახსნა“ იმისა, რასაც ცხოვრება გვთავაზობს და „ფანტაზია ვერასოდეს ვერ გადასწვდება იმ სინამდვილეს, რაც იქ იმარხება“ (იქვე). რა იქნებოდა ასეთი „ახსნის“ გარეშე (რომ-ლის მსგავსიც იქ მრავლადაა,) ეს ნაწარმოები? („ფაჩინო კა-ნე“). ამ უაღრესად ჰუმანისტურ იდეებს უსახავს თავის თავს და ზოგადად შემოქმედ საზოგადოებას **პუნებით ლეგიტიმისტი** – **როიალისტი მწერალი.** ყოველივე ეს ზედმინევნით მიესადა-გება „ხალხს მიყურადებულ“ კლდიაშვილს.

ამიტომ, კლდიაშვილის შემოქმედებაში ის კი არ უნდა ვე-ძიოთ, „გვიხსნის“ თუ არა ავტორი რამეს, არამედ ის, თუ რამ-დენად შეიგრძნო ავტორმა „ხალხის გულისთქმა“, რამდენადაა „მათი ბედის მოზიარე“; რა სიღრმით ჩასწვდა „მათ იმ გასა-ჭირს“, რომელნიც მის სულს გაივლიდნენ, ან კიდევ, მისი (მწერლის) სული გადავიდოდა მათში.

ამ თვალსაზრისით, დავით კლდიაშვილის, როგორც რეა-ლისტი მწერლის, შემოქმედების ასეთი გაბედული შედარება, სოციალური რომანის უმთავრეს ორიენტირთან – ბალზაკის

„ადამიანურ კომედიასთან“, საცხებით დასაშვებია – ეს ერთი მხრივ;

მეორეც, ბალზაკის როიალისტობისა არ იყოს, 10 წლის ასაკიდან კლდიაშვილიც მონარქიასთან ფიცით იყო შეკრული. რუსულ სამხედრო წესრიგსა და კულტურას შეზრდილს, ორჯერ მოუხდა მშობლიური ენის შესწავლა, ამიტომ „ხალხის სულის“ მწერალში გადასვლა ერთ-ერთი საკვანძო მომენტია მის შემოქმედების იმ თავურსაწყისისა, რომელიც მისი მოთხოვნების რეალისტურ საზრისს განსაზღვრავს.

აკაკი განწერელიას შეფასებით, „შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ქართველი ბელეტრისტი არ გაოცებულა თანამედროვეობით ისე ძლიერ, როგორც დავით კლდიაშვილი, არავის არ უსმენია მათი საუბრებისთვის ისე გულმოდგინედ, როგორც „სოლომონ მორბელაძისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორს“ (აკ. განწერელია, რჩეული ნაწერები, გვ. 135, თბ., 1968 წ.). დიდი კრიტიკოსი და მწერალ-ლიტერატორი ასე თვალნათლივ აგვინწერს „ხალხის სულის“ მწერალში გადასვლის მიმდინარეობის პროცესს.

ასეთი შეხედულება მწერლის შემოქმედებითი საზრისის ფორმირებაზე სრული რეალობა რომაა, ამაში რომ დავრომუნდეთ, ისევ მივუბრუნდეთ ბალზაკს. ის წერს: იმ ერთიან მასას, „ხალხი“ რომ ეწოდება, ვყოფლი შემადგენელ ნაწილებად, ვარჩევდი მის კარგსა და ცუდ თვისებებს, თავისი გმირებით, თავისი პრაქტიკული ჭკუით ცნობილი პიროვნებებით; თავისი არამზადებით, დამნაშავეებით, სათონ და ცოდვილი ადამიანებით, რომლებიც ერთიმეორები არიან არეული და მიჭყლეტილი, დალდასმულნი სილატაკით, დაჩაგრულნი გაჭირვებით... ნარმოდგენაც არ შეუძლიათ ამ დალდასმულ მაშვრალებს, თუ რამდენი თავგადასავალი რჩება შეუმჩნეველი, რამდენი დრამა ეძლევა დაუყოვნებლივ დავინუებას. ფანტაზია ვერასდროს გადასწვდება იმ სინამდვილეს, რაც აქ იმარხება. ადამიანი ღრმად უნდა ჩაეშვას შიგ, რომ გაოცების ღირსი სცე-

ნები, ტრაგედიები და კომედიები იპოვოს, რომელთაც შემთხვევა შობს (იქვე).

სწორედ ასეთ კონტექსტში უსმენდა გულდასმით ხალხის საუბრებს დავით კლდიაშვილი; მას აოცებდა იმერელთა საუბრების სიღრმე და თავისთავადობა, მათი ცხოვრების ტრაგიკულობა და კომედიურობა, ერთმანეთში ათქვეფილი. ის თავისი გამახვილებული მზერით აკვირდებოდა ცხოვრებისეულ იმ „უცნაურობებს, რომლებშიც ის „უცნაური ადამიანები მოქმედებდნენ“. თავისი შთაბეჭდილებების ძალით, ცდილობდა მათ გაცოცხლებას და კიდევაც გამოსდიოდა. ეს ყველაფერი კი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ის „დემოკრატიზმი“, ჩვენი ლექტორები რომ გვთავაზობდნენ.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, მოდი, ისევ მივუბრუნდეთ „საშიშ“ შედარებას კლდიაშვილის ხალხის სიყვარულით გამობარი გულის ძახილისა ბალზაკის სულიერ სამყაროსთან.

როგორც ითქვა, ეს სულით ჰუმანისტი მწერლები თავიანთი აღმზრდელობითი კულტურით მონარქისტული სისტემის პირმშონი არიან. თუკი მოცულობის თვალსაზრისით დავით კლდიაშვილის შემოქმედება იმდენად ჩამოუვარდება ბალზაკისას, რამდენადაც პატარა საქართველო (მით უმეტეს იმერეთი) – დიდ საფრანგეთს, შემოქმედებითი გულწრფელობით, ცხოვრების ულრმეს შრეებში წვდომით და იქიდან საოცარი სცენების ამოღებით, „სულთა მოძრაობით“ ხალხიდან მწერალზე და მწერლიდან ხალხში, ის სრულად შეესაბამება „ადამიანური კომედიის“ ავტორის „მოთხოვნილებებს“. ალბათ ამიტომაც ჰქონდა და მცდელობა ჩვენი ტანდემის მიერ „სულერთიანად დაგმობილ“ კრიტიკას, რომ კლდიაშვილის შემოქმედება „ადამიანური კომედიის“ მიმსგავსებით ერთ მთლიანობაში წარმოესახა.

ამდენად, კლდიაშვილის შემოქმედებაში „დემოკრატია“ კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ადამიანურობა, ის სულიერება, რომელიც ერთიმეორები – ხალხიდან მწერალში და მწერლიდან ხალხში გადადის. მის შემოქმედებაში ყოველივე ეს ისეთ მაღალმხატვრულ დონეზეა დამუშავებული, რომ თვითონ ავ-

ტორს აღმოხდება, „მდა... უცნაური ამბავიამ“. ეს კი ხელოვნების თვალსაზრისით ჰქონია მიზანი. მას ლექტორთა მიერ კლიფი აშვილის შემოქმედებაში „აღმოჩენილი“ დემოკრატიზმი კოჭებამდეც ვერ მისწვდება.

* * *

აკ. განერელიას თქმით, რუსეთში დიდი ხნით ნამყოფ და მშობლიური ენადავინყებულ მნერალზე თურმე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა იმერეთმა. იმერეთის უმნიშვნელო, პატარა ადამიანების თავგადასავალი, მათი ტკივილები და უხერხულობანი, მათი ეზო-კარი, გარე სამყარო სევდიან სიცილს იწვევდა... ისინი სამუდამოდ შევიდნენ ქართულ ლიტერატურაში, როგორც შეუდარებელი სურათები (აკ. განერელია, იქვე, გვ.135). მაშასადამე, მწერლის შემოქმედებითი ნიჭი მიმართულია ადამიანებისკენ. მის გონს იპყრობს ტრადიციული რეალობა და არა იდეალური ადამიანის ძიება. ის თავის გმირთა „თავდადებულ“ ჭიდილში ცხოვრებასთან ექებს იმ ფარულ ნიუანსებს, რომელშიც მეტ-ნაკლებად აისახება ხალხის ფსიქოგენური განწყობა. ეს რენესანსული აზროვნების ბუნებაა. ამ თვალთახედვით, ის ლრმად იხედება ადამიანთა შინაგან სამყაროში, ჭვრეტს ცხოვრებისთვის ბრძოლის სიდიადეს.

ამდენად, დ. კლდიაშვილის შემოქმედების „დემოკრატიულობა“ თუნდაც სტილისა თუ მეთოდის თვალსაზრისით ნაძალადევია, ამ ცნების უკიდურესი უარყოფითი გაგებით. ასეთი ყურით მოთრეული წარმოდგენა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე ნაყოფია იმ ფსევდოსაზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელიც ხელოვნურ (ილუზორულ) შუქზე მოძრაობს და ყველა თავის გამონაგონს ზეპირი ფრაზებისა თუ მოღური თქმების სამოსელში ახვევს. ამ ხელოვნურობას და მოღურობას, როგორც თავის დროზე ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია, შობს „ეპოქის გონიერივი სიჩლუნგე“, რომელშიც მოექცა პოსტპუტჩისტური საზოგადოება.

კიდევ უფრო სრულყოფილ დახასიათებას ასეთი „ხელოვნური“ საზოგადოებისას გვაძლევს ნიკოლო მიწიშვილი: „აღარც თავმოყვარეობა, აღარც სინდისი და პატიოსნება. ყველა განუწყდა, ყველა გამსუნავდა, არავის არაფრის სწამს“. ეს ის საზოგადოებაა, რომელსაც პირველი რესპუბლიკა შეარქვეს და დღეს გადამეტებულ ხოტბა-დიდებას რომ აღუვლენენ, რათა ფსევდოდემოკრატიზმის ილუზორულ შუქზე ჩაკლან დამოუკიდებლობის მომტანი ეროვნული სულიერება. აქ ლაპარაკია იმ დემოკრატიაზე, რომელიც უნდა მოსულიყო ჩვენთან. რუსეთში მისი გამარჯვების შემდეგ, როგორც ამას „გვასწავლიდა“ **მ. მამარდაშვილი:** სსრკ-ს „ჩვენ უნდა გამოვეყოთ, როცა იქ გაიმარჯვებს დემოკრატია“ (მერაბ მამარდაშვილი, კრებული, გვ. 164, თბ., 2007 წ.) სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ დღემდე ჩვენში და „რუსული დემოკრატიის“ კვალობაზე განაგებენ ქვეყანას პოსტპუტჩისტური სოციუმის მესვეურები. მაგრამ არის ამ სოციუმის მცირე ფრთა, რომელიც მამარდაშვილის მეორე ლოზუნგს, პირველზე უფრო დამაბნეველსა და დამანგრეველს, გვიფრიალებენ ცხვირწინ: „ჭეშმარიტება ყველაზე მაღლა დგას. თვით სამშობლოზეც მაღლა“ (კრბ. გვ. 165), თითქოსდა ჭეშმარიტება – ჭეშმარიტება არ იყოს, რაღაც რანგირებას ექვემდებარებოდეს, სამშობლო ჭეშმარიტება არ იყოს. კიდევ უფრო ხელოვნური და ილუზორულია მესამე პიპოთეზა: „ჯერ დემოკრატია და მერე თავისუფლება“ და ვართ ასე თავისუფლების გარეშე „მოსული“ დემოკრატიის იმედით. სწორედ ამ მეორე ფრთის მიმდევარნი არიან ჩვენი წამყვანები და კლილაშვილის შემოქმედებაშიც კი ამ **თავისუფლების გარეშე არსებულ დემოკრატიას ჭვრეტენ.**

მოცემულ შემთხვევაში, დ. კლდიაშვილის შემოქმედების შეფასების ასეთ მოდურ-დემოკრატიულ სახვევში გახვევა ანომალიაა. ის შედეგია იმ დევალვირებული აზროვნებისა, რომლის რამდენიმე წყაროსაც ზემოთ გავუსვით ხაზი და რომელსაც მოიცავს ეს ფსევდოსოციუმი.

3. სისასტიკის სიყვარული

სანამ გადავიდოდეთ ამ ესეს არსობრივ საკითხზე, ორიოდე სიტყვით შევეხოთ რეპლიკის მეორე საკითხს, გადაცემაში რაღაცნაირი სიამაყით გაუღერებულ ფრაზას: „ჩვენ დღევანდელ (ახალ) თაობას გვიყვარს სისასტიკე“. ეს „სიყვარული სისასტიკისა“ ილუზორულ შექმნებით მოძრავ, მოდურ სამოსელში გახვეული ცრუ ლიბერალიზმისგან აქვთ შეთვისებული. ისინი ცდილობენ მისი ისტორიული კანონზომიერებით გამყარებას, ამიტომ გამოაცხადეს დ. კლდიაშვილი სასტიკ მწერლად. „ის არის სასტიკი და დაუნდობელი ჰერსონაუების მიმართ“. მაგრამ ყველაფერი ეს გამონაგონია.

სისასტიკის სიყვარული, რომლისაც ასე ეამაყებათ მათ, შედეგია იმ შემოქმედებითი დეკადანისისა, რომელსაც მოუცავს თანამედროვეობა, განსაკუთრებით ჩვენი დღევანდელი ფსევდოდემოკრატიული სოციუმი. ლექტორის მიერ ამის გაცხადება იყო ინსტინქტური აღიარება მათი შინაგანი ბუნებისა, **დევალვირებული ნაციონალური ინტელექტუალიზმისა.**

პუტჩისტური ალიანსის ცრუდემოკრატიულ, მამარდაშვილისეულ იდეოლოგიაზე აღზრდილ ამ თაობას დღემდე „აწვალებს“ ედიკასა და ჯაბასებური გაგება დემოკრატიისა და თავისუფლებისა: „დემოკრატიული სახელმწიფო კბილებს ჩაგიმსხვრევთ“ (ედიკა) და „დემოკრატია ლობიობა არაა“ (ჯაბა).

ის „დემოკრატია“ და „სისასტიკე“, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში რომ აღმოაჩინეს, ასეთი ნარმოდგენების ნაყოფია. მართალია, დაპირისპირებულთა ასეთი თანაარსებობა და-საშვებია, მაგრამ ეს მარქსისტული დიალექტიკაა და ა. შ. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაძრნუნებს ის, რომ მათ (თაობას) დემოკრატიის ანტურაუქვეშ „უყვართ სისასტიკე“. ასეთ „სასტიკ დემოკრატად“ ნარმოუდგენიათ დავით კლდიაშვილი... სინამდვილეში კი ეს ნიშანია ჩვენი კულტურული ცხოვრების დევალვაციისა

ყველა განზომილებით, როგორ ასპექტშიც უნდა იყოს ის გააზ-რებული.

* * *

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, არ შეიძლება სისასტიკე გიყ-ვარდეს. ეს ანომალიაა, მანიაკალური თვისებაა. გახრწნილება და თახსირობაა, სისასტიკისა და დაუნდობლობის აპოლოგიას აღავლენდე თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, კიდევ უფრო ამორალურობაა, მის საფუძველს ეძებდე ერის შემოქმე-დებით პოტენციაში – კლასიკაში.

მოკლედ, „შემოქმედებითი სისასტიკის“ მოყვარულთ მინ-და ვუთხრა: **დავით კლდიაშვილი** სასტიკი და დაუნდობელი მწერალი კი არაა, არამედ ის ცხოვრების სისასტიკის აღმნერი შემოქმედია. ეს კი სულ სხვადასხვა რანგის მოვლენაა – რეა-ლიზმია.

მისი მწერლური „დემოკრატობა“, რომელიც თურმე იმაში გამოიხატება, რომ მკითხველს „შეურაცხყოფას არ აყენებს და არაფერს არ უხსნის გაუთავებლად“, სინამდვილეში იმის მაჩვე-ნებელია, რომ ის არ გვთავაზობს „ამ სასტიკი ცხოვრებიდან გარანტირებულად თავდახსნის პერსპექტივას – მისთვის ამო-სავალია ის, რომ ცხოვრება დაუნდობელი და შეუბრალებე-ლია... ამ დაუნდობლობას ყოველდღიურად უნდა ებრძოლო... გამოსტაცო პატარ-პატარა გამარჯვებები. მან იცის, ყოველ-დღიურობასთან ამ ულმობელ ბრძოლაში თვითონ ადამიანიც ულმობელი ხდება, ეს კი ცხოვრების კომედიაა. ამიტომ სვამს მისი გმირი ტრაგიკითხვას: „მე შემიძრალა ვინმემ?“

ის, რომ ავტორი არ გვიხსნის, რომელი იმსახურებს თა-ნადგომას: მამა თუ შვილი, რაც მწერლის დემოკრატიულობის ნიშნად აღუქვამთ „წამყვანებს“, სინამდვილეში აუხსნელი და განუმარტავი რამეა... მასზე პასუხი არ არსებობს არც რეალურ ცხოვრებაში და არც შემოქმედებაში. პასუხი რომ არსებობდეს,

მაშინ გაიმარჯვებდა (აღსრულდებოდა) დეკადენტური ფორმულა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

სოსო სიგუა თავის წერილში „ენა და ტექსტი“ აღნიშნავს, რომ ყოველი შემოქმედება ეფუძნება ადამიანურ კონფლიქტებს, ცხოვრებისეულ ტრაგიზმს, მათ გარეშე ის ვერც იარსებებდა. აი, ასეთი ცხოვრებისეული ვნებების ნიჭიერი აღმწერია კლდიაშვილი.

მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის უფრო საინტერესოა ს. სიგუას მიერ იქვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ადამიანურ ურთიერთობათა იდეალური მოწესრიგება რომ მოხერხდეს, მაშინ ხელოვნების მიზანიც მიღწეული იქნებოდა და ის სიცოცხლეს შეწყვეტდა, ვინაიდან ადამიანი გენეტიკურად შეზღუდულია და სამანის გადალახვა განგებამ აგვიკრძალა. არც ერთი და არც მეორე არასოდეს აღსრულდება. მწერალი მარად იქნება საწუთოს ორომტრიალში სიზიფეს შრომით დატანჯული (სოსო სიგუა, „აღთქმული ქვეყნის ძიება“, გვ. 51/52, თბ., 1982), ის გარემოება, რომ ამ მარადიული კითხვისადმი ასეთი ზერელე მიდგომა გააჩნიათ ლექტორებს, აშკარა მინიშნებაა იმისა, რომ **დღეს ჩვენ ვიმყოფებით კულტურულ-შემოქმედებითი დევალვაციის პერიოდში**.

ამდენად, დავით კლდიაშვილი იმიტომ კი არ ტოვებს ამ კითხვას განუმარტავად და არ განსჯის მტყუან-მართალს, რომ, ერთი მხრივ, ის „**სასტიკი და დაუნდობელია**“ თავის გმირთა მიმართ; ან კიდევ იმიტომ რომ დემოკრატი მწერალია და მყითხველს არ ახვევს თავს თავის ნებას, არამედ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას კარგად ესმის, რომ **ცხოვრება ისევე განუმარტავია, როგორც ლვთაებრიობა** (ლვთის განგებულობა).

სხვათა შორის, ალბათ ამ ჩაუწვდომელი განგებულობის ძალით, ორმა მსოფლიო გენიამ, ყოველგვარი წინასწარ განზრახულობის გარეშე, სრულიად შემთხვევით, უწოდეს თავიანთ შემოქმედებას, დანტემ – „**ლვთაებრივი კომედია**“, ბალზაკმა – „**ადამიანური კომედია**“. ორივე ნაწარმოები იმდენად

ღრმააზროვანია, ღვთაებრივისა და ადამიანურის ურთიერთ-განპირობებულობის და ჩაუწვდომლობის კონტექსტით, რომ „ადამიანის ფანტაზიისთვისაც მიუწვდომელია“ (კონსტანტინე გამსახურდია).

იმერელი კაცის ცხოვრების, მისი ადამიანური კომედიის არსში ჩაწვდომის შეუძლებლობის გამო რჩება ეს არასახარები-სეული კითხვა – „მე შემიძრალა ვინმემ?!“ – პასუხაუცემელი. ის მკითხველის გემოვნებაზეა მიშვებული; მასზე ერთგვაროვანი პასუხი (ამონახსნი) არ არსებობს. ამ შეუძლებლობის გამო და არა წამყვანთა მიერ მწერლისთვის ხელოვნურად მიკერებული დემოკრატიულობის გამოვლინების შედეგად რჩება პლატონის ეს კითხვა პასუხაუცემელი. ეს წმინდად სუბიექტური მომენტია რეალობის აღქმისა.

ამდენად, თამამად შეიძლება წამყვანთა (ლექტორთა) ეს „პრინციპული პოზიცია“ ასეთი სენტენციით განვსაზღვროთ: „შეგიძლია ამ ამბავზე ის თქვა, რაც მოგეპრიანება. ნუ გეშინია: ცუდს იტყვი, – არავინ დაგძრახავს, კარგს იტყვი – არავინ და-გაჯილდოებს“.

თავი II
ეგზისტენციალური გადარჩევისათვის
პრალიტოს საზრისი დაცით კლირიაშვილის
შემოქმედებაში

4. აპრიორულად გაცხადებული „პრალდებები“

ასეთი „ფუნდამენტური“ შემზადების შემდეგ გადავიდეთ ლექტორთა მიერ აპრიორულად გაცხადებულ „პრალდებებზე“. როგორც ზემოთაც ითქვა, აირჩიეს მწერალი, რომელიც XX საუკუნის ქართულ მწერლობაში არ იყო სათანადოდ დაფასებული; მისი შემოქმედება არასწორად იყო აღქმული; მასში ხედავ-დნენ მხოლოდ იმერელ იუმორისატს, მთავარ გმირებში კი – კო-მიკურ ტიპაჟებს; მათი აზრით, მწერალი მიზანდასახულად დასცინოდა „პატარა ხალხს“ – დრომოქმულ იმერელ აზნაურს... და კიდევ ბევრი სხვა თანმდევი პრეტენზია.

ჩემთვის მართლაცდა ტრაგიკული იყო ამ ახალგაზრდა კაცის (რომლის ლექციაშიც აშკარად იკვეთებოდა დადებითი შტრიჩები) უკომპრომისოდ გაცხადებული, რომ დავით კლდი-აშვილს არ გაუმართლა, რომ ის საქართველოში დაიბადა და ქართველი მწერალი გახდა; ეს იმ კაცზე, რომელიც ბავშვობი-დანვე მოსწყვიტეს სამშობლოს, მშობლიურ კერას, რათა გამ-ხდარიყო დიდი იმპერიის „ლირსეული“ წარმომადგენელი და გზა გახსნოდა იმ სივრცეებისკენ, სადაც შეეძლო თავისი დიდი მომავლის შექმნა უთვისტომობის ფასად, რასაც სინამდვილეში გვთავაზობს ლექტორი. ამის ნაცვლად მან ყველაფერი გააკეთა, რომ არ დაევინყებინა მშობლიური ენა. მას ორჯერ მოუხდა მისი თავიდან შესწავლა და გახდა პირველი სახალხო მწერალი.

* * *

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ შევუდგებით XX საუკუნის მანძილზე დავით კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილთა, კულტურულ-შემოქმედებით

ღონისძიებათა (ლიტერატურული კრიტიკა, მიძღვნები, ხელოვნების დარგების: თეატრი, კინო, მხატვრობა) მიმოხილვას, მათი დასახელებაც კი ნათელს გახდიდა, რომ ქართველ მწერალთა შორის ის ბედნიერი გამონაკლისია, რომლის შემოქმედებაც, მიუხედავად მოცულობითი სიმწირისა, გამორჩეულად იყო დაფასებული ხელოვნებისა და კულტურის ყველა მიმართულებით.

იმისთვის, რომ ლექტორთა მიერ ზემოთ მითითებულ „ბრალდებათა“ ცალმხრივობა და მეტწილად ხელოვნურობა ნათელვყოთ, ძირითადად დავეყრდნობით დ. კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ერთ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილს (ესეს), რომლის ავტორია ევროპული (დასავლური) თუ საბჭოთა (რუსული) მწერლობისა და კულტურის უბადლო მცოდნე, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე – აკაკი განერელია. ამასთან, რა თქმა უნდა, გამოვიყენებო კლდიაშვილის მშვენიერ მემუარებს – „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

აკ. განერელიას ამ წერილზე სპეციალურად გავამახვილეთ ყურადღება, იმიტომ რომ ის დაწერილია უკიდურესად დიქტატორულ ხანაში, „კულტურული რევოლუციის“ ეპოქაში, როცა, ერთი მხრივ, ჰავარში ტრიალებს 1937-1938 წლების რეპრესიების სუნი, მეორე მხრივ, „უცნაურად“ იწყება მსოფლიო ომი 1939 წელს.

ასეთ, მართლაც შიშით გათანგულ, იდეოლოგიზებულ გარემოში იწერებოდა ეს მიმოხილვა კლდიაშვილის შემოქმედებისა, რომელშიც უშიშრადაა გაცხადებული, რომ ავტორი თავის გმირებს, აზნაურებს, კი არ დასცინის, არამედ ის მათ გამოტირის. უკვე ეს ფაქტიც საკმარისია იმის მაჩვენებლად, რომ დავითის გმირები არასდროს ყოფილან დაცინვისა და ირონიის ობიექტები ქართველი მკითხველისთვის, საზოგადოების ნამდვილად მაღალზნეობრივი, ინტელექტუალური ფენისთვის.

მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ამ მიმოხილვაში აშკარად ჩანს ის, თუ რა სულიერ სიღრმეებს ეძებდნენ მის შემოქმედებაში; მას „იმერელ იუმორისტად“ წარმოიდგენდნენ თუ მის შემოქმედებას ანალოგს უძებნიდნენ მსოფლიო ჰუმანიზმის კორიფეებთან.

5. ხალხის საუბარს მიყურადებული მწერალი

აკაკი გაწერელია თავის მიმოხილვას დავით კლდიაშვილის განსაკუთრებული ნიჭის აღიარებით იწყებს. მისი თქმით: არცერთი ქართველი ბელეტრისტი არ გაოცებულა თანამედროვეობით ისე ძლიერ, როგორც დ. კლდიაშვილი; არავის არ უსმენია ხალხის საუბრებისთვის ისე გულმოდგინებით, როგორც მას.

მის შემოქმედებაში „დემოკრატიის“ მაძიებელთ, მათ, ვინც ბრალდებით გამოდის, რომ თითქოსდა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ოდენ სატირასა და კომიზმს ხედავდნენო, უურჩევთ ჩაუკვირდნენ ამ „არცერთს და არავისს“ და შეეცადონ, ჩასწვდნენ იმას, თუ რას ნიშნავს „ხალხის საუბრისთვის გულმოდგინედ მოსმენა“. ეს რჩეულთა ხვედრია...

კრიტიკოსის თქმით, „დ. კლდიაშვილის პერსონაჟებს მკვიდრად არ უდგათ ფეხი ნიადაგზე, – ისინი თითქოს ებლაუჭებიან მას. ეს გარემოება ექსცენტრული ბუნებით აჯილდოებს მათ“ (იქვე, გვ. 141). ეს ორი ნინადადება მთელი გამოკვლევის აზრის დამტევია. მასში გააზრებულია ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების შედეგად ფეხქვეშ მიწაშერყეული საზოგადოებრივი ფენის თავგანწირული ბრძოლა გადარჩენისთვის როგორც ფიზიკურად (მატერიალურად), ასევე სულიერი (ფსიქო-კულტურული) თვალსაზრისით.

ამ პერსონაჟებს, მიუხედავად საშინელი სიდუხჭირისა, წამითაც არ სურთ დაივიწყონ ნაქები იმერული ზრდილობა და პატივმოყვარეობა. ეს გაუსაძლისი პირობებია, მათ ქმედებებს

ექსცენტრიულობის ფორმას რომ აძლევს, თუმცა ისინი, სი-ნამდვილეში წამითაც არ ივიწყებენ ზნეობრივ ნორმებზე ზრუნვას. ეს კი საოცრად ადამიანური ბუნების მოვლენაა. ამი-ტომაც „სამუდამოდ შევიდნენ ქართულ ლიტერატურაში, რო-გორც შეუდარებელი სურათები ძველი იმერეთისა“ (აკ. განე-რელია, რჩეული იქვე).

ზემოთ თქმულის დასტურად თუნდაც ის მომენტიც კმა-რა, როცა ავტორს მოთხოვობაში „ქამუშაძის გაჭირვება“ შემო-ჰყავს ლევან ქამუშაძის – უკიდურესად ლარიბი აზნაურის პერ-სონაჟი.

ოტიას ცოლი ეკვირინე საშინელ მკრეხელობას სჩადის იმის გამო, რომ მისმა ქალაქელმა რძალმა სონიამ სიმართლე არ გაიგოს მისი მაზლის სიღატაკეზე. „ის ცდილობს, ჩააგონოს რძალს, რომ მისი ცოლი ეფროსინე მყითხაობს, კუდიანია“, ან საყოველთაოდ ცნობილი (გახალხურებული) პასაჟი „სოლომონ მორბელაძიდან“, როცა ის ცოლის საყვედურზე პასუხობს: „ერ-თი-ორ შეპატიუებით რავა დარჩებოდა, შე ქალო, გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვევლება რომ არ იცოდეს“.

ეს ექსცესები ცხოვრებასთან ყოველდღიური ჭიდილის შემადგენელი ნაწილია. „ჩვენებური ჩვევლებისთვის,“ ზრუნვა ისევე აუცილებელია, როგორც მატერიალურობისთვის. მართა-ლია, ის ზოგჯერ ამპარტავნულ, ექსცენტრიკულ სახეს იღებს, მაგრამ ტრადიციულად მიღებული ნორმებისთვის შეუფერებე-ლი, უცნაური – ექსტრავაგანტური არ ხდება. აი, აქ ჩანს მწერ-ლის დაკვირვებული თვალი და გამახვილებული სმენა; „ჩვენე-ბურ ჩვევლებაში“ მწერალი ხედავს იმასაც, რაც გადარჩენასა და შენარჩუნებას მოითხოვს, მაგრამ ამასთან იმასაც, რასაც ექსცენტრიკული სახე მიუღია, „საერთოდ – თავმოყვარეობის დაცვა მისი აზნაურების მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს“ (რჩეული, გვ.145).

კრიტიკოსის ეს მოსაზრება მცირე კომენტარს მოითხოვს: თავმოყვარეობის დაცვა აქ **საზოგადოებრივი ლირსების რან-გშია განხილული** და არა ოდენ სუბიექტური (პიროვნული) სა-

კითხია (თუნდაც ეკვირინეს მაგალითი). მასში ჩართულია მთელი სოციუმი. მასზე (თავმოყვარეობაზე, ტრადიციებზე, ზნეობრივ ნორმებზე), აზნაურებთან ერთად თუ მის გარეშე, არა-ნაკლებად ზრუნავენ გლეხები თუ სხვა სოციალური ჯგუფები. ასე რომ, კლდიაშვილის შემოქმედებაში ზნეობრიობის საკითხი არ იკეტება კლასობრივ ჩარჩოში.

6. „ზედმეტი ადამიანები“ თუ ზნეობის სადარაჯოზე მდგარი გმირები?!

ცხოვრებასთან ჭიდილში ჩართულ ამ გმირებს – „თითოეულ მათგანს რაიმე პროექტი აქვს... არსებობისთვის ბრძოლამ... ისინი მოფუსფუსე (გახადა, მ. ზ.)... მათი არსებობის ყოველი წუთი ისეა დამძიმებული ხვალინდელი დღისთვის ზრუნვით, რომ „ჩვევლებრივი“ საუბრებისთვის არც კი სცალიათ“ (რჩეული, იქვე, 141). მაშასადამე, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ არ გახდნენ „ზედმეტი ადამიანები“. მიუხედავად დანისალული პერსპექტივისა, მრავალფეროვანი იმერული პეიზაჟის ფონზე, მაინც ინთება სიცოცხლისთვის ბრძოლის ცეცხლი. ამ კონტექსტით, დავით კლდიაშვილის შემოქმედება პატარა იმერეთის ჩარჩოში მოქცეული მარტივი, მიამიტური შემოქმედების არეალიდან გამოდის და იქცევა მაღალ შემოქმედებად.

თუ ასი წლის წინათ თქმულის პერიფრაზს გამოვიყენებთ კლდიაშვილის შემოქმედების მიმართ, თითქმის ყოველ მნერალში ბუდობს ლუციფერი და კლოუნი, ლუციფერი ნეგატიურობის სტიქიონია, კლოუნი ქალაჩუნაა, ტაშისცემას დახარბებული. ლუციფერი იძლევა იმპულსს ბრძოლისა და შემოქმედებისა. როცა მნერალში კლოუნი იმარჯვებს, მას იცნობს თავისი წრე და მრევლი. აქ არის მისი სამარეც (კ. გამსახურდია, VII, 238). ჩვენ აშკარად დავინახავთ, რომ კლდიაშვილის კომედიური ჟანრის შემოქმედებაში ვერ იმარჯვებს კლოუნი, მისთვის იქ

არც ყოფილა ადგილი. მისი ყველა გმირი ცხოვრებისთვის ყოველდღიურ ბრძოლაშია ჩაფლული.

ამდენად, დ. კლდიაშვილი „საოცრად ადამიანური, მაგრამ მაინც უცნაური ამბის შეუდარებელი მხატვარი იყო“. გაიხსენეთ მწერლის რეპლიკა: „მდა ... უცნაური ამბავია“. ის დიდი რეალისტია. მისი გმირები შეგნებული სტოიციზმის მატარებელნი არიან და არა სკეპტიკოსები. შესაბამისად, ისინი მყარად დგანან ზნეობის სადარაჯოზე, ინსტინქტურად ეწინააღმდეგებიან კოლონიალურ ექსპანსიას და უცხო ფასეულობებს.

7. კლდიაშვილის შემოქმედების საზრისმატარებელი შტრიხები

დავით კლდიაშვილის შემოქმედების საზრისმატარებელ ნიუანსებსა თუ **მთავარ შტრიხებში** იმერელი (ქართული) კაცის (საზოგადოების) მართლაცდა ეგზისტენციალური კატასტროფის აჩრდილი იკვეთება. ეს უკიდურესი გაჭირვებულობა მოჰყვა არა ბატონყმობის გაუქმებას, როგორადაც ძირითადში მას ახასიათებენ ხოლმე (ეს მომენტი მხოლოდ ერთ-ერთი შტრიხია ამ ცხოვრებისეული ტრაგედიისა), არამედ ქართული სამეფოს გაუქმებას, ყოველგვარი სოციალ-პოლიტიკური უფლებების დაკარგვას. ასეთ ვითარებაში, ბატონყმობის გაუქმება, რომელიც რუსეთის იმპერიის მასშტაბით (თვით რუსეთისთვის) პროგრესული მოვლენა იყო, ჩვენს რეალობაში ბოლო ლურსმნის ჩაჭედება აღმოჩნდა სახელმწიფოებრივი (პოლიტიკური) და საზოგადოებრივი სტრუქტურების კუბოზე.

ამის შემდეგ საზოგადოებრივ ურთიერთობას არაფერი შემორჩა ქართული, თვინიერ გენეტიკური (ტრადიციული) ზნეობრივი ნორმებისა, რომელსაც ასე ჩასჭიდებიან კლდიაშვილის გმირები. თუკი ამოვალთ აკ. განერელიას ზოგადი მსჯელობის ლოგიკიდან, მივიღებთ ასეთ სურათს:

— თითოეულ გმირს თავისი განსახორციელებელი პროექტი აქვს;

- შესაბამისად, მისი განხორციელებისათვის ყოველდღიური ბრძოლა მიმდინარეობს, ეს არსებობისთვის ბრძოლაა;
- ამან მათ ჩვევებზეც (ყოველდღიურობაზე) იქონია გავლენა, ისინი მოფუსფუსენი გამხდარან;
- ფსიქოლოგიურად კი ყველას **ნება** მომართულია, ყოველი წუთი დამძიმებულია „ხვალეზე“ ზრუნვით;
- ეს „ზრუნვა“ იმდენ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს, რომ ჩვევლებრივი საუბრისთვის მათ არც კი სცალიათ;
- მათთვის უცნობია მხიარული, უდარდელი სჯა-ბასი, არაფერი რომ არ ვთქვათ თვით ცხოვრებაზე;
- მიუხედავად ასეთ დაძაბულობისა, ისინი უფრო ხშირად **უშედეგო ძიებაში** არიან;
- ამ გმირებს შეგნებული აქვთ (არ დავიწყებიათ), რომ ეს ბაასი ნორმალური მდგომარეობა არაა, ყველგან და ყოველთვის საქმეზე ლაპარაკი (ზრუნვა) არ შეიძლება, ამიტომ ძალიან ხშირად თავს უხერხულად გრძნობენ;
- მიუხედავად მთელი ამ სიდუხჭირისა, მათ არ ავიწყდებათ „იმერული ზრდილობა და ეტიკეტი“, რაც მათ გენოკულტურაშია გაზავებული და თვით ამ ცხოვრებისეული, დაუნდობელი გამოცდის უამსაც არ ტოვებს მათ.

დავიწყოთ ბოლოდან: **ლექტორთა თქმით, დღემდე არსებული შეფასებებით** (კრიტიკით), კლდიაშვილის გმირები დიდი სიდუხჭირის შედეგად კარგავენ ადამიანურ სახეს, სიღარიბეს ისინი თითქმის ურჩხულად უქცევია და ა. შ. რაიმე მიმსგავსებული რამ ჩანს, კლდიაშვილის გმირთა ცხოვრების არსის გამსაზღვრელ აქ ჩამოთვლილ მოცემულობებში? თუ, მიუხედავად ასეთი სიდუხჭირისა, მათ არ ავიწყდებათ იმერული ზრდილობა და მორალი, უფრთხილდებიან მათ, როგორც თვალისჩინს.

მე არ ვიცი, მწერლის ამ სოციალური ულერადობის შემოქმედების, გმირთა გალერეის ცხოვრებისეულ საზრისმანარ-მოებელ შტრიხებს რა შეიძლება დაემატოს, მაგრამ აუცილებე-

ლია ფსიქოლოგიური და ესთეტიკური პლანის განაზრების წარმოჩენა, რათა დავრწმუნდეთ, რომ „შემოდგომის აზნაურების“ ყბადალებულ თემას თვით მისივე სიცოცხლეშივე დაედო ყადალა. თუ ეს თემა განათლების სისტემის სცენიდან არ ჩამოდიოდა, ეს იყო ის მცირედი ხარკი, რომელსაც მოითხოვდა კომუნისტური იდეოლოგიის გველებაპი. ნამდვილი მკითხველი კი მასში ხედავდა იმ (ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა) ფსიქოკულტურულ მოცემულობებს, რომელიც წარმოაჩენდნენ არა მარტო იმერელი კაცის (ზოგადად ქართველის) ფენომენს, არა-მედ – ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმს.

ვინც XX საუკუნის მკითხველებს დ. კლდიაშვილის გმირების არასწორ შეფასებაში, მათდამი დაცინვაში გვადანაშაულებენ, მათ მინდა ვკითხო: ჩვენ მიერ ქვემოთ გამოყოფილი მართლაცდა ეგზისტენციალური ათი საკითხიდან [არა მარტო ცალკე ალებული ეთნოგრაფიული ჯგუფისთვის, არამედ მთელი ერისთვის (ხალხისთვის)], რომელში ჩანს დაცინვის ნასახი, თუნდაც გაშარებაზე ოდნავი მინიშნებაც კი? თუნდაც, ავოლოთ აკ. განერელიას კრიტიკა, რომელიც შორს დგას ყოველგვარი იდეოლოგიური კონიუნქტურისგან.

მისთვის (ზოგადადაც) ეს შემოქმედება არაა საფუძველმორყეული, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი აზნაურთა ფენის (კლასის) დაცინვა, არამედ ისაა მთელი საზოგადოების (ხალხის) ცხოვრების რეალური სურათის ერთი დიდი ნაწილის აღწერა, მისი ტრაგიკული ბედის გააზრება. ასე ჰქონდა მწერალს თავისი შემოქმედება ჩაფიქრებული, ასე აღიქვამდა მას მკითხველი. ამიტომაც ბრძანა მან, **მე არასდროს არავისთვის დამიცინიაო.** მართლაც, ვის სცალია აქ ერთმანეთთან დასაცინად. თვით კირილე მიმინოშვილის ხმამაღალი სიცილი და ოხუნჯობაც კი ნორმიდან ამოვარდნილად გეჩვენება კაცს.

ამ შემოქმედებაში მთელი სისრულითაა დანახული ადამიანური ცხოვრების ტრაგიკულობა, გაზავებული ადამიანურ კომედიაში. ასე წარმოუდგენია ის ქართველ მკითხველს, მწერ-

ლობას, კრიტიკას. ასე გვიხატავს კლდიაშვილის მთელ შემოქმედებას ჩვენი დიდებული ავტორი. ის წერს: „იმდენად დიდია მწერლის მიერ შეგრძნება საკუთარი გმირების ადამიანური ტკივილისა, რომ ძნელია მისი მიჩნევა სატირიკოსად“. ლექტორი კი ბრალს გვდებდა, რომ დ. კლდიაშვილში ხედავენ ოდენი იმერელ სატირიკოსსო.

გავაგრძელოთ:

კრიტიკოსი ამბობს: „იმერეთი და ამ კუთხის ადამიანები დ. კლდიაშვილმა დახატა იშვიათი სიძლიერით. აქ კომიზმიცაა, მაგრამ მეტია მუქი კოლორიტი, ზოგჯერ მისტიკის ზღვრამდე მისული. მისი შემოქმედება („ქამუშაძის გაჭირვება“) ნამდვილი ენციკლოპედიაა ძველი იმერეთისა“.

ესაა მწერლის შემოქმედების არასწორი გაგება?

ახლა კი მისი მწერლური იდეალის შეფასებაზე: „ქართულ პროზაში მე არ მეგულება მეორე ნაწარმოები, რომელშიც ასე მძაფრი საღებავებით იყოს ნაჩვენები გამოუვალი, პირდაპირ ფატალური მდგომარეობა ადამიანებისა, როგორც დ. კლდიაშვილის ამ მოთხრობაში („ქამუშაძის გაჭირვება“, მ. ზ.) და არ-სად სცემს ავტორის გული ისე თანაგრძნობით პატარა ადამიანებისადმი, როგორც მის მოთხრობებში“ (რჩეული, გვ. 148-49).

მართალია, ჩვენს ლექტორებს არ უყვართ, როცა რამეს უხსნიან ან უდასტურებენ, მაგრამ აუცილებლად უნდა აიხსნას, თუ რას გულისხმობს კრიტიკოსი, როცა საუბრობს ადამიანთა პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაზე; პატარა ადამიანებისადმი თანაგრძნობაზე; იმ ცხოვრებისეულ რეალობებზე, რასაც დიდი სიყვარულით აღწერს ავტორი, არა ჩემი სუბიექტური მსჯელობით, არამედ, რეალიზმის მამამთავრის ბალზაკის მიხედვით.

8. ცხოვრების სარკე

ბალზაკი ამტკიცებდა: ხელოვნება უნდა გახდესო სრულ-ყოფილი სარკე ცხოვრებისა. მისი აზრით, რეალისტი ხელოვანი თანაბარი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს, როგორც ადამიანის სულის ექსტაზის, ისე მის ფიზიკურ სიბეჩავესაც. მწერალი, თანაბარი უტყუარობით უნდა აღწერდეს როგორც სისაძაგლეს და გულისამრევს, ისე მშვენიერსა და ზეალმტაცს (კ. გამსახურდია, ტ. VI, გვ. 296, თბ. 1963 წ.). აი, ამ რეალიზმს გულის-ხმობს ავტორი, როცა ლაპარაკობს ადამიანთა ფატალურობამ-დე ასულ დუხჭირ მდგომარეობაზე. ხოლო როცა ლაპარაკია პატარა ადამიანებისადმი თანაგრძნობაზე, აქაც კლდიაშვილის სააზროვნო ამპლიტუდა აყვანილია დიდ ჰუმანისტთა რანგამ-დე.

ჩვენ ზემოთ შევეხეთ, თუ როგორი გულისყურით უსმენ-და დავით კლდიაშვილი პატარა ადამიანების საუბრებს, როგორ ითვისებდა და აღიქვამდა მათ ამ ნაუბარს. იგივე ხდება ბალზაკის თავსაც. „შევდგებოდი და ვაკვირდებოდი ქუჩებში მოყაყანე ადამიანებს, ყურს ვუგდებოდი უბრალო ხალხთა გნიასს, ჩხუბს, კინკლაობას, ხანაც მშვიდობიან საუბრებს. ჩემი თვალი გარს ევლებოდა არა მარტო ადამიანთა სხეულებს, არამედ მათ სულშიც იჭვრიტებოდა. ეს იყო განცდა ცხადლივი (იქვე გვ. 297). ასეთი უმაღლესი რეალიზმის დონეზე ალიქმებოდა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაც.

ბალზაკთან შედარების მცდელობა არა მარტო რეალიზ-მის ძიების მეთოდის თვალსაზრისით არის დასაშვები, არამედ მთელი შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრების თვალსაზ-რისითაც, როგორც ეს მოხდა „ადამიანური კომედიის“ გამოცე-მის შემთხვევაში. აკ. განერელია წერს: **არსებითად დ. კლდიაშ-ვილმა დაგვიტოვა ერთი დიდი წიგნი.** ამ წიგნის მთავარი გმი-რია – გაღატაებული აზნაური. თავისი ახირებული თავგადა-სავლით (ხაზი, აკ. განერელია) ეს აზნაური პირველად „სოლო-

მონ მორბელაძეში” გამოჩნდება, ის იბრძვის არსებობისთვის. მიუხედავად ხშირი ჩავარდნებისა, მკითხველს მოთხოვობის წაკითხვის შემდეგაც სჯერა, რომ ხვალ ისევ დაიწყებს ჯანმრთელ სიცილს (რჩეული, იქვე, გვ.146). **მაშასადამე,** ეს სიცილი დაცინვა კი არაა, არამედ მომავლის იმედის შუქია.

ბოლო მოთხოვობა ამ ციკლისა, ანუ ერთი მთლიანი წიგნის უკანასკნელი თავისა, არის „როსტომ მანველიძე“. თავის თავთან მარტო მყოფი, ცოლ-შვილის მიერ მიტოვებული – ეს უკვე უნდებისყოფო ადამიანია, მისთვის ცხოვრება სიცოცხლე-შივე შეჩერებულია (იქვე). ეს ტრაგედიაა ცხოვრების მიერ გატეხილი ადამიანისა. მაგრამ მას ინსტინქტის ძალა ეწევა, გული მიუწევს ყმაწვილკაცებისკენ, რომ მწარე გულზე ერთი ძველებურად მოულხინოს. საუბედუროდ, მას ამის ენერგია არ გააჩნია, მესამე ჭიქაზე მთვრალია, მეოთხეზე კი ძილი მოეკიდება. ის, ყველაზე გულგატეხილი, ყველაფერს ჯანდაბისკენ აგზავნის.

კრიტიკოსის თქმით, მოთხოვობის ეს დასასრული მთელი ციკლის,„მწერლის მიერ მთლიანი წიგნის მთავარ გმირზე წაკითხული რეკვიემია“ (რჩეული, იქვე, გვ.147). ამასთან, ეს არა მარტო წიგნის შესავალი და დასასრულია, არამედ ცალკე თავებისაც – ე. ი. მისი მოთხოვობების შესავალიცა და ბოლოც, რომლის გმირებიც ღარიბი, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანები არიან, რომელთაც, ბოლოს და ბოლოს, წოდებრივი ურთიერთობისთვის ბრძოლაში გულგატეხილობა იპყრობთ (იქვე, გვ.147). კრიტიკოსი მთელ ამ პროცესს ევოლუციონურობას უწოდებს, რაც გეგმაზომიერ განვითარებას გულისხმობს.

მაშასადამე, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში არა დაღუპვა და კვდომაა დანახული, არამედ მასში გააზრებულია ევოლუციური განვითარებისთვის საჭირო პოტენციური, სულიერი ენერგიის წარმოჩენა. ეს ენერგია კი მთელ საზოგადოებაშია კონსოლიდირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი და არავინ უნდა იქნეს დავიწყებული რეალობიდან.

ცვაიგი იტყვის ბალზაკზე: მან ამ წლებში აღმოაჩინა დი-
დი საიდუმლოება, რომ ყველაფერი სიუჟეტია. ყველაფერი მა-
სალაა. სინამდვილე – დაულეველი. საჭიროა კარგი დაკვირვე-
ბა. ვისაც სურს, ასახოს ქვეყნიერება, ნუ გამოტოვებს მის
ნურც ერთ ასპექტს, რანგების საზოგადოებრივი თანაარსებო-
ბა უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგანაც საზოგადოების ყველა
ნაწილი იღებს ურთიერთმოქმედებაში მონაწილეობას, ყველა
ხვდება ერთიმეორეს. სწორედ ასევე უნდა იყოს წარმოდგენი-
ლი ხასიათები, ადამიანთა მოდგმის ყველა წახნაგი, ჩრდილი და
ელფერი (ცვაიგი, ბალზაკი, გვ. 222-223). ადამიანური ყოფის
თვალსაზრისის გააზრება შემოქმედებითად – ესაა რეალიზმის
თეორიაც და პრაქტიკაც, რასაც აკეთებს კლდიაშვილი. სწო-
რედ ის გვაძლევს იმპულსს მისი შემოქმედების მთლიანობაში
გააზრებისთვის. ის ცდილობდა შეექმნა მთლიანი სახე იმერუ-
ლი, sic, ქართული საზოგადოებისა. „მისი მოთხოვობები მხია-
რულად იწყება, თავდება მოთქმით“, ამბობს განერელია, მაგ-
რამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება! – „ხარებით“ დაწყებული
„ზარით“ მთავრდება. ამდენად, მის შემოქმედებითს თვალსაწი-
ერში მოქცეულია არა ოდენ აზნაურობა, არამედ ის მიმართუ-
ლია კოლონიალური ულლის ქვეშ მგმინავი მთელი საზოგადოე-
ბისკენ.

მაშასადამე, მწერლის მახვილი თვალი სწვდება საზოგა-
დოებრვი ცხოვრების მთელ სივრცეს. მის სმენას ესმის ცხოვ-
რებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ ადამიანთა გნია-
სი, ჩხუბი, კინკლაობა, ხანაც მშვიდობიანი საუბრები, რომ გაი-
მართება დალლილობის უამს. ის ეძებს მათში არსებულ იმ დაუ-
ლეველ ენერგიას, რომელიც ერთ უამს მოდგმის ნების ძალის
სახით ამოხეთქავს და იხსნის ერს ეგზისტენციალური კატას-
ტროფისგან.

9. ქვეყნის გულისთქმის შემეცნება

დავიდ კლდიაშვილის მიერ აღწერილ ამ ადამიანურ კო-მედიას ქართველი მკითხველი ძირისძირამდე შეიმეცნებს და ცდილობს, მისი ყველა დეტალი მოსინჯოს, ყველა ნიუანსს ჩასწოდეს. მათში აღქმულია თვით ჟესტის ენაც კი. უფრო მეტიც, როგორც ამას ამჩნევს აკ. განერელია, ისინი თვალებითაც ებრძვიან ერთმანეთს.

პერსონაჟები მუდმივ ბრძოლაში არიან; იშვიათად ეთან-ხმებიან ერთმანეთს; ცდილობენ, ერთმანეთი დაარწმუნონ ან გადაარწმუნონ, ან სულაც მოატყუონ, მაგრამ როცა ესეც არ ჭრის, ისინი დაიხმარებენ თვალებს, სახის გამომეტყველებას... ნამდვილი აზრის ამოსაკითხად... შინაგანი ბრძოლა განსაკუთ-რებით მაშინ იჩენს თავს პერსონაჟებს შორის, როცა გაჭირვე-ბაში არიან. „ასე მაგალითად, სოლომონმა ცალი თვალით და-უწყო ყურება ქაიხოსროს“ ან „თვალი თვალში გაუყარა ბეკი-ნამ“.

კრიტიკოსის შეფასებით თუ ვისარგებლებთ, მწერლის მზერა ისევე უცდომელია, როგორც მისი სმენა. მას დაჭერილი აქვს იმერული აზნაურის საუბრის ყოველი ნიუანსი, წინადადე-ბის მიმოხრა, თავისებური გამოთქმები, საკმარისია მისმა პერ-სონაჟებმა ხმა ამოილონ, რათა ყოველგვარი საზღვარი წაიშა-ლოს სინამდვილესა და ხელოვნებას შორის – იმდენად ცოც-ხალნი და დამაჯერებელნი არიან ისინი. მწერალს არსად დალა-ტობს ზომიერების გრძნობა, ის დიდი ტაქტიკის მქონე მწერა-ლია (რჩეული, იქვე, გვ. 138-139). ესეც კმარა იმის დასადასტუ-რებლად, რომ მწერალს არ მიეკეროს ჩვენი ლექტორების მიერ უაზროდ წამოსროლილი ეპითეტი „სასტიკი მწერლისა“. ის არა მარტო გმირების მიმართ არაა სასტიკი, რაც იგივე იქნებოდა, მისი თანამედროვე საზოგადოებისადმი იყოს დაუნდობელი და შეურიგებელი, არამედ, მისი შვილის, სერგო კლდიაშვილის

თქმით, მას ამ ხალხის გარეშე ცხოვრება საკუთარ სახლშიც უძნელდებოდა.

აკ. განერელიას პერიფრაზით თუ ვიტყვით, ხალხის გაჭირვების შემგრძნობი გული და იმერული ფერების ამთვისებელი თვალი შერჩა მწერალს სიბერეშიც.

მე მგონია, – ჰყვება ს. კლდიაშვილი, – რომ დავითი ახლაც ცოცხალი იქნებოდა, რომ არ სცოდნოდა საოცარი მოწყენა. დავითი მარტოობას ვერ იტანდა... მაღალი ძლიერი ხმა ჰქონდა. ხმა პირდაპირ გულიდან ამოსდიოდა. როცა მარტოობის გრძნობა მოერეოდა, ისეთი ხმით იწყებდა ყვირილს, რომ ხმა შორს ისმოდა, ყვიროდა გაბმით, გუგუნით. როცა ერთხელ ვკითხე, რად ყვირის ასე უცნაურად, გულაჩუყებით მითხრა:

„– მარტო ვარ!“

და იქვე, კრიტიკოსის სრულყოფილი შენიშვნა: „მოწყენისა და მარტოობის ეს გრძნობა მწერლის ბუნებაში ჩაისახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მან პირველად დაინახა საკუთარი ქვეყნის ღარიბი ეზოების, პატარა ადამიანების უნუგეშო მდგომარეობისა და გაჭირვებათა ერთფეროვნება“ (აკ. განერელია, იქვე, გვ. 167). ალბათ ზედმეტია რაიმე კომენტარის გაკეთება.

უვიცობაა, დავით კლდიაშვილი თავისი გმირების ცხოვრების გარედან მაყურებელ და გულგრილ შემფასებლად, თუნდაც მეტა გამომცდელად წარმოაჩინო, მით უმეტეს, მათდამი სისასტიკე დააბრალო. სინამდვილეში, მწერალს მათ გარეშე მცირე ხნითაც არ შეუძლია ცხოვრება. ისინი მისთვის ხელოვნურად შექმნილი გმირები კი არ არიან, არამედ, მისი „მე“-ს ნაწილი არიან. ისინი მასში ჩაისახნენ იმ წუთიდანვე, როგორც კი კიევსა და მოსკოვში გაზრდილი მწერლის სულში აღორძინება იწყო მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი რეალურმა გრძნობებმა, როცა დაინახა ადამიანების უნუგეშო მდგომარეობა და ამ მდგომარეობის ერთფეროვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ბუნება შეერწყა არა მარტო ამ პატარა ადამიანებს, მათ საზოგადოებას, არამედ საკუთარი ქვეყნის გაპარტახებულ

ეზოებს, იმერეთის ულამაზესი ბუნებაში გახირულ, ჯოჯოხე-თად ქცეულ ოხორებს.

ამდენად მის არსებაში გაზავდა მშობლიური იმერეთი, მთელი დანალვლიანებული ქვეყანა, ძალადობისგან მოტეხილი, მაგრამ მაინც მებრძოლი. ამ მარად მებრძოლ სულსაა, რომ მოუხმობს მარტოობაში დარჩენილი შემოქმედი მაღალი, პირდაპირ გულიდან ამოსული ძლიერ ხმით.

10. მწერალი „ახირებულ გმირთა“ წრეში

დავით კლდიაშვილის ახირებულ გმირთა თავგადასავ-ლებში თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს თვითონ მწერალსაც.

ამ ერთიანი წიგნის გმირები ერთი თავიდან მეორეში გა-დადიან არა სიუჟეტური თვალსაზრისით, არამედ თავიანთ ბუ-ნებრივ თვისებათა თანალმობით, ხასიათთა იმ მსგავსებით, რომელიც ვლინდება ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში და ჩვენი გენოკულტურის თავისებურ გამოხატულებად გვეჩვენება, კრი-ტიკის მიერ კი აღქმულია აზნაურთა ახირებულობად.

ამ ახირებულ გმირთა პლეადას წინ მიუძღვის თვითონ ავტორი თავისი ხმაგაბმითი გუგუნით. მარტოობისადმი ასეთი შეუთავსებლობა და მოძმისთვის ხმის მიწვდენის მცდელობა – ესაა ახირებულობა, ცხოვრების უკანასკნელ წუთსაც კი არ და-კარგო იმედი და ბრძოლისთვის განაწყო გატანჯული ხალხი.

კლდიაშვილის ამ ახირებულობაში ნათლად იკვეთება, თუ რამდენად შეერწყა ის ხალხის ბუნებას და ხალხის მისას. ამი-ტომაც გაიაზრება მისი შემოქმედება ერთ წიგნად, დიადი ბალ-ზაკისა და მისი „ადამიანური კომედიის“ მიმსგავსებით, რაზე-დაც ზემოთ აღვნიშნეთ. ასეთი გააზრების დაშვებულობის სა-სარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ამ მასშტაბურობით დიდად განსხვავებულ, მაგრამ ფსიქოესთეტიური განწყობით მსგავს პლატფორმაზე მდგარ პიროვნებათა ქვეცნობიერი მიმართება თავიანთი გმირებისადმი, მათი ამქვეყნიური ცხოვრების მიმ-წუხრს.

აკ. განწერელიას გააზრებით, ეს დიდი მხატვარი სიბერის ჟამს ყვირილით აფრთხობდა თავის ქვეცნობიერში დაბუდებულ ლანდებს; შესუსტებულ მხედველობაშიც ძველი იმერეთის შემოდგომის ფერები ჩარჩენოდა (რჩეული, გვ.161). ამ შემთხვევაში, პირველ წინადადებაში, სიტყვაში „აფრთხობდა“, იგრძნობა სოცრეალიზმის „სურნელი“. მარტოობით თავმობეზრებულ, მარტოსულად დარჩენილ კაცს არ შეიძლება თავისივე მოგონებები (კრიტიკოსის თქმით, აჩრდილები) დაეფრთხო, პირიქით, ამ ყვირილით ის ცდილობდა მათი – თავისი გმირების, გამოხმობას, რათა ფიზიკურად დაუძლურებული სხეულიდან და ძალზე დაქვეითებული მეხსიერებიდან არ გამქრალიყვნენ ისინი.

მწერალი ამ ყვირილით აღვიძებს (ეძახის) თავის გმირებს, რათა მისი არსება გამოსტაცონ მარადიულ მარტოობას. ის მათში ეძებს სულიერ სიმრთელეს. ეს სულიერი შფოთი და მარტოობასთან ბრძოლა ხანდაზმული მწერლისა პირდაპირი გაგრძელებაა, „უცნაური ადამიანის“ მოქმედებისა. იმ „ახირებული საუბრებისა და ამოძახილების“ გახსენებაა, რაც მის გამახვილებულ სმენას ესმოდა და მისი სულის ნაწილად იქცა. ეს უდავო ნიშანია იმ ფსიქოზნეობრივი განწყობის არსებობისა, რომელიც იქმნება, როცა ხალხი მთელი თავისი სიკეთითა და სიავით შედის შემოქმედის არსში და, პირიქით, შემოქმედი სრულად ითქვიფება ხალხის გენოკულტურაში.

ამ მოსაზრების დაშვებულობის უტყუარი მაგალითია „ადამიანური კომედიის“ ავტორი. მას თავის ოცნების განხორციელება მხოლოდ წიგნებში შეუძლია, პირად ცხოვრებაში კი არა. მრავალწლიანი ბრძოლით თითქოს მიაღწია საწადელს და გაინალდა თავისუფალი ცხოვრება. წინ უდევს „ადამიანური კომედიის“ 50 ახალი ნაწარმოების გეგმა, მაგრამ ამ სახლში იმიტომ შედის, რომ იქ მოკვდეს. არა კაცი არ მოდის მის სანახავად. ის, რაც სიხარულის სასახლედ ჰქონდა ოცნებაში წარმოდგენილი, საშინელ საპყრობილედ ექცა. ის თითქმის დაბ-

რმავებულია, რაზედაც მეტყველებს მისი ძლივძლივობით გა-
მოყვანილი ბოლო ხელნაწერი, გოტუსადმი მიწერილი: „მე
აღარ შემიძლია წერა და კითხვა“. მაგრამ ის ფარ-ხმალს არ
ყრის, დაულეველია მისი ოპტიმიზმი. ოდნავ მოიხედავს და ხე-
ლახლა ხმას იღებს და ელაპარაკება, ვისაც მოიხელთებს. **მას**
მარტობა არ შეუძლია, როგორც დავითს... ისინი (ორივე) თა-
ვის სულის ნაწილს, თავის გმირებს მოუხმობენ, რომელთაც
სრულად შეერწყმიან. ხსნას მათში ხედავენ: ბოდვის დროს
ბალზაკი მოუხმობდა **ორას ბიანშონს**, ექიმს, რომელიც მის
„ადამიანურ კომედიაში“ სასწაულებს ახდენს: „ბიანშონი აქ
რომ ყოფილიყო, მომარჩენდაო!“ (სტ. ცვაიგი, ბალზაკი,
გვ.444-450).

თითქოს მისტიკის სფეროდანაა ასეთი დამთხვევები, მაგ-
რამ არა, ეს განსაკუთრებული ნიშანია იმ შემოქმედისა, რომე-
ლიც თავის გულში ატარებდა მთელი საზოგადოების ჭირ-ვარა-
მის დარდს. უკანასკნელ უამს, მარადისობის გზაზე, როგორც
ცვაიგმა თქვა ბალზაკზე, „მთელი საზოგადოების დარდი მია-
ცილებს“ კლდიაშვილსაც.

11. კლდიაშვილის გმირთა ყოველდღიური რუტინიდან „ამოყვანაზე“

დავით კლდიაშვილმა დაგვიტოვა ერთი დიდი წიგნი, რომლის მთავარი გმირია გაღატაკებული აზნაური თავისი ახი-
რებული თავგადასავლით. ისინი უცნაურ ამბებს სჩადიან. „ჩვე-
ნებური ჩვევლება“ – ამპარტავნობაც (აკ. გაწერელია) ახასია-
თებთ. ამიტომ გადადიან ისინი მოთხრობიდან მოთხრობაში და
თავიანთ უჯიათ, ახირებულ ხასიათს აჩენენ ცხოვრების სიმუხ-
თლესთან პერმანენტულ ბრძოლაში. ამ თავისებურებებით
არის დაჯილდოებული ყველა მისი გმირი – გლეხი იქნება თუ
აზნაური, ქალაქელი თუ სოფლელი. პატივმოყვარეობასთან შე-
ზავებული ეს ახირებულობა არის ის განსაკუთრებული თვისე-

ბათაგანი, რამაც ქართული მოდგმა გადაარჩინა მსოფლიო კატაკლიზმებს და დღემდე შემოანახვინა თავისი გენოკულტურა.

დიდი ილიას თქმით: „თვით დაიწვენენ, სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის... პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა“ (ილია მართალი (ჭავჭავაძე) შეგონებანი, გვ.6-7). მამასადამე, ახირებულობა – ეს აზნაურთა ექსკლუზიური თვისება კი არაა, არამედ ქართველი კაცის ბუნების ძალზე მნიშვნელოვანი ფერმენია; უფრო დადებითი შტრიხია, ვიდრე უარყოფითი; თვით მოზომილი „ჩვენებური ჩვევლების“ (აკ. განერელიას მიხედვით – ამპარტავნობის, ჩემი აზრით კი, უფრო გამძაფრებული პატივმოყვარეობის) ჩათვლით.

ამდენად, ამ ზნეობრივი (გენეტიკური) თავისებურებების მოცემულობა კლდიაშვილის შემოქმედებაში მოითხოვს „იმერელი აზნაურის“ ყოველდღიური რუტინის კონტექსტიდან ამოყვანას და მისი ბუნების ზოგადეროვნულ, ზოგადადამიანურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით გააზრებას. ამისთვის აუცილებელია იმ დიდი უბედურების დანახვა, რამაც ლევან ქამუშაძეს მისი ენერგიაც გამოაცალა, რომ მის ოჯახში პირველად წვეული პატარძალი ეზოს კარამდე მიეცილებინა. მიუხედავად ასეთი უკიდურესი სისუსტისა, მას არ ავიწყდება იმერული თავაზიანობა. ის დადგება თავისი ჭვარტლიანი ქოხის ზღურბლთან და იქიდან თვალით მიაცილებს მიმავალ სტუმარს.

ის არასდროს ჩივის თავისი ცხოვრების გამო, არც ბედისწერის სიმუხთლეზე მოთქვამს; ის ყოველგვარ ტანჯვანამებას, ფიზიკურ განსაცდელს მედგრად ხვდება და მათზე „ახირებულად“ დუმს. მაგრამ, როცა მისი ძმა – ომანი, უსამართლოდ განიკითხავს მის ცოლს – ეფროსინეს, მაშინ კარგაღებული ქოხიდან გაისმის დოინჯშემოყრილი, წელში გამართული ლევანის ხმა – **რა გინდათ?!** და „ჯავრისგან ათრთოლებული, შერჩა ერთ ადგილს გაქვავებულივით“. ეს ერთი სიტყვა მუქარაა ამ უსამართლო ცხოვრების მიმართ, გაუტეხელი სულის

ძახილია. მას სამდურავს სიკვდილის დადგომის ბოლო წუთიც ვერ წამოაცდევინებს. „სიკვდილი სჯობია, რძალო... სიკვდილი!“ – იტყვის და მერე ლოცავს სონიას.

ვინაც როგორც უნდა ისე წარმოიდგინოს ლევანის ეს დოინჯშემოყრილი სტატიკური სახე და მისი შეძახილი – „რა გინდათ?!“ და „სიკვდილი სჯობია.... სიკვდილი“. მე მათში გადაგვარების (გარუსების) პირამდე მიყვანილი, მაგრამ მაინც მებრძოლი საქართველოს განწირული შეძახილი მესმის.

ამ პერსონაჟში აკუმულირებულია ქართული გენის თანმდევი „ახირებულ თვისების“ ყველა ნიშანი: არ იწუნუნო; კი არ იძახო „ამა სოფლის“ სამდურავი..., არამედ იბრძოლო მისთვის უკანასკნელი ძალის გამოცდამდე და როცა ბოლო უამი დადგება, დალოცვილი დატოვო შთამომავლობა. ამიტომ უპრიანი იქნება, დ. კლდიაშვილის ამ „ერთიან წიგნში“, ასე მაღალმხატვრულ დონეზე აღწერილ „ახირებულ თავგადასავლებს“, გმირთა ხასიათების მაფორმირებელ გენოკულტურულ საფუძველთა გააზრებას ისტორიზმის კონტექსტით მივუდგეთ და შევეცადოთ, გავერკვევით ამ „ახირებული ხასიათის“ არსში, მის ცოდო-მადლში.

12. „ახირებულობის“ ბუნება

კლდიაშვილის შემოქმედებაში აღნერილი ისტორიების „უცნაურ ამბებად“ მონათვლა თვით კლდიაშვილის გამოთქმიდან მომდინარეობს, როცა თვალისჩინდაკარგულმა, თავის გმირებზე ჩაფიქრებულმა მწერალმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თქვა: „**მდა... უცნაური ამბავია!..**“ შემდეგ ეს ფრაზა განერელიამ მთელ შემოქმედებაზე გადაიტანა და მწერლის შემოქმედებითი ნიჭის დახასიათებისთვის გამოიყენა. „საოცრად ადამიანური, მაგრამ მაინც უცნაური ამბის შეუდარებელი მხატვარი იყო იგიო“. შეუძლებელი იყო უცნაური ამბის გმირები ახირებულნი არ ყოფილიყვნენ.

საინტერესოა ავტორისეული გაგება ამ დაუდგრომელი, ახირებულობამდე მისული უშიშარი ხასიათისა, რომელსაც ის ამჟღავნებს ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიწერილ წერილში მისი მოთხოვნის „განკიცხულის“ გამო. ის აღფრთოვანებული ახასიათებს ერთ-ერთ გმირს – მართას, მთელი სისრულით წარმოაჩენს თავის საკუთარ მიდგომას თავგადადებით, უფრო სწორად, ახირებულად მებრძოლ გმირთა მიმართ. „თქვენი მართა ძლიერია სულით, ის იბრძის, რამდენადაც ძალა შესწევს, თუმცა ყველა ბრძოლაში მარცხდება. მაგრამ მასში არის სული ძლიერი, შეურიგებელი, ვერ დამტევი იმ ვიწრო ჩარჩოში, რომელშიც სურთ მოამწყვდიონ ის“ (თხზ., გვ. 367-368). ყველა ბრძოლაში მარცხდებოდე და მაინც იბრძოდე თავისუფლების-თვის – ესაა პოზიტიური ახირებულობა, დ. კლდიაშვილის გმირთა ცხოვრების კრედო, მათი საზრისმანარმოებელი ნიჭი.

ასეთი პოზიტიური „ახირებული თავგადასავლებით“ და ხასიათებით სავსეა ჩვენი ისტორია. მაგრამ ჩვენ ეს კერძო მომენტები კი არ გვიზიდავს, არამედ მისი ზოგადგენეტიკური (ზოგადეროვნული) ბუნება, რომელიც დიდ ეპოქებს გადასწვდება და ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მაშველი რგოლი აღმოჩნდება ხოლმე. ჩვენი მოდგმის ასეთი „ახირებული ჩვევის“ გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა გადარჩენა. ეს ჩვევა ხალხის გაუტეხელ სულში იძერწებოდა.

ასეთ „ჩვევას“ გვიდასტურებს ვახუშტი: „ზნენი აქვდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის... გარნა თუ სძლია ვინმე მძლავრთაგანი, არა დაემორჩილიან“. (ვ. ჭელიძე, ქრონიკები, გვ.15). თუ არა ახირებულობა, აბა, რა უნდა ეწოდოს იმას, რომ მძლავრი მტრის მიერ უიმედოდ დამარცხებულნი „არ დაემორჩილიან“ და ეს ზნეობადა ქცეული.

აი, რა გენეტიკიდან მომდინარეობს კლდიაშვილის გმირთა ხასიათები, იყვნენ ახირებულნი ყოველგვარი საქმის მი-

მართ, რომელშიც ისინი ჩააგდო მათთვის უცხო, უსამართლო სამართალმა.

მოდით, მივადევნოთ თვალი ასეთი ხასიათის ფორმირების ისტორიულ მიმდინარეობას დიდი ეპოქალური პროცესების თვალსაწიერიდან.

ისტორიული წიაღსვლა

ოთხასი წელიწადი გრძელდებოდა არაბთა გავლენა საქართველოს დედაქალაქზე. იყო პერიოდი, როცა ერის ბედი ბეწვზე ეკიდა, ხალხს ფიზიკური გადაშენება დაემუქრებოდა ხოლმე. ჩვენს მემატიანებს, მართალია, ძუნნად, მაგრამ დიდი ექსპრესიულობით შემოუნახავთ ეს მომენტები ისე, რომ გონებაში აცოცხლებ შემზარავ სურათებს.

უცხო წყაროებში – ბიზანტიურში, სომხურში, სირიულში, თვით არაბულშიც, შემორჩენილია გულგრილი ჩამონათვალები თითოეულ ბრძოლებში დაღუპული ათეულ ათასობით ქართველისა, – აღნიშნავს ვ. ჭელიძე და აგრძელებს: რომელიმე არაბი ისტორიკოსი ისე გადმოგვცემს თხუთმეტი, ოცი, ოცდათხუთმეტი ათასი ქართველი მეომრის გაულეტას, საქართველოს რომელიმე კუთხის აოხრების ამბავს, თითქოსდა აქ არაფერიაო (ვ. ჭელიძე, დას. ნაშრ., გვ.8-14).²

მაშასადამე, მონურ მორჩილებას ხალხმა ბრძოლა ამჯობინა. აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. მტერი იძულებული გამხდარა, 23 წლის განმავლობაში 17 მმართველი შეეცვალათ, მაგ-

² ის იქვე აგრძელებს, როცა ვცადე უცხოური წყაროების დახმარებით დაახლოებით მაინც აღმენუსხა ის მნიშვნელოვანი რბეგანი, რაც არაბებისგან ჩვენ ხალხს განუცდია, საკმაოდ გრძელი სია გამოვიდა. ნუსხა დიდ ქაღალდზე შევადგინე, ძირითადი ნაწილი არაბებს დავუთმე, მარცხენა კი „დამატებითი“ ბრძოლები ჩამოვწერე, ჩვენ ხალხს სხვა შემოსეულ მტრებთან რომ გადაუხდია, „მეგობარ“ ბიზანტიასთან, ხაზარებთან და ა. შ. ქართველ კაცს სამ ფრონტზე უხდება ბრძოლა. სიმონ ჯანაშია ამას „სამი მხარით ხმლის ქნევას“ უწოდებს.

რამ ხალხი არ მშვიდდებოდა. ამ „ახირებულ“ აჯანყებებს მოჰყვა მურმან ყრუს სასტიკი ლაშქრობანი.

ამდენად, ჩვენში არაბობის ხანა არის მსოფლიოს დიდი იმპერიების წინააღმდეგ, პატარა მოდგმის ბრძოლის უწყვეტი ჯაჭვის რგოლი, რომელიც მთავრდება ამ ახირებული და პატივ-მოყვარე მოდგმის ეროვნულად კონსოლიდირებითა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საფუძვლის ჩაყრით. ესაა შედეგი ჩვენი მოდგმის ხასიათში არსებული „ახირებულობისა“ და პატივმოყვარებისა, სამწუხაროდ, პიროვნულ ასპექტში, ამ-პარტავნობასა და უხილვობაში რომ გადაგვეზრდება ზოგჯერ.

აი, ასეთი „ახირებულობის“ გამოძახილი უნდა ვეძებოთ კლდიაშვილის შემოქმედებაში, მოთხრობიდან მოთხრობაში, პიესიდან პიესაში გარდამავალ გმირთა ხასიათებში, რომელიც მთელ შემოქმედებას კრავს ერთ წიგნად, რომლის მთავარი მოქმედი თუ მეორეხარისხოვანი გმირები აუცილებლად ატარებენ თავიათ სულში ამ ზნეობას.

თითქოს ჩვემო ისტორიის ამ დიდი პერიოდის გახსენება საკმარისი უნდა იყოს აქ დასმული საკითხის ასახსნელად, მაგრამ, როცა საქმე მიღება ერის ხასიათის ფორმირების თავისებურებებზე, აქ განხილული 400-წლიანი ეტაპიც არ კმარა. ის შეიძლება ცივილიზაციის რალაც პერიოდის გააზრებისთვის სავსებით მისაღები დრო იყოს, მაგრამ არა თავად ხასიათის ცალკეული შტრიხის, გენოკულტურის განსაკუთრებული თავისებურებების ფორმირებისთვის. ამიტომ ჩვენ ხასიათში ამ „გენეტიკური ახირებულობის“ პოზიტიურ არსში გარკვევისათვის კიდევ ერთ, არანაკლებ სასტიკ, ორსაუკუნოვან ეპოქას მივადევნოთ თვალი.

* * *

დიდი ანგარიშით, 600-წლიანი სახალიფოს მზის ჩასვენებით უნდა დავიწყოთ, რომელშიც ქართველ მეფეებთან ერთად „ყველანი წარჩინებულნი საქართველოსი მონაწილეობდნენ“.

1258 წ. 10 თებერვალს, თორმეტი დღის ალყის შემდეგ ჰულალუ-ყაენმა აილო ბალდადი, რომელიც 5 საუკუნე იყო სახალი-

ფოს მთავარი ქალაქი (ის 762 წ. დააარსა აბასიდიანთა დინასტიის ხალიფაშ ალ-მანსურმა).

დავით ულუს მხედრობა, როგორც მემატიანე ზოგადად იტყვის, „წესადაც არს ქართველთა წინამებრძოლობაო“, ამჯერადაც მენინავეობდა ბალდადზე შეტევას. მემატიანე ასე აგვინერს ამ ბრძოლის ამბავს: „შეთხარეს ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა და მოსრვიდეს სპათა ბალდადელთა... და ესრეთ განახვეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შევიდეს“. არაბებს ბრძოლა წაგებული ჰქონდათ.

უკანასკნელი ხალიფა მასტახემი შვილებითურთ დაილუპა. უცხოურ წყაროთა ცნობით, „ის ჩასვეს ტომარაში და მოსრესინეს მონლოლთა ცხენების ფეხვით ქვეშო“ (მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, გვ.180, თბ.1998 წ.).

სახალიფოს აღსასრულის აღწერის ქართული ვერსია ზედმინევნით ასახავს იმ განწყობას, რომელიც უნდა ჰქონოდათ ქართველ მეფე-დიდებულებს არაბთა 400-წლიანი სისხლიანი ბატონობის გამო სამაგიეროს მიგების შესაძლებლობის მიცემით. უამთალმწერელის თქმით: „მოსრნეს მახვილითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არ იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკვდართა მიერ“. მემატიანის მიერ ხალიფა მასტახემის სიცოცხლის ბოლო წუთების აღწერისას ისე გეჩვენება კაცს, რომ მონლოლებმა იმ სისასტიკეთათვისაც გადაუხადეს სამაგიერო, რაც მათ ჩაუდენიათ მთელი ამ 600 წლის განმავლობაში საქართველოში.

ყაენმა სიკვდილი ბრძანა მისი და მის შვილთა. ხალიფასთან მისული ეღლონ ნოინი კი ცინიკურად ეტყვის მას, ყაენმა შეგიწყალაო. გაუხარდა, მაშინ გამიშვასო, ნოინმა უთხრა, შეწყალება ის არის, რომ ყაენი თავის ხელით მოგვლავს შენ, ხოლო შენს შვილს ყაენის შვილი აბალა მოკლავსო.

ხალიფაც და მთელი მისი „სახლეული“, მთელი მოდგმა აბასიდებისა ერთიანად გაულიტეს.

ასე მოელო ბოლო არაბთა ხალიფატს (ვ.ჭელიძე, ქრონიკები, IV, გვ. 269-291).

სრულიად საქართველოს მეფისა და ყველა წარჩინებულ-თა მონაწილეობა ერთ დროს მსოფლიოს მპყრობელი სახალი-ფოს გაცამტვერებაში მისტიკა, უფრო აღსრულებული მისტიკა იყო. ეს ის პედისწერაა, რომელიც ეძლევა მას, ვისაც გაუტეხე-ლი სული აქვს და ბოროტებასთან შეურიგებლობის „ახირებუ-ლობა“.

„დიდი ეროვნული პოტენცია და გაუტეხელი სული უნდა ჰქონდეს ხალხს, რომ ... საშინელ განსაცდელს გაუძლოს. ამ დი-დი პოტენციის სხივი ჯერ სადღაც, რომ არ მოელი, ისეთ ადგი-ლას გაიელვებს ხოლმე, როგორც ნიშანი – არ გავმქრალვარო. ისეთ რამეში გამოვლინდება, რასაც არც ელი და ვერც წარმო-იდგენ“ (ქრონიკები, II, გვ. 30). ასეც მოხდა, ასეულათასობით გაუ-ლეტილ ქართველთა სისხლის საფასურის გალება მოუწიათ მურვან ყრუსა თუ ბუღა თურქის შთამომავალთ.

მაშასადამე, ჩვენ ხასიათში გამჯდარი ეს „ახირებულობა“ წარმოადგენს ყოველ მძიმე უამს დიდი ეროვნული პოტენციის წარმოჩენისა და განახლების საშუალებას, რომელიც ცნობიერ-სა თუ ქვეცნობიერში გამოვლინდება. მას მუდამ გამოაქვს ნაყო-ფი. ამ „ახირებული“ ხასიათის გარეშე წარმოუდგენელი იქნებო-და გადარჩენა. ამის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია, XIV ს. ბოლოსა და XV ს. დასაწყისის კულტურული სამყაროს უდიდესი ნაწილის მფლობელის თემურ ლენგის წინააღმდეგ ქართველი ერის მართლაცდა ახირებული ბრძოლების ისტორია.

* * *

დიდი „ახირებულობა“ იყო, აბა, სხვა რა შეიძლება ეწო-დოს იმას, რომ 1387 წელს თბილის გარშემომომდგარ თემურ ლენგთან მძიმე ბრძოლაში დამარცხებულმა და ტყვედ ჩავარ-დნილმა ბაგრატ V-მ ყარაიაზში მიაღწია იმას, რომ მოჩენებით მიეღო მაპმადიანობა და ლენგთან ზავი ჩამოაგდო იმ პირობით, რომ თავის სამეფოს მის გავლენის სფეროში შეიყვანდა. ის მთე-ლი ამაღლითა და 12 000 ჯარით გამოამგზავრეს თბილისს. მან კი თავის შვილებს შეუთვალა, რომ გზაზე ჩასაფრებოდნენ. ასეც მოხდა, მეფის შვილები თავს დაესხნენ თათრებს და უდიდესი ნა-წილი ამოხოცეს (მარი ბროსე, გვ.196).

მეორე წელს ლენგი ხელახლა შემოესია ქვეყანას, მაგრამ იგი მაინც ვერ გატეხა. თემური ჩრდილოეთში გადადის და თოხ-თამიშთან იბრძვის. ამდენად, ბაგრატ V-მ არც ამჯერად მიიღო ნაწყალობევი მშვიდობა.

1394 წლის 13 სექტემბერს ყოფილი ყაჩალი ისევ შემოესია ქვეყანას თრიალეთის გზით; მიზანი იყო ქვეყნის სრულიად და-მორჩილება და დარიალის ჩაკეტვა, რათა ჩრდილოეთ კავკასიას-თან კავშირი მოესპო. ამჯერად მან ორჯერ ილაშქრა საქართვე-ლოში. შემდეგ დარუბანდის გზით (ე. ი. ვერ აიღო დარიალი), ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, თერგის პირას გენერალურ ბრძოლაში გაანადგურა თოხთამიში (ოქროს ურდოს ხანი), ჩრდილოეთ კავკასიაში გადაწვა ქრისტიანული ეკლესიები, ხალ-ხის იძულებით გამაჰმადიანებას მიჰყო ხელი.

ამის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თითქოსდა ყო-ველგვარმა წინააღმდეგობამ დაკარგა აზრი. თემურის გამჩერე-ბელი არავინ ჩანდა მაშინდელი მსოფლიოში, მაგრამ, სულ ცო-ტა ხანში, ქართული ხასიათის ახირებულობამ – მუდამ ჟამს იბ-რძოლოს თავისუფლებისათვის, ისევ იჩინა თავი. თემურის ინ-დოეთში ლაშქრობის პერიოდში საქართველო გახდა ცენტრი კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლისა. გენის „დიდი ახირებულობის“ გარეშე ამას შეძლებდა პატარა ერი?

ეს იმდენად სერიოზული მოვლენა ყოფილა, რომ თემურმა მიატოვა ინდოეთი და 1399 წლის ბოლოს ამიერკავკასიაში შემო-ვიდა, რათა საბოლოოდ გაემაჰმადიანებინა კავკასია.

ამჯერად ის საქართველოში ჰერეთ-კახეთიდან შემოვიდა. სპარსი ისტორიკოსი წერს: „ამ ბრძოლაში იმდენი სისხლი და-იღვარა, რომ თოვლით დაფარული ველები ლალისა და ბრონეუ-ლის ყვავილის ფერად იყო შედებილი“. ამდენად, ლენგის ბარ-ბაროსობას საზღვარი არ ჰქონდა. მან ბრძანა, გაენადგურები-ნათ ყველაფერი: ბალები, ვენახები, ბოსტნები, ეკლესიები, სამ-ლოცველოები, სასახლეები, სახლები და ა. შ. წყაროს ცნობით, ინდოეთშიც არ დაუნგრევია იმდენი შენობა-ნაგებობა, რამდე-ნიც საქართველოში. ასეთი იყო შედეგი მეექვსე ლაშქრობისა.

1400 წლის გაზაფხულზე თათართა ლაშქარი ისევ მოადგა საზღვარს, თემურმა გიორგი მეფეს ელჩი გაუგზავნა. ის მოით-

ხოვდა მძევალს და მეფესთან თავშეფარებული მაჰმადიანი მფლობელის გადაცემას. გიორგიმ მტკიცე უარი სტკიცა მსოფლიოს მრისხანე მფლობელს. გაგულისებულმა ყაჩალყოფილმა საქართველოს ნაცარტუტად გადაქცევა განიზრახა.

ის შემოვიდა შიდა ქართლში. ამოხოცეს გამოქვაბულებს თავშეფარებული ხალხი, დაიპყრეს 19 ციხე, რომელთა სახელები არაბ მემატიანებს ისე დაუმახინჯებიათ, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია, გიორგი მეფე სვანეთის მთებში იყო. თათრები მას აქაც ჩაყვნენ, მაშინ ის აფხაზეთში გადავიდა. ასე რომ, ქანცი გამოელიათ მდევართაც და დევნილთაც.

მიღწეულ იქნა ზავი. გიორგიმ ოსმალებს გადასცა მისი სტუმარი ტახირ-სულთანი, რომელიც თავისი მამითურთ დაბრუნდა ბალდადს. გიორგი დასთანხმდა, ხარკი ეძლია თემურის-თვის, ძმის ხელით გაუგზავნა მდიდარი საჩუქარი და გამოსთხოვა მას მთელი საქართველოს შეწყნარება (მარი ბროსე, იქვე, გვ.169-170).

1403 წელს მტერი ქვემო ქართლში შემოვიდა, ბირთვისს შემოეწყო. ამ ციცაპოზე მდგარ ციხეს ციხისთავი და 30 ქართველი თავადაზნაური იცავდა. თემური თვითონ ესწრებოდა ამ ბრძოლას. დიდი ბრძოლის შემდეგ აიღეს ის. თემურმა იქ ჯარი ჩააყენა და ბრძანა, ყველა მახლობელ მხარეში მკვიდრნი შიშის ქვეშ ყოლოდათ, ქრისტიანები ან გაეწყვიტათ ან განედევნათ. ქართველებს ამ მიდამოებში დასახლება აეკრძალათ. მან მეფე გიორგისგან ათასი ოქროს მონეტა და სხვა საჩუქრები მიიღო. მონეტებზე თემურის სახელი იყო ამოტვიფრული. ამის შემდეგ თემური წავიდა სამშობლოში, საიდანაც არ დაბრუნებულა. ის გარდაიცვალა 1405 წ. (მარი ბროსე, იქვე, გვ.177).

საბოლო დაზავების პროცესს ქართული წყაროები ასე გადმოგვცემენ: დასავლეთ საქართველოში ბრძოლის პროცესში ენერგია ეცლებოდა ორივე მხარეს. ლენგმა ილაჯგაწყვეტილი ლაშქარი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა. ამ როზულ ვითარებაში თვითონ თემური გამოვიდა საზავო ხელშეკრულე-

ბის დადების ინიციატივით, თან ერთოდა ტყვედმყოფი ქართული თავად-აზნაურების თხოვნაც.

გიორგიმ მდიდარი საჩუქრები და ელჩები გამოაგზავნა. ზავი დაიდო ძველებური პირობებით: ხარკის გადახდა, საჭიროების შემთხვევაში მაშველი ჯარის გამოყვანა და ა. შ. მაგრამ თემურის პირველი პირობა გიორგიმ მაინც არ შეასრულა, ის არ ეახლა მსოფლიოს მძვინვარე განმგებელს, რომლის წინაშეც ქედს იხრიდნენ ჩინეთ-ინდოეთიდან დაწყებული ეგვიპტით დამთავრებული, არადა, ლენგი პირველ პირობად ამას აყენებდა.

თემური იძულებული იყო, ამას შერიგებოდა. ის კი არა, როგორც მემატიანები აღნიშნავენ, „გახარებული უკან დაიძრა სამშობლოსკენ“ (საქართველოს ისტორია ერთ წიგნად, გვ.248-254, თბ. 2012 წ.) თუმცა მან თავის მორიელურ წესს გესლის ნოხევისას არც ამჯერად უღალატა და უკანასკნელად (მერვედ) მოიხსა გული ფაქტობრივად უშედეგოდ დამთავრებული 17-წლიანი ომის გამო ამ პატარა, „ახირებულ“ მოდგმასთან – თბილისში შეიქრა და ააოხრა ყველა ეკლესია-მონასტერი.

ის სამარყანდში ჩასვლის შემდეგ, არც მეტი, არც ნაკლები ჩინეთის დასაპყრობად გაემზადა, მაგრამ გზად გარდაიცვალა. სამარყანდში მის მიერვე აგებულ აკლდამაში ისე ჩაესვენა, ვერ აისრულა ოცნება – მის წინ დაწინქილი ენახა მეუე გიორგი.

მსოფლიო ისტორიაში მრავალი მაგალითი შეიძლება მოიძიო დიდ და სასტიკ დამპყრობელთან პატარა ხალხის, სრულიად უიმედო მდგომარეობაშიც კი, თავგანწირული ბრძოლისა, მაგრამ ასეთი გენეტიკისა და ზნეობრივი კოდექსის დონემდე აყვანილი, მთელი ერის თავგანწირულობის მაგალითი (ლენგთან ბრძოლაში ჩართული იყო მთელი მოდგმა) იშვიათია.

ეს „ლირსეული“ თავისუფლებისთვის ბრძოლის „ახირებული ზნე“ უწყვეტად წარმართავდა ერის პერმანენტული ბრძოლების საზრისმომცველობას წინაისტორიული ეპოქებიდან მოყოლებული დღევანდელობამდე (ელინთა ყაჩაღური ლაშქრობა – „არგონავტები“, კიროსისა და დარიოსის სპარსეთი; ალექსანდრე მაკედონელისა და დიადოხოსთა იმპერიები; პონტოს სისტემა და რომაელთა იმპერიის შემოსვლა, ბიზანტიის იმპერიის „მტერმოყვრობა“; არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობა, „დიდ-

თურქობა“; ბრწყინვალე ფეოდალური მონარქიის აშენებისა და ევროპული ალორძინების სათავეებთან დგომის შემდეგ დაწყებული, ახალი ეპოქალური შემოტევების უწყვეტი პერიოდი: მონლოლობა, ოსმალობა და ყიზილბაშობა, მცერმოყვრული ბიზანტიური ვერაგობის ჩანაცვლება ათვერ უფრო ვერაგული რუსული თვითმმკურობელობით და ბოლოს – „ბოროტების იმპერიის“ კლანჭებში ყოფნა).

როგორც ვხედავთ, ამ ხანგრძლივი დროის მომცველი პერიოდების ჩამონათვალმაც კი დიდი დრო და აღგილი წაიღო, მაგრამ ამის ჩამოთვლის აუცილებლობა იმდენად დადგა, რამდენადაც აშკარად ჩანს, რომ არა ჩვენი ეროვნულ ხასიათში მოცემული ეს „ახირებულობა“ და „ჩვენებური ჩვევა“, ვერა მოდგმა ვერ გაუძლებდა ასეთ უწყვეტ შემოტევებს.

13. ქართული ხასიათის პუნქტისთვის

გრ. რობაქიძე წერილში „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“ წერს: ქართველი თავმომწონეა. აქვს კიდევ უფლება თავმომწონეობისათვის. „Larousse“-ის (ფრანგული ენციკლოპედია) განმარტებით: „La plus belle race humaine qui soit au monde“ კაცობრიობის ულამაზესი მოდგმა. მაგრამ მისი ეს თავმომწონეობა არ გულისხმობს რუსულ „Тщеславие“-ს, ან გერმანულ „Eitelkeit“; ფილოსოფოს ერმანნის ახსნით ეს გერმანული სიტყვა გაიგება, როგორც შიში არმოწონებისა. ქართველს ბევრნაირი შიში ანუხებს, ხოლო არა ეს. მას კიდევაც გაუკვირდება არ მოეწონოთ. თავმომწონე ქართველი „თავგამოჩენის ჟინითაა შეპყრობილი“ (გრ. რობაქიძე, გვ. 22).

ეს „თავგამოჩენა“, თუ ძირეულად ვწვდებით მას, სხვის წინაშე კი არ ჩნდება, რომ „დაჩრდილოს“ იგი. ქართველის „მე“ სხივოსნდება „შენში“. ფესვი ქართველის თავმომწონეობისა აქ იმაღლება. „გაახარე-გაიხარე“ – აი მთავარი არსი ამ თავმომწონებისა. „ხარება“ „ზრდას“ ნიშნავს. „გაახარე – გაიხარე“ – ეს მეტყველებს: შეუწყვე ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვი-

თონ „იზრდებოდე“ . არც ერთს შვილს რომელიმე სხვა ერისას არ ძალუდს ისეთი სისრულით იყვეს „ერთგული“, თავდადებული მეორისათვის, სხვისათვის, როგორც ქართველს. უკანასკნელი მსახურია მოყვასისა, „მსახური“ ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით. ასეთია ნიშანწყალი ქართული ხასიათისა.

„ქართველი სხვაში“ ჰქონილი ასხივოსნებას; იქიდან ასხივოსნებული, იფინება იგი თავის წინაშე თავმოწონებით, როცა ეს პროცესი არ აწყობა, „მე“ უკუიქცევა, იკუმშება შინაგანად, ხდება ჩათხრობილი. ამას ხელს უწყობს „შენის“ მხრიდან დაუდევრობა, „მე“-სგან სიფიცხე. თუ ამას წყენაც მიემატება, „შენი“-სგან, ქართველი „მე“ „თავისთავადი“, გლეხიც კი განზედება, ცხარდება, თავნებად იქცევა, განზედება. საქართველოს რღვევის სათავე აქ უნდა ვეძიოთ.

ქართველთა მეთაურთ, თითო-ოროლას გამოკლებით, შეგნებული რომ ჰქონოდათ ქართული ხასიათის სიავეკარგება, დარწმუნებული ვარ, მაშინ ვერც თურქი, ვერც სპარსი, ვერც ხვარაზმელი, ვერც მონღოლი, ვერც რუსი, ვერც სხვა ვინმე შელახვდა საქართველოს. დიახ, როცა ის ვერ ჰპოულობს სხვაში გამოხმაურებას, იგი ხდება ურჩი და უდრეკი. მას ვერც მოსრი და ვერც გასტეხს. საკმარისია „შეასახელო“ იგი, ურჩი და უდრეკი, მყისვე მოლბება. ეტყვი: „შენს მეტი ამას ვინ შეასრულებს!“ და იგი ახალისებული, თავს გასწირავს. ბრძანებით საქართველოში ვერაფერს მიაღწევ – ხოლო შესახელებით ყველაფერს (გრ. რობაქიძე, გვ.22-26, თბ., 2012 წ.).

ქართული ხასიათის გახსნის მიზნით ასეთი დიდი წიაღსვლა გენიალური ფსიქოგენეტიკოსი მწერლის შემოქმედებაში აუცილებლად მივიჩნიეთ, რათა კლასიკური მაგალითის საშუალებით სრულად წარმოგვეჩინა იმერელ აზნაურთა „ახირებული თავგადასავალი“ და „ჩვენებურ ჩვევლებათა“ შემქმნელი მოდგმის ხასიათის არა მარტო მითოისტორიული საფუძვლები, არამედ ამ ხასიათის სრული საზრისმომცველობაც. მას რობა-

ქიძე „ხასიათის ნიშანწყალს“ უწოდებს. ის ვლინდება „ახირებულობაში“ და „ჩვენებურ ჩვევაში“, აკ. განერელიას თქმით, ზოგჯერ „ამპარტავნობაში“ რომ გადაგვეზრდება ხოლმე; გრ. რობაქიძე კი თავმომწონეობად ნათლავს – „ქართველი თავმომწონეა“. ამ ორ ცნებასა და მიღების შორის ხელშესახები განსხვავებაა:

პირველი – „თავმომწონეობა“ თავის თავში მოიცავს ლირსებისთვის აუცილებელ პოზიტიურ მუხტს, მიუხედავად რიგი ჩრდილოვანი გამოვლინებებისა; მეორე – „ამპარტავნობა“ ცოდვაა, ის „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ „ცუდი ტვინის“ ნაყოფია, რომელიც, გრ. რობაქიძის თქმით, ქართულ ხასიათში „თავნებობის“ სახით ვლინდება, როცა „მე“ ვერ პოულობსო „შენში“ რეაქციას.

გრ. რობაქიძის „რომანტიკული“ მიღების გათვალისწინების შემთხვევაში სრულად ჩანს ქართველთა „ახირებულობის“ ბუნება, რომელიც უკიდურესი კრიზისის უამსაც კი წარმოჩნდება იმ „ახირებულ თავგადასავლებში“, რომლის მაღალ-შემოქმედებით დონეზე აღნერა მოგვცა დ. კლდიაშვილმა.

დ. კლდიაშვილის გმირთა ხასიათებში ამ „ახირებულობისა“ და „ჩვენებური ჩვევის“ ფილოსოფიის აუხსნელად, განზე დაგვრჩებოდა ცხოვრებისეული ტრაგედიულობის გამომწვევ მიზეზთა მთელი გამა. მივიღებდით ჩვეულებრივ ფორმალურ მოცემულობებს, ხელთ შეგვრჩებოდა იმერული იუმორით გაჯერებული რაღაც პროვინციულ თავგასართობი – სატირა.

14. გაცვეთილი კლასობრივი ეტიკეტი

ქართული კრიტიკის მიერ კლდიაშვილის შემოქმედების ერთ მთლიან წიგნად, ერთი უნივერსალური გმირით, ერთიანი მიზანსწრაფულობით, ცხოვრების ცარისტული წესის წინააღმდეგ ჭიდილის ერთიანი გააზრებით უკვე ნიშნავდა სოციალისტური (კომუნისტური) იდეოლოგიის ჩარჩოებიდან გასვლას.

„ქართული ჰუმანური“ აზრით, მის შემოქმედებაში ცხოვრებისეულ რეალობას მთელი მისი ტრაგიკულობით ჭვრეტად, როგორც მას თვითონ მწერალი განმარტავდა, „ყველანი მსხვერპლად ეწირებიან შავბნელ ცხოვრებას, რომლის გაშუქების, განათების განკარგულებისთვის უნდა ვმუშაობდეთ“ (თხ. გვ. 418).

ასე რომ, სასწავლო პროგრამებში მომაკვდავი ფეოდალური კლასის აგონის წინ წამოწევა არსებული ისტორიული რეალობის გამოძახილი იყო. თვით სწორუპოვარი მონარქისტი ბალზაკიც კი აღიარებდა ამ რეალობას. იგივე ხდება კლდიაშვილთანაც, მისი გმირების კლასობრივი ეტიკეტი გაცვეთილია, მაგრამ მათი გენეტიკური სულის სიდიადე ახირებულობად რომ მოვნათლეთ, თავის „ნიშანწყალს“ არ კარგავს. ეს იმერელი აზნაურები „სიცოცხლისთვის ბრძოლაში“ იჩენენ იმ ახირებულობას, რასაც იჩენდა ის 30 თავადა-აზნაური, რომელიც თმოგვის ციხეს იცავდა ასჯერ უფრო მეტ მტერთან ბრძოლაში.

აზნაურთა ეს „ახალი მოდგმა“, ლირსებისა და პატივმოყვარეობის ფსიქოზნეობრივი საკითხისადმი მიღებოდით, მათგან მხოლოდ დროსა და სივრცეში მოცემულობით – სიტუაციურობით თუ განირჩევიან. სულიერი განწყობით ისინი სრულიად იდენტური არიან. ამიტომაც განაცხადა ავტორმა, „მე არავის-თვის დამიცინიაო!“ ის კი, რაც „შემოდგომის აზნაურს“ და სხვა მსგავს გააზრებებს შეეხება, ეს ოდენ კონიუნქტურა იყო. სინამდვილეში, დოგმასავავით იყო მიღებული: „დავითი საოცრად ადამიანური ამბების შეუდარებელი მხატვარი იყო“. აქ სიცილიც ემორჩილება ცხოვრების იმ გამოცდას, რომელიც მოუწყეს ქართველურ მოდგმას. „იმერეთის უმნიშვნელო, პატარა ადამიანების თავგადასავლები, მათი ტკივილები... სევდანარევ სიცილს იწვევდა“ (აკ. განერელია, იქვე, გვ. 135). ყოველივე ამის უკან უნდა ვეძიოთ ის, თუ ვინ და რამ გახადა ერთ დროს თემურ-ლენგთან მებრძოლი ეს იმერელი აზნაური „უმნიშვნელო პატარა ადამიანი“, ვინ მოუკლა მხიარული სიცილის სურ-

ვილი. აი, რა უნდა ვეძიოთ იმერელი კაცის ყოველდღიური ცხოვრების ამ „ერთიან წიგნში“ და არა ძირისძირამდე გაცვე- თილი და დღეისთვის არავისთვის საინტერესო საბჭოური იდე- ოლოგის ნაკვალევი.

15. მეთოდური შენიშვნა კვლევის პროცესისადმი

დღევანდელი ქართველი მკითხველისა და კრიტიკისათვის ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის მოძიება უნდა იყოს უმთავ- რესი პრობლემა, ვინაიდან, დავით კლდიაშვილის შემოქმედების განხილვა იმთავითვე ძირითადად მიმდინარეობდა სოციალურ და ეკონომიკურ (მატერიალისტურ) გააზრებათა დომინანტობი- თა და რაციონალისტური ფსიქოკულტურული გააზრებებით; ამიტომაც წარმოჩნდა ქართველი კაცის ლეგიტიმური უფლება, „იყოს თავმომწონე“ (გრ. რობაქიძე) „ამპარტავნობად“ (აკ. განე- რელია) და არასწორად ენოდა „ჩვენებური ჩვევა“.

ზემოთაც ითქვა და გაიმეორებ, რომ „მწერლის დამკვირ- ვებელ თვალს“ და „გამახვილებულ სმენას“ არაფერი გამორჩე- ნია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის რაციონალური მიდგომა, რომლი- თაც ფასდებოდა დ. კლდიაშვილის ეს „იმერელი კაცის ცხოვ- რების წიგნი“, არ იყო საკმარისი თუნდაც იმ ზედმინევნითი სწორი შეფასებითაც კი, რასაც იძლევა აკ. განერელია; ზოგა- დად, კლდიაშვილის შემოქმედების გონიერი შემფასებლები.

აკ. განერელია წერს: მე არ მეგულება მეორე ნაწარმოები ქართულ პროზაში, რომელშიც ასე მძაფრად იყოს ნაჩვენები პირდაპირ ფატალური მდგომარეობა ადამიანებისა. მთელი ძა- ლით ძეგრს მისი გული პატარა ადამიანებისადმი. აჲყავს ისინი ადამიანური განცდის მაღალ საფეხურზე. მწერალმა, პირვე- ლად ჩვენს პროზაში, შეძლო პერსონაჟის მხრივ ტყუილის თქმისას ეჩვენებინა არაჩვეულებრივი კეთილშობილება გმირი- სა. ის ფსიქოლოგიური განცდის ხატვის გამორჩეული ოსტა- ტია. მან დაინახა საკუთარი ქვეყნის ღარიბი ეზოების, პატარა ადამიანების უნუგეშო მდგომარეობისა და გაჭირვების ერთფე-

როვნება. იმდენად ცოცხალნი და დამაჯერებელნი არიან ისინი, რამდენადაც მწერალს არასდროს არ ლალატობს ზომიერების გრძნობა, დიდი ტაქტი. იმდენად დიდია მწერლის მიერ შეგრძნება საკუთარი გმირების ადამიანური ტკივილისა, რომ შეუძლებელია მისი მიჩნევა სატირიკოსად.³

ეს ზეპირი კოლაჟი, გაკეთებული აკ. განერელიას კრიტიკული წერილიდან დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე, შეიძლება გავიაზროთ ამ ჰუმანისტი მწერლის შემოქმედებისადმი დამკვიდრებულ ზოგად მიდგომად. ეს კი ნათელს ხდის, თუ რამდენად მცდარიყოფილა ჩვენი „ლექტორების“ შეხედულება დავით კლდიაშვილის ბელეტრისტიკის როლისა და ადგილის შეფასების შესახებ მიდგომაზე ქართული ლიტერატურის, ზოგადად, კულტურის ისტორიაში.

მაგრამ ჩვენ ამჯერად სულ სხვა კონტექსტი გვაინტერესებს, კერძოდ, ამ სოციალური (რაციონალური) გაგების მიღმა არსებული („ზოგჯერ მისტიკის საზღვრამდე რომ მიდის“); ე. ი. გვაინტერესებს იმ ირაციონალურის მოხელთება, „რომლის გარეშეც ნამდვილი კრიტიკა წარმოუდგენელია“ (კ.გამსახურდია).

16. რაციონალურ კონტექსტის მიღმა არსებულის ახსნისთვის

კრიტიკოსი ცნებათა კატეგორიებში ხსნის ხელოვანის ირაციონალს, ამარტივებს მას. გვიჩვენებს ყველა ელემენტს, რომელიც მოუხმარია ავტორს იდეების სახით.

ამდენად, კრიტიკოსი უნდა გასცდეს წმინდა ლიტერატურული გაგების ფარგლებს. მისი მიზანი ირაციონალურის გახსნა უნდა იყოს, იქნება ეს ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიის მეთოდით, (კ. გამსახურდია, კრიტიკა და შემოქმედება, ტ.VII,

³ მარტო ეს მოსაზრებაც კი იკარებდა ჩვენი ლექტორების მიერ წარდგენილ „ბრალდებათა“ გასაქარზყლებლად, რომ დ. კლდიაშვილს ოდენ იმერულ სატირიკოსად მიიჩნევდნენ.

გვ. 241, თბ., 1965 წ.). ამ მოსაზრებათა კონტექსტში უნდა ავსნათ კლდიაშვილის „ერთიანი წიგნის“ რაციონალისტური გაგების მიღმა არსებული ირაციონალური ბუნება. ეს აუცილებელია, თუნდაც იმიტომ რომ, როგორც განერელია იტყვის: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ დ. კლდიაშვილი, უნინარეს ყოვლისა, მორალისტია“ (იქვე); ე. ი. არ შევჩერდეთ მისტიკის საზღვართან, არამედ ამ ხასიათებს მოვუძებნოთ ის რეალისტური ფსიქო-გენეტიკური თუ ფილოსოფიური საყრდენები, რომებზე-დაც დგას ჩვენი ყოფიერება. ასეთი მიდგომის შემთხვევაში „გაიდება ხიდი ყოფნასა და სხვა ყოფნას შორის“, შევძლებთ ავსახოთ „სული საუკუნისა“-(თა), რომლის განპირობებულობა გვეძლევა ამ „იმერულ კომედიაში“ – ერთიან წიგნში. მასში უნდა დავინახოთ „მოძრაობა იდეათა მარადი გარსისა“,⁴ რომელიც აწარმოებს ჭეშმარიტ ეროვნულ არსა.

მწერალი ერთი წამითაც არ შორდება თავის ამ იდეათა სამყაროს. ამიტომაც გახდა შესაძლებელი მოთხოვნიდან მოთხოვნის, პიესიდან პიესაში გარდამავალ ამ მხატვრულ სახეთა ერთ მთლიან ფსიქოეთნიკურ კონტექსტში გააზრება.

იმერელი კაცის ამ ტრაგიკომედიაში, ცხოვრების ყველა დეტალში, ფსიქიკური წყობის ყველა სუბიექტურ თუ ოპიექტურ გამოვლინებაში, სახელმწიფო ბრივი პოლიტიკური ფუნქციანართმეული მოდგმის (ხალხის) გადარჩენისთვის ბრძოლის სურათი იხატება. ამ საზოგადოებისთვის რუსული რეფორმა ისევე უცხო და გაუგებარი იყო, როგორც ჩინური. ამიტომ ნაციონალური სახელმწიფო ბრივი მოშლილი, სოციალ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად კოლონიალურ ულელქვეშ მგმინავი, გენოკულტურულად სრული ასიმილაციის საშიშროების წინაშე მყოფი საქართველოა დასანახი (გასააზრებელი).

ყოველგვარ ფუნქციამოშლილ ამ საზოგადოებაში კლასობრივი სახეც მოშლილია; ისინი, რუსული მოხელის (წესრი-

⁴ წინწკლებში მოქცეული ტექსტი კ-გამსახურდიას იმავე წერილიდანაა აღებული.

გის) კერძად ქცეულნი, საკუთარი ახირებული ხასიათის ამარა, ცარიელი ხელებით აღმოჩნდნენ სატანური იმპერიული ძალის წინაშე.

ჩვენ, როცა რაციონალური გააზრების იქით გახედვას ვა-ანონსებთ, მხედველობაში სწორედ ეს სატანური სახე გვაქვს, რომელიც მათი ყველა უბედურების უკან დგას.

დღეს თუ რაიმე ახალი კონტექსტის დანახვა გვინდა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში, სწორედ ამ რუსული დაუნდობელი ჩავრის ნაკვალევის დადასტურება უნდა იყოს როგორც საკუთრივ ტექსტში, ასევე სტრიქონებს შორის. ამ „იმერულ კომედიაში“ ყველა უბედურებისა და გასაჭირის თავურმიზეზად ცარიზმის მოღალატეობის შედეგად სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ეროვნული ფუნქციამოშლილობა უნდა ვივარაუდოთ.

მაშასადამე, იქ, სადაც ავტორი ხატავს დეკადენსირებულ სახეს სოციალური ჯგუფისა თუ ინდივიდისა, მის იქით აუცილებლად უნდა გავიაზროთ მთელი ის სუბიექტ-ობიექტი, რომლებმაც განიცადეს ეროვნული ფუნქციის მომშლელი ცარისტული რეჟიმის მსახვრალი ხელის დამახრჩობელი ძალა. ამიტომაცაა, ასეთი დიდი თანაგრძობით რომ ძერს ავტორის გული ამ „პატარა ადამიანებისადმი“, ისინი არიან იმ თავად-აზნაურთა სულიერი ადეპტები, რომელთა საოცარ ისტორიებზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა. მათი „მე“ დააპატარავა რუსულმა კოლონიალურმა ძალმომრეობამ, ე. წ. რუსულმა მმართველობამ. ამიტომ კლდიაშვილის ტექსტებში თუ მის მიღმა უნდა ვეძიოთ ამ გამაუბედურებელი ძალის მხილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის ნაკვალევი. ამის მაჩვენებელია ის, რომ მწერალი სასტიკად კი არ ექცევა თავის პერსონაჟებს, როგორც ბრძანა ლექტორმა, არამედ ადამიანური განცდის უმაღლეს საფეხურზე აპყავს ისინი.

კლდიაშვილის შემოქმედებაში პერსონაჟის მგრძნობელობის ადამიანური განცდის უმაღლეს საფეხურზე აყვანა რაღაც ლოკალური მიზნებით არ ხდება, არამედ ის ეროვნული სულის

მაღალმხატვრული გამოხატულებით მიიღწევა. ამიტომ მის შემოქმედებაში აღნერილი ტიპაჟის ფსიქოზნეობრივი სახის იქით უნდა ჩავწერდეთ იმ მიზეზთა გამას, რომლებმაც ასეთ დღეში ჩააგდო ეს პერსონაჟები.

დიდი ანგარიშით, ის მიზეზები, რომლებმაც ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ეს ხალხი, წარმართავენ ქვეყნის ბედსაც. რა გამოუვალ, მძიმე და დუხტირ მდგომარეობაშიც არიან ეს კონკრეტული პირები, იმავე ვითარებაშია მთელი ქვეყანა. ამიტომ ამ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებში არა მარტო მათი სოციალური და ფსიქომორალური სახე უნდა დავინახოთ, არამედ მათში უნდა ამოვფესვოთ მთელი ქვეყნის (საზოგადოების) ბედუკულმართობის არსი. ეს კი აუცილებლად მოითხოვს ამ რაციონალური სახეების (მისტიკის ზღვრამდე მისულთა) ირაციონალურ გააზრებას და ამ ნაწილებში მთელის დანახვას.

აკ. განერელია ასე აგვინწერს „დარისპანის გასაჭირში“ დახატულ კაროუნას სახეს: კაროუნა არაა სასაცილო ქალი. მისი სახით მწერალმა გვიჩვენა ღარიბი იმერელი აზნაურის ოჯახში აღზრდილი დაჩაგრული გაუთხოვარი ქალი. ადამიანი, რომლის ბედს უკულმართად უმუშავნია, კაროუნას წართმეული აქვს მეტყველების უნარი. უპასუხებს მარტო შეკითხვაზე – მეტწილად კი ჩუმადაა; ეს სიჩუმე, ეს შეგნებული დუმილი, რომელიც პიესაში ფიზიური ხელშესახები ძალით მონაწილეობს, ნაწარმოების ქვეტექსტში უნდა წაიკითხოს მკითხველმა; ის უნდა იგრძნოს დაკვირვებულმა მაყურებელმაც.

კაროუნას სახის ასეთ გააზრებას ჩვენ შევყავართ კლდიაშვილის „იმერული კომედიის“ ერთიანი წიგნის იმ სილრმეებში, სადაც კრიტიკოსი (დაკვირვებული მკითხველი) აღმოაჩენს იმ ირაციონალურს, რომელიც ასაზრდოებს მწერლის იდეურ მოცემულობებს.

მაშასადამე, კაროუნასა თუ ქალთა სხვა სახეებში ჩვენ უნდა გავიაზროთ არა სატირული ტიპაჟი, არამედ მთელ რიგ მიზეზთა გამო დაჩაგრული სახე ღარიბი იმერელი აზნაურის

ქალიშვილისა, რომლისთვისაც ლაპარაკის ღვთითბოძებული ნიჭიც კი წაურთმევია რაღაც ულმობელ ძალას. სადაა ამ ყოველი კეთილის დამთრგუნველი ჯოჯოხეთური ძალის წყარო?

უბედურების ამ წყაროზე არსად არ უთითებს ავტორი; ისიც დუმს, როგორც კაროუნა. მაშასადამე ამ ტოტალური გარინდებულობის ფონზე უნდა ჩავწვდეთ იმ მიზეზებს, რამაც გასაჭირში ჩააგდო ქამუშაძე, გააღარიბა დარისპანი, გააჩინა კაროუნა, სახლში პირველად მოსული პატარძალს ეზოს კარამდე მიცილების ძალაც კი არ შეარჩინა ლევანს და ა. შ. ნუთუ გაყუჩების ეს ვირუსი მხოლოდ იმერელ აზნაურებს შეჰყრიათ? – არა, ის მთელ ზოგადქართულ სივრცეს მოსდებია და ეპიდემიად ქცეულა, რაღაც დემონურ ძალას დაუთრგუნავს ყველა და ყველაფერი. ეს რომ ასეა, ამას ზედმინიერებით ზუსტად ხსნის კრიტიკოსი. მისი თქმით, ის პიესაშიც „პირდაპირ ფიზიკურად ხელშესახები ძალით მონაწილეობს,“ მაშასადამე, მისი გამომწვევი სატანური სტიქიონიც ფიზიკურად ხელშესახები უნდა იყოს, რომელიც იწვევს ისეთ შემზარავ შიშის, რომ მეტყველების სურვილს უკარგავს ადამიანს.

* * *

კლდიაშვილის შემოქმედებაში ამ ფიზიკურად ხელშესახები სატანური ძალის აღმოჩენის ირაციონალური გზა ზემოთ მოვნიშნეთ, როცა აღვნიშნეთ, რომ კრიტიკოსი (დაკვირვებული მკითხველი) ხელოვანის ირაციონალში ხსნის იმ რაციონალურ მიზეზებს, რომელიც ადამიანებს უკარგავს სიცილისა და ლაპარაკის სურვილს. კაროუნას პასუხები უაღრესად ლაკონიურია, სხვა შემთხვევაში „გულმოდგინებით დუმს“. მასში თითქოს შეწყვეტილია სიცოცხლის ფეთქვა, რაც გამოწვეულია ხშირი დამცირებითა და ცხოვრების სუსსით: ის თითქოსდა ბედს გაუწირავს. მთავარი ისაა, რომ, როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, ჩვენ ვერ ვგებულობთ მის შინაგან ტკივილებს. ეს კი შედეგია ამ „გამოლენჩებულობამდე“ მისული „დუმილისა“. მისი ნამდვი-

ლი აზრების შესახებ ვერაფერს ვგებულობთ იმ ერთადერთი ფრაზიდანაც, რომელსაც მწერალი ალაპარაკებს მას პიესის დასასრულს: „მე არ გთხოვთ გათხოვებას! ვიქნები ჩემთვის“ (აკ. განერელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 150).

არა, ეს ფრაზა ბევრ რამეს გვეუბნება. ეს არ არის უკი-დურესი ხელჩაქნეულობა ცხოვრებაზე (პესიმიზმი). ის პრო-ტესტია იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც მას გარს ახვე-ვია. ეს საზოგადოებაა, მამამისის სახით დღემუდამ რომ ჩასჩი-ჩინებს: სხვას რომ დაინახავ ხმა ამოიღე, დაანახვე, რომ მუნჯი არა ხარ... შენც არ მომიკვდე, ვერაფერი შევასმინე... და მისთა-ნები... მაგრამ მას არ უნდა სხვის დასანახად ცხოვრება.

კლდიაშვილის პერსონაჟებს ამ ფუნქციამოშლილ ქვეყა-ნაში ცხოვრების საზრისი ხელიდან გასხლტომიათ. უფუნქცი-ოდ დარჩენილ საზოგადოებას კი არაფერი დარჩენია თვინიერ იმისა, რომ სავაჭრო საგნად აქციონ საკუთარი სისხლხორცნი, თვითონ კი მათი რეკლამირებით დაკავდნენ. **ეს ანუხებს კა-როვნას!** როცა აქტიური წინააღმდეგობის ძალა გამოცლილია, მოქმედებაში მოდის პასიური პროტესტის ფორმა – **დუმილი**. ესაა უკიდურესობამდე დაჩაგრული და ყოველგვარი ფუნქცია-დაკარგული სუბიექტის ინსტინქტური გაპრძოლება ცხოვრები-სეულ ტრაგიკომედიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ეს შინა-განი, ინსტინქტისმიერი წინააღმდეგობა ცხოვრებისეული უკუ-ლმართობისადმი კლდიაშვილის უკიდურესობამდე დაჩაგრულ ყველა გმირს ახასიათებს.

მაშასადამე, აკ. განერელიას მითითება – „არ უნდა დავი-ვიწყოთ, რომ კლდიაშვილი, უნინარესად, მორალისტია!“ – ამ პასიური პროტესტის ბუნების გაგებაში უნდა დავიხმაროთ.

შემოქმედებაში, სადაც მორალი და ზნეობრიობა წარ-მმართველ ფუნქციას ითვისებს, იქ ირაციონალური გააზრება-ნი წარმართავენ რაციონალურის ყოველგვარ მიზეზ-შედეგობ-რიობას. ამიტომ, ყოველგვარი კონკრეტულის მიღმა უნდა შე-

ვიმეცნოთ ის ზოგადი, რომელიც შეიძლება გამხდარიყო ამ კონკრეტულ ქმედებათა გამომწვევი.

„იმერული კომედიის“ გმირთა სახეების ირაციონალურმა გააზრებამ უნდა დაგვანახვოს ის ბოროტი ძალა, რომელმაც ათასწლეულებგამოვლილ მოდგმას გამოაცალა ის მუხტი, რომელიც თავის თავში ატარებდა გენოკულტურის მთელ სისტემას და „ერთბაშად დუნე და ფარიელი გახდა“ (გრ. რობაქიძე), ამ, რა უნდა იყოს მიზანი კლდიაშვილის „ერთიანი წიგნის“ გააზრებაში ახალი საზრისმომცველობის შეტანისა. ამას მოითხოვს დღევანდელობის გამოწვევები, ვინაიდან ის სატანური ძალა, რომელმაც მაშინ კლდიაშვილის გმირებს გამოაცალა ეროვნული ენერგიის მანარმოებელი მუხტი და დაადუმა ისინი, დღესაც იმავეს ცდილობს, მისი მიზანია იმ შავბედითი წარსულით ჩვენი მომავალი მოწამლოს.

17. მდუმარე კაროუნა და გარინდებული საქართველო

მაშასადამე, კაროუნას დუმილში „გამოლენჩებულობა“ კი არ უნდა დავინახოთ, არამედ იმ პოზიტიური „დიდი ახირებულობისგან შემორჩენილი ფუნქციანართმეული სოციუმის სიჯიუტე. ამდენად, კაროუნა მხოლოდ ინდივიდი კი არაა, არამედ მთელი სოციუმია კოლონიალურ უღელქვეშ მგმინავი. ირაციონალურად განჭვრეტილ ამ სახეში უნდა შევიმეცნოთ თავისუფლებისთვის მუდამჟამს მეპრძოლი, მაგრამ ამჯერად გარინდული საქართველო, ჯოჯოხეთური ძალის მიერ ყოველგვარი ფუნქციანართმეული და მისიაშეზღუდული. აქ ხალხი ფაცი-ფუცს შეუპყრია. ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტს შერჩენია პირისპირ, ამ ფონზე ცდილობს, ტრადიციული ზნეობისა და მორალის იდეალს შეეხიზნოს, მოთოქოს შური, ეგოიზმი, ტყუილი, ამპარტავნობა, ქედმაღლობა, ჭორიკანობა, ე. ი. ყოველივე ამორალური. სოციუმის ეს ელასტიკური მცდელობა გადარჩენი-

სა იმ შინაგანი იმპულსებით მოდის მოქმედებაში, როგორითაც თავისუფლებისთვის ბრძოლის „ახირებულობა“. მათი ირაციონალური წყარო კიდევ იმედია.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, ჩვენი პასიურობა, ჩვენი ელასტიურობა ჩვენი მონობის ხარჯი იყო მუდამ. ამ ხარჯს იხდიან კლდიაშვილის პერსონაჟები, რათა გადარჩნენ და რომაელი ლეგიონერებივით, საფლავში რომ ჩაჰეჭნენ ფუნქციანართმეულ მათ ღმერთებს, კანონებსა და გადაბიჭებულ ენას, ასევე არ მოუხდეთ მათაც თავიანთი დრომოჭმული წოდებრიობისადმი გადაყოლა. ამიტომ ისინი ჯიუტი მდუმარებითა და ახირებულობით ცდილობენ ფიზიკურადაც გადარჩნენ და წართმეული ფუნქციონალობა რაღაც-რაღაცებით შეავსონ, მორალი და ზნეობა შეინარჩუნონ.

მაშასადამე, ირაციონალური ჭვრეტის მეოხებით, ჩვენ ვცდილობთ, რაღაც ახალი შტრიხები გამოვკვეთოთ „მდუმარებით ამბოხებულ“ კაროუნაში, ყოველთვის ოპტიმიზმით აღსავსე ეკვირინები, რომელსაც „უკიდურესი გაჭირვების უამსაც კი მოეძიება მზრუნველ სიტყვათა გამოულევი მარაგი თავისი ვაჟისთვის“ (აკ. განერელი), მხიარულ, მოქეეფე და მოჩეუბარ კირილები და მის ანტიპოდ ლევან ქამუშაძეში, რომელიც „ველარსად მიდის... რცხვენია ქვეყნის ასე საწყალობლად რომ ჩავარდა“; ყველა ისინი, თავიანთი გაუბედურების მიზეზთა ძებაში არიან, მაგრამ, ბოლომდე ვერ გარკვეულან ამაში. ამიტომ ყოველგვარი სოციალურ-პოლიტიკური უფლებანართმეულნი, ზნეობისა და მორალის ჩრდილქვეშ შეყუულან და ცდილობენ ლირსების მოფრთხილებას.

ეს მდუმარე სახეები კაროუნასი და ლევანისა, იმედით მომზირალი ეკვირინები, თითქოს უდარდელი კირილესი და ა. შ. ირაციონალური გააზრებისას, მთლიანობაში აყალიბებს ერთიან სახეს მისიამოშლილი საქართველოსი. რუსულმა კოლონიალურმა მმართველობამ ისე გააცამტვერა ქართული ნაციონალური წესი და რიგი, ცხოვრების ნირი, როგორც კ. გამსა-

ხურდია ერთგან ფლორენციელ აზნაურებზე იტყვის: „არის-ტკორატიას თაგვის სორო გაუხადეს საძებარიო“. იგივე დამართეს რუსეთთან ღრმა კოლაბორაციაში არშესულ ჩვენს წოდებრივ თუ კულტურულ ელიტარულ ფენას.

ასეთი დიდი კრიზისის უამს, ფერუცვლელი გენოკულტურით ნასაზრდოები შინაგანი „მე“-ს ძახილი თუ შერჩენიათ იმედად ამ თვითგადარჩენის ინსტინქტისამარად დარჩენილ ფუნქციამოშლილ საზოგადოებას. სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლის ამ რეალურ სურათს აცოცხლებს მწერალი თავისი შემოქმედებით.

ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის ეს პასური ზრუნვა, ლირსებისთვის ბრძოლის ფორმას რომ იღებს ამ უფუნქციოდ დარჩენილ საზოგადოებაში, მაშინაა, ისინი სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. სწორედ ასეთ სიტუაციებში იკვეთება მათი არსების ტრაგიკულობა. ეს ბედის ირონიით შექმნილი ფატალურობის ასახვა კი არაა, არამედ რეალური მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრიობიდან მომდინარე სიტუაციურ ვითარებათა იშვიათი კოლორიტით აღწერა (გადმოცემა).

18. ეგზისტენციალური გადარჩენის გზის ძიება

თითქმის ყველა კრიტიკოსი თუ შემოქმედი, ვინც ეხება კლდიაშვილის შემოქმედებას, რაღაცნაირად ადარებენ მის გმირებს ილია ჭავჭავაძის პერსონაჟებს და თითქოს ერთხმად აღიარებენ იმას, რომ მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებულობაა, მაგრამ ამ განსხვავებულობის სოციალური და ფსიქომორალური ასპექტებით იფარგლებიან. კონკრეტულად საქმე ისაა, რომ უქნარა და გაზარმაცებული ტიპი თავადი თათქარიძისა ვერაფრით შეედრება დღემუდამ კარდაკარ მორბენალი აზნაური მორბელაძისას და ა. შ. ილიას მუდამ მათრახი უკავია ხელთ, რომ დროზე გადაუჭიროს ჭერში ბუზების მთვლელ გმირებს. ამ შემთხვევაში ილია აღწერს ჩვენი „უმაღლესი კლასის“

ფსიქიური განწყობის იმ ვითარებას, როგორიც დაგვიხატა კონსტანტინე გამსახურდიამ, ჩვენი პასიურობა (გაიგე, უქნა-რობაც, – მ.ზ.) ჩვენი მონობის ხარკი იყო მუდამ უამს.

ილიას ახალი დინამიკური ძალა მოაქვს. „მე ახლაც მიკვირს, რის იმედით მოდიოდა ილია ჭავჭავაძე იმდროინდელ საქართველოში“, – აგრძელებს გამსახურდია, მაგრამ ეს კითხვა რიტორიკული ჩანს, ვინაიდან იქვე იძლევა პასუხს, „მოძრაობა“ გამოაცხადა დევიზად, თერგის მოძრაობა და ენერგია დაუპირისპირისა მყინვარწვერის გარინდებულ სილამაზესა და უძრაობას, ნირვანას, აღმოსავლეთის პასიურობას (კ. გამსახურდია, ტ. VII, გვ. 236).

კლდიაშვილის გმირებს ეს უძრაობა და ძილი კი არ ახრჩიობთ, არამედ ღამითაც კი ცხოვრებისეულ ბედუკულმართობასა და გაჭირვებაზე ფიქრობენ. თუკი ილიას თათქარიძეები ძილქუშში იძირებიან, კლდიაშვილის ქამუშაძეები უძილობის სენს ან პროტესტულ დუმილს შეუპყრიათ. კაროუნას დუმილი პროტესტია ფუსფუსში გადაზრდილი „ზედმეტი“ მოძრაობის მიმართ.

ილიას გმირებს თუ უძრაობა კლავს, კლდიაშვილისას ზედმეტი მოძრაობა და ქაქანი ღლის, ამითომ არ სჭირდება კლდიაშვილს თავისი გაძვალტყავებული აზნაურებისთვის მათრახი საპირინედ ქონით გათქვირული თავადისა და მისი კნეინასი.

ილია გროტესკული და კარიკატურული სახეებით აღსავს დაუნდობელ პამფლეტს წერს; კლდიაშვილი, პირიქით, როგორც აკ. განერელია იტყვის, კი არ აკარიკატურებს პერსონაჟებს, არამედ ცხოვრების უაღრესად სერიოზულ მომენტში ათავისუფლებს მათ სასაცილო მდგომარეობისგან. უფრო მეტიც, „აპყავს ისინი ადამიანური განცდის მაღალ საფეხურზე“ (აკ. განერელია, იქვე, გვ. 149). ამაშია მათ შორის განსხვავებულობის ერთ-ერთი ასპექტი; მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით თუ შევხედავთ ამ „ერთიანი წიგნის“ იდეას, დავინახავთ,

რომ კლდიაშვილი აღნერს იმ რეალობას, რომელშიც მოექცა მისი თანამედროვე საზოგადოება, ე. ი. **შედეგს. მიზეზი** კი უნდა ვეძიოთ პერსონაჟთა ქმედებათა ირაციონალურ გააზრებებსა თუ სტრიქონებს შუა.

კლდიაშვილის გმირები ვერ იცლიან იმ მიზეზების გასა-აზრებლად, რამაც ეს სოციუმი მიიყვანა ამ გაუსაძლის მდგო-მარეობამდე, შესაბამისად, ვერც მოქმედების სტრატეგიას აყა-ლიბერტენი. ისინი მუდმივ ფუსფუსსა და ცხოვრების ქაოსში იძი-რებიან. ამ მძიმე უამს მაშველ რგოლად ეძლევათ თავურ-საწყი-სიდან მომდინარე, ტრადიციული ზნეობრიობა და გენკულტუ-რაში ჩაკირული ეროვნული ლირსებისთვის თავდადების ახირე-ბულობამდე მისული წესი.

რეალობის თუნდაც ისეთ მაღალმხატვრულ დონეზე აღ-ნერა, როგორადაც აკ. განერელია აფასებს კლდიაშვილის ბე-ლეტრისტიკას, რომ „ქართულ პროზაში მე არ მეგულება მეო-რე ნაწარმოები, რომელშიც ასე მძაფრი საღებავებით იყოს ნაჩ-ვენები გამოუვალი, პირდაპირ ფატალური მდგომარეობა ადა-მიანებისა, როგორც კლდიაშვილის ამ მოთხრობებშიც“ (იქვე), მაინც ვერ შექმნის სრულყოფილ სურათს მისიამოშლილი ქვეყ-ნისა და ფუნქციანართმეული საზოგადოებისას, თუ ვერ ჩავ-წვდით მიზეზს (ებს) იმ, ფატალურობამდე მისული უბედურე-ბისას, რომელშიც ჩავარდნილია არა მარტო კონკრეტული კლასი, არამედ მთელი საზოგადოება.

მაშასადამე, მიზეზი ასეთი დიდი სოციალური უბედურე-ბისა უნდა ვეძიოთ ვერაგი იმპერიის მიერ ეროვნულ-სახელმწი-ფოებრივი მისიის მოშლასა და უცხო კოლონიალური წესრიგის გაბატონებაში, რომელმაც არსებობის ყოველგვარი ნიშანი მო-უსპო ეროვნულ არისტოკრატიას, ზოგადად მთელ ქვეყანას – იმერ-ამერს.

ამდენად, კლდიაშვილის მოთხრობებსა თუ პიესებში ერ-თიდან მეორეში გარდამავალ გმირთა სახეებში, მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტით მოქმედი ადამიანების ყოველ-

დღიურობისთვის ბრძოლის იქით, უნდა დავინახოთ არა მარტო წიდებრიობადაკარგული თუ მის მაძებარი კლასის უკანასკნელი გაფართხალება, არამედ კოლონიალური უღელქვეშ მგმინავი საზოგადოების ეგზისტენციალური გადარჩენისთვის ბრძოლა.

მათი ყოველდღიური ფუსფუსი არსებობისთვის, სწორედ ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, შეიძლება აიხსნას კონკრეტულად სიცოცხლის აზრის დაკარგვისა და აღდგენის (შექნის) კონტექსტში.

თუ ილია თავის გმირებს ამათრახებს ეგოიზმის, სხვათა ინტერესების იგნორირების გამო, კლდიაშვილის ყოველგვარი სოციალური (მატერიალური) სახსარგამოცლილი პერსონაჟები კეთილშობილურ მიზნებს არ ივიწყებენ. აკ. განერელიას თქმით, მწერალმა მოახერხა, პერსონაჟის მხრივ ტყუილის თქმისასაც კი ეჩვენებინა კეთილშობილება. გმირის სიკეთის-თვის ზრუნვაა ის, რასაც ეფროსინე ეუბნება სონიას: „... ნახე გაჭირვებული გაახარე, დაგლოცავს, დაგიმადლებს...“

მაშასადამე, ერთმანეთისადმი ეს ზრუნვა სიცოცხლის აზრის შეძენის ნიშანია. ისეთ ვითარებაშიც კი, როგორშიც სა-სიკვდილო სარეცელზე მწოლარე ლევანია, მხოლოდ მზრუნველი სიტყვა გვესმის. ის ეუბნება ეკვირინეს: „სიკვდილი სჯობია, რძალო!.. სიკვდილი!..“ მიუხედავად ამისა, ის ოჯახს იმედიანად ემშვიდობება: „მშვიდობით... მშვიდობით, ავო კაცო!.. აწი მაინც ტკბილად ... ტკბილად იყავით!.. ეფროსინე! უბედურო... ომან... თუ ძმა ხარ, კმარა, სირცხვილია... კმარა, რაც გვინახავს... თქვენ იცით.... კმარა, კმარა!“ ამ შემთხვევაში მოხმობილია იმერული ზრდილობის მთელი არსენალი.

ასე, სამდურავის გარეშე მიდის ის ამ ქვეყნიდან. კვნესა ტირილი არ არის მათ ბუნებაში. ოხვრა და დუმილი უძალობის შედეგია პოლიტიკური პასიურობის მინარევებით. კაროჟნაც კი გულდინჯად იტყვის: – „მე არ გთხოვთ გათხოვებას!... ვიქნები

ჩემთვის!“ ყველა ისინი არიან განსახიერება ქართული ხასიათისა, რაზედაც საკმაოდ ვიმსჯელეთ ზემოთ.

მაშასადამე, ამ „ერთიან წიგნში“ საქმე ეხება არა ოდენ სოციალურ დრამას და რაციონალური ქმნადობის მორალს, რის გამოც აკ. განერელია იტყვის, „კლდიაშვილი უნინარეს ყოვლისა მორალისტია“, არამედ მასში (წიგნში) გვეძლევა ეგზისტენციალური სახე ადამიანისა, რომელსაც წინ მუდამ ელოდება მომავალი, რადგან იბრძვის. ეს გმირები, რომელთაც არა აქვთ არავითარი საყრდენი, თვითონ პოულობენ თავიანთ თავში ადამიანურის არსებობისთვის ენერგიას. თვით ზანტი და მიზანთროპი მანველიძეც კი, როგორც წერს განერელია, დიდ ხანს უმკლავდება ბედისწერას.

ასეთია პრინციპული განსხვავებულობა ამ ორ შემოქმედებით ხაზს შორის. მიდგომაც განსხვავებულია. ილიას გზაა – „მოძრაობა და მოძრაობა!“ გამოღვიძება და მარადიულ მოძრაობაში ჩართვა გაზანტებული, ცხოვრების საზრისმოშლილო დაყრუებული პერსონაჟებისა, როგორც თვითონ იტყვის ცხელგულზე, „ყველა ცრუი, ყველა ყრუი“.

კ. გამსახურდიას წყალშეუვალი განსაზღვრებით: „ილია ჭავჭავაძით იწყება ახალი აქტივი ხასიათისა“, ხოლო მიზანი ამ ახალი აქტივობისა, ილიამ „...ყველაზე უკულტურო ეგზიმპლარს ქართველთა შორის ათქმევინა“, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს!“

ამდენად, ილია აცხადებს თავისუფლებისთვის საყოველ-თაო ბრძოლას. აქ ობიექტიც და სუბიექტიც განსაზღვრულია – ეს, ერთი მხრივ; მეორე, დაუნდობელი მხილება შინაგანი მანკისა: ძვალსა და რბილში გამჯდარი სიზარმაცისა და პირქუში ძილისა, სიცრუისა და ორპირობისა, მლიქვნელობისა და ა. შ. ის ორივე ფრონტზე აცხადებს ბრძოლას. დავით კლდიაშვილის გმირები კიდევ სკეპტიციზმის ზღვარზე გამავალი მორალითა და ზნეობრიობით აღჭურვილი ყოველდღიურობისთვის იბრძვიან. ეს სიცოცხლისთვის ბრძოლაა. მათ არ სჭირდებათ

გაღვიძება. ისე, ჩანს, მათ თითქოსდა აკლიათ თავიანთი ასეთი დუხჭირი ცხოვრების მიზეზთა აღთქმის უნარი. ყოველდღიურ გასაჭირზე კონცენტრირებულთ თითქოს განზე რჩებათ ზოგად-ნაციონალური ინტერესები.

მაგრამ არა! – ეს ტრადიციული ზნეობრივი პოსტულატები, მორალისა და ეტიკეტის ნორმები, საერთო გენოკულტურული ფუძისანი არიან, ამიტომ მათი ბრძოლა სიცოცხლისათვის განუყოფელი ნაწილია კოლხ-იბერიული მოდგმის ხალხის ბრძოლისა გადარჩენისთვის.

19. ზნეობის ამბიონიდან მომდინარე მოვალეობის შეგრძნება

მაშასადამე, დავით კლდიაშვილი ტრადიციული ზნეობის ამბიონიდან უტევს რუსული ახალი წესრიგის მიერ მოტანილ, ცხოვრების საზრისის წამლეკავ სტიქიას. ის ამ სტიქის შედეგად გაღატაკებულ აზნაურებში (ხალხში) ეძებს იმ ზნეობრივ ძალას, რომელმაც უნდა შეძლოს ამ უცხო სტიქიონის შეჩერება. ამ საშინელებასთან ერთად ცხოვრებასაა, ლევანი სიკვდილს რომ ამჯობინებს.

მაშასადამე, ლევანის მიერ მათი იმდროინდელი ცხოვრების ასეთი უკიდურესი შეფასების მიღმა გარდაუვლად უნდა დავინახოთ ასეთი ცხოვრების – „სიკვდილი რომ სჯობია“ – მიზეზთა თუნდაც ინსტინქტურად შეგრძნების კვალი. ვინაიდან სახეზეა ნების მოთხოვნის აქტი – „ჯობია მოკვდე, ვიდრე ასე იცხოვრო“. ეს მოწოდებაა მოძრაობისკენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისკენ („სიკვდილი ჯობია ასე ცხოვრებას“). მაშასადამე, „მორალურ იძულებას“ (კანტი) მივყავართ ქმედებათა აუცილებლობამდე, ამიტომ სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქმული ეს სიტყვები მიმართულია „პროტესტული დუმილის“ სინდრომის დაძლევისკენ. ეს ქმედება – „დუმილი“ – არ უთავ-

სდება სიცოცხლისთვის ზრუნვის ბრძოლის ნებას, მაშასადამე, ის არასწორი ქმედებაა.⁵

მიუხედავად იმისა, რომ არსად არ ისმის „ჰერა მაგასაო!“ – მწერალი აღწევს იმას, რომ მისმა გმირებმა თუნდაც სიცოცხლის ბოლოს შეიგრძნონ, რომ დაბეჩავებულ ცხოვრებას სიკვდილი ჯობია. შესაბამისად, ანდერძად დააგდონ: კმარა ასე ცხოვრება! „კმარა, იცით, სირცხვილია... კმარა, რაც გვინახავს... თქვენ იცით... კმარა, კმარა!“

ამდენად, თვითანალიზს, დაკვირვებას საკუთარ ბედზე, საკუთარი უმწეობის შეგნებას, საკუთარ თავთან და სხვებთან საუბარს, როგორც ეფროსინე იტყვის ლევანზე: „ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკებაო“, შედეგი გამოაქვს. დასკვნა გაკეთებულია: **სირცხვილია ასე ცხოვრება.**

დღის წესრიგში დგება ობიექტური მოთხოვნილებით განპირობებული აუცილებლობა, ამას კი **ვალდებულება** ეწოდება. ამ ვალდებულებასაა, რომ შეახსენებს მომაკვდავი ლევანი თავის ძმას – ომანს.

მაშასადამე, მწარე სატირასთან, იმერელი აზნაურების დაცინვასთან, მით უმეტეს, მათ გამათრახებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ XIX ს. მეორე ნახევრის ქართული საზოგადოების სოციალური დრამის შედეგად ფორმირებული ფსიქოზნეობრივი განწყობის მაღალმხატვრული ფორმებით სრულყოფილ აღწერასთან.

„თავისთავში ჩაყურსული“ ან დიდი მწუხარებისგან გაოგნებული ეს გმირები, ჩვევლებრივ, ვერ ახერხებენ ვერც სხვასთან კარგად საუბარს და ვერც სხვისი ლაპარაკის გულდასმით მოსმენას. მათ ამისთვის არც დრო რჩებათ და არც განწყობა აქვთ (აკ. განწერელია). ისინი საკუთარი უმწეობის მძევალი არიან. მხოლოდ ავტორია ყოვლის მნახველი და გულდასმით

⁵ „ქმედება, რომელიც არ ეთანხმება ნების ავტონომიას, დაუშვებელი ქმედება“ (ი. კანტი, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, გვ. 245, 2012 წ.).

მსმენელი. სულიერ მისიამოშლილ და ფუნქციაგამოცლილ ამ სოციუმს თავს დამტყდარი უბედურების მიზეზთა ძიებისთვის დრო არ რჩება და არც ამისი თავი აქვს. ასეთია რეალური სიტუაცია, ამიტომ ავტორი მათ ძალად არ სჩრის პირში (გონებაში) მებრძოლ იდეებს; ისინი ინსტინქტის მიერ შეგრძნებებს დუმილში ინელებენ; მაგრამ მას თავისი შედეგი მაინც მოაქვს, როგორც ეს ლევან ბრეგაძის შემთხვევაში ვნახეთ, ვინაიდან ერთადერთი, რაც მას შეარჩინეს და ერთი ხელის მოსმით ვერ წაართვეს, როგორც სოციალურ-პოლიტიკური უფლებები, ეს არის ის მორალური კანონები, რომელნიც მის გენოკულტურას შემოუნახავს, რაც მისიადაკარგულ მის ცხოვრებას რაღაც საზრისა აძლევს.

მორალის ეს იმპერატიულობა ბადებს **ნებას**, როგორც გონიერი არსების სასიცოცხლოდ აუცილებელ ატრიბუტს. მოქმედებაში მოდის პრაქტიკული გონება, რომელიც დუმილშიც მოქმედებს. მორალურიდან მომდინარე ეს წესი თვით არის ის მოცემულობა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მთავარ გმირთა **ნებელობა**, როგორც სიცოცხლისთვის, ღირსების შენარჩუნებისთვის ბრძოლის განმსაზღვრელი ატრიბუტი.

მაშასადამე, ამ გმირების „ჩვენებური ჩვევლების“ დაცვაზე ზრუნვა სრულიადაც არ არის ამპარტავნობა, არამედ ბოროტი ძალის უდელქვეშ მოქცეული, გატანჯული ხალხისთვის ერთგვარი ჯავშანია – ნებელობის გაღვიძების საშუალება.

ამიტომ სრულყოფილია აკ. განერელიას ზოგადი განმარტება ამ საკითხზე, რომ კლდიაშვილის „აზნაურებისთვის, „საერთოდ, თავმოყვარეობის დაცვა... მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს, თვით უაღრესად არახელსაყრელ გარემოშიც“ (რჩეული, იქვე, გვ. 145).

მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია მორალის კატეგორიაზე. მის პრაქტიკულ გამოვლინებაზე, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს პერსონაჟთა ნებელობა და ა. შ. როგორც ზემოთ ითქვა, ეს გმირები თავს იაზრებენ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე

უნდა შევიმეცნოთ), როგორც მოვალეობის მქონენი. ყველა ამ ფილოსოფიურ კატეგორიას კი საბოლოოდ მივყავართ **თავი-სუფლების იდეასთან**.

მაშასადამე, ეს ფუნქციაწართმეული და მისიამოშლილი გმირები თავმოყვარეობისთვის ფსიქოლოგიური კატეგორიებით ზრუნვის პროცესში მაღლდებიან თავისუფლების უმაღლეს იდეამდე. მაგრამ ამის დანახვას რაციონალური კრიტიკიდან ირაციონალურ განზომილებაში გადასვლა სჭირდება. ის კი, როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავს, **ფილოსოფიის საუფლოა;** ტრადიციული კრიტიკოსი სცილდება ლიტერატურის ფარგლებს, კერძოდ, მის მიზანს ლიტერატურის სფეროში ირაციონალურის გახსნა შეადგენს, ირაციონალი ფილოსოფიის სამთავროა. თუ მიუდგება, კრიტიკოსი ფსიქოლოგიურის მე-თოდით ამ საკითხს, მაშინაც ფილოსოფიასთან გვაქვს შეხება.

მაშასადამე, კლდიაშვილის შემოქმედების კრიტიკული გააზრებისთვის არ ყოფილა საკმარისი მისი ლიტერატურული კონტექსტით კვლევა. **აუცილებელი ყოფილა ფილოსოფიის საუფლოდან ჭვრეტა.** ამიტომ თანამედროვე „კლდიაშვილობებს“ სოციალისტური იდეოლოგიის არავისთვის საინტერესო, ათასჯერ გამოხრული ძვლის ხელახლა ხვრას ერჩივნოთ, მის შემოქმედების ამ ირაციონალურ-ფილოსოფიური გაგების კონტექსტს მიაყურადონ. თუ ძალა ერჩით, ამ ხელუხლებელი ყამირის გატეხა სცადონ, ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, თორემ ისე გამოვა, რომ როგორც ძალლი ძვლის ხვრიდან რაიმე სარგებელს გამოელის, ასევე ამ ათასჯერ გადამღერებულის გამეორებიდან რაიმე საფასურს გამოელოდნენ ნაცვლად იმისა, რომ მასში დღემდე შეუნიშნავი საზრისმომცველობის წარმოჩენას ცდილობდნენ.

სრულყოფილ მაღალმხატვრულ შემოქმედებაში, როგორდაც ეს „იმერული კომედია“ შეფასდა, რაღაც ახლის მოძიება მუდმივი პროცესია, ვინაიდან, როგორც პოლ ვალერი იტყვის, „შთაგონება ჰიპოთეზა, რომელიც ავტორს დამკვირვებლის

როლში აყენებს“, მკითხველთ თუ კრიტიკოსთ კი პერმანენტული ძიებისკენ გვიბიძგებს. კიდევ უფრო ღრმად გვახედებსა ამ საკითხში ვალერისივე ერთი სიტყვა-თქმა: „ჩიტმა რომ ზუსტად იცოდეს, რაზე მღერის, რატომ მღერის, ან რა მღერის მასში, ალბათ, არასდროს იმღერებდა“ (პ. ვალერი, სულის კრიზისი, გვ.78, თბ., 1993 წ.). ეს სამი „რა“ არის ის, რაც მაღალმხატვრულ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ ირაციონალურის მეშვეობით. ის აყალიბებს მოცემული შემოქმედების საზრისს, მაშაადამე, ანალიტიკური აზროვნების საშუალებით ვეძებოთ ის, თუ რა „მღერის“ კლდიაშვილის შემოქმედებაში. **შევეცადოთ, ტესტის რაციონალური აზრის მჩხრეკელობის მიღმა შევაღწიოთ იდეათა სამყაროში, მხოლოდ ასეთი ირაციონალური გზით შევძლებთ ამ სრულიად არასიმბოლურ სოციალურ შემოქმედებაში იმდენი ნიუანსური მიგნების აღმოჩენას, რომელიც სრულად ხსნიან აქ აღწერილ გაჭირვებათა და მწუხარებათა რეალურ მიზეზებს.**

კლდიაშვილის შემოქმედების საზრისმატარებელ იდეათა გახსნისადმი ასეთი ირაციონალურ-ფილოსოფიური მიდგომის მეთოდის გამოყენებაზე მითითება მოგვცა ჯერ კიდევ 30-იანი წლების ბოლოს აკ. განერელიამ, ზემოთ დაფიქსირებული რემარკაში გმირების საკუთარ ბედზე ჩაფიქრებაზე, მათ მცდელობაზე, თვითანალიზის გზით შეძლონ რაიმე გამოსვლის მონახვა.

20. ნებელობის საკითხზე...

კრიტიკოსი აკეთებს მეთოდოლოგიურ მინიშნებას: „ზემოთ თქმული უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რათა კარგად იქნეს ათვისებული დავით კლდიაშვილის მიერ დახატული სურათი, რომლის შინაარსი მთლიანად ქვეტექსტშია ჩატენილი და ნიუანსებსა და უთქმელ ხარვეზებს შეიცავს. ამ ნიუანსების გაგება მკითხველისთვის მიუნდვია ავტორს“ (აკ. განერელია, დასახ. ნაშრ., გვ.157). რაციონალური ტიპის მხატვრული ნა-

წარმოების ასეთნაირად „ათვისების“ საკითხი წმინდა ფილოსოფიური (იდეური) პრობლემაა და სუბიექტურ სფეროს განეკუთვნება. ამასაა, ზემოთ დ. კლდიაშვილის შემოქმედების გაუტეხელი ყამირი რომ ვუწოდეთ.

აკ. განერელიას იქვე მოჰყავს მაგალითი თავისი ამ მოსაზრების გასამყარებლად, რომლის გამოყენებას ჩვენც შევეცდებით. ის წერს: „ვაიმე, ვაიმე!“ – ამ ამოძახილით ამთავრებს ეფროსინე თხრობას და მოჰყვება ტირილს.

„...ლევანი ისევ მიაჩერდა მტირალს, წამოდგა, მობრუნდა, ორი ნაბიჯი გადადგა სახლში შესასვლელად, მარა თითქოს რაღაცა გაახსენდაო, უცებ უკან გამობრუნდა...“ და გვაძლევს თავისეულ გააზრებას ამ სცენისას: „ლევანის ეს მოქცევა მას გიუს ამსგავსებს... მისი ბუნება სულიერი კასტრაციის საზღვარზეა მდგარი“, მაგრამ მოყვანილ აბზაცს აქვს თავისი შიფრი. ის უნდა ამოიკითხოს მკითხველმა. კრიტიკოსი იქვე გვთავაზობს გაშიფვრის მისეულ ვერსიას: ლევანს, უეჭველია, მობეზრდა ცოლის მოთქმა: ამ მოთქმამ გააღიზიანა ის, თავის თავთან ყოფნა უნდება, ამიტომ წამოდგა, მაგრამ უცებ გაახსენდება, რომ სტუმარი ზის და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება (იქვე, გვ.158).

ამდენად, საქმე გვაქვს იმერული (ქართული) ტრადიციული ეთიკური ნორმის გამოვლინებასთან. უკიდურეს გაჭირვებას ისიც საქმაოდ გაუხუნებია, „თითქოს რაღაცა გაახსენდაო“, – ამბობს ავტორი. იმერელი აზნაურიშვილის ასეთ გულმავიწყობამდე მიყვანა ეტიკეტის საკითხში მართლაც სულიერი კასტრაციის ზღვართან დგომის მომასწავებელია. ამ ზღვრიდან იწყებს გონება ფორსმაჟორულ მოქმედებას. ამიტომაა, კრიტიკოსი რომ აღნიშნავს: კლდიაშვილი ამ სცენაში ფსიქოლოგიური ხატვის თვალსაზრისით უმაღლეს დონეს აღწევს.

მაშასადამე, რაციონალური კრიტიკის თვალსაზრისით, თავის „ბუნაგში“ შესასვლელად გამზადებული ლევანის უკან მობრუნებაში ოდენ იმერულ ზრდილობის ეტიკეტის აქტი უნდა

შევნიშნოთ, მაგრამ თუ ირაციონალური მჭვრეტელობის თვალ-საწიერიდან შევხედავთ მას, მასში „მორალური იძულების“ (კანტი) ზნეობრივი პრინციპის მოქმედებას დავინახავთ. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ვალდებულების ამოქმედების ობიექტური გამოხატვა მოვალეობის აღსრულების ნიშანია. შესაბამისად, სადაც მოვალეობის აღსრულების ამაღლებულ კატეგორიას პულსი ესინჯება, იქ ვებერთელა სულიერი ნებელობის დანალექს შევამჩნევთ.

ამდენად, იმერული ზრდილობის კოდექსი ასრულებს იმ „მორალური იძულების“ ფუნქციას, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ლევან ქამუშაძის არსებაში დანალექის სახით არსებული მთელი სასიცოცხლო ენერგია.

მის მდგომარეობაში, ზრდილობის ნორმების სკრუპულობური დაცვა დიდ ძალისხმევას, „თავის თავზე ძალდატანებას მოითხოვს“. ეს კი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, მორალური ძალდატანებაა, რომლის მეშვეობით „პიროვნების გარკვეულ ამაღლებულობასა და ღირსებას წარმოვადგენთ“ (კანტი, გვ. 225).

ეს „ძალდატანება“ მაშინაა ფასეული, როცა იმის ნებელობა შეგვრჩენია, რომ ის „ჩვენს თავს ჩვენვე დავაკისროთ“. ლევანმა შეძლო თავისი თავისთვის ებრძანებინა – „დაბრუნდი!“ საკმარისი იყო, მას ეს არ გაეკეთებინა, ის დაკარგავდა იმ ტრადიციულ ნავსაყუდელს, რომელსაც იმერელი აზნაურიშვილის (ზოგადად, მთელი სოციუმის) ზრდილობა ეწოდება და სამუდამოდ გაქრებოდა მეხსიერებიდან. ის ვერ ეღირსებოდა სონიას (პატარძლის) ცხარე ცრემლებით დატირებას, ვერც ომანის მომნანიებელ ხმაგაკმენდილობასა თუ შიშნეულობას, „იქაურობა არ გაეყრუებინა თავისი ძლიერი, გულმკერდიდან ამოხეთქილი ხმით“.⁶ რაც მთავარია, ვერ გაერკვეოდა იმ მიზეზში,

⁶ შეადარეთ, ს. კლდიაშვილის მიერ მამის ხმაზე თქმულს და დარწმუნდებით იმაში, რომ ყველა ეს გმირი ავტორის სულის ნაწილია და არა დაცინვის, გამათრახების ობიექტი.

რამაც მათი ცხოვრება ისეთი გახადა, რომ სიკვდილი სჯობდა ასე ცხოვრებას; მით უმეტეს, ვერც მომავლის მიზანს დაისახავდა – კმარა ასე ცხოვრება! – რაზედაც ზემოთ საკმაოდ ვიმ-სჯელეთ.

მაშასადამე, ეს „მორალური ძალდატანება“, წარმოადგენს „ნების გარდაუვალ მოთხოვნას“; ამ ზამბარებს მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ადამიანის ღირსება. მისით ვახდენთ ყოველი გონიერი სუბიექტის შეფასებას. მხოლოდ ასეთი ირაციონალური ჭვრეტით შევძლებთ კლდიაშვილის სულიერი სამყაროს არსის გახსნას.

ხშირ შემთხვევაში, ზნეობრივ ნორმათა ამ ფილოსოფიურ კავშირებს, რომელიც ჭეშმარიტი რეალობის სახით გვექლევა იდეაში, ამ „ერთიან წიგნში“ პატივმოყვარეობად, უფრო მეტიც, სამწუხაროდ, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, განერელიასთან, „ჩვენებურ ჩვევად“ – ამპარტავნობად აღიქმება, ეს უკანასკნელი კი ერთი სამუდამო ცოდვათაგანია. თუნდაც ეს გვავალდებულებს, რომ ირაციონალური ჭვრეტის საუფლიდან შევხედოთ კლდიაშვილის შემოქმედებას და მაშინ დავინახავთ, რომ ამ პერსონაჟებს ლირსების გრძნობა არ დასჩლუნგებიათ. თვითალდგენისა და თვითრეალიზების ენერგია მუდამ მოიძებნა მათში.

ამდენად, ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა დავით კლდიაშვილის მიერ მაღალმხატვრულ დონეზე აღწერილი ცხოვრებისეული სურათების მიღმა, „ქვეტექსტებში ჩატენილი“ და სტრიქონებს შორის გასააზრებელი, საზრისმომცველობის მანარმოებელი ის ზნეობრივ-ირაციონალური მოცემულობანი, რომელიც ამ შემოქმედებაში აყალიბებს ნების იმ თავისთავადობას, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ, „სინამდვილის თვალუწვდენელ ველზე“ აღმოვაჩინოთ ავტორისეული სურვილი, თავისი მორალისტური მიდგომის საშუალებით დაგვანახვოს ზნეობის ის რაციონალური სახე, რომელიც წარმოაჩენს მისი გმირების ცხოვრების ყოველდღიურობას კეთილისა და ბოროტის მუდმივი შეჯახების ფონზე.

ამდენად, ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა ის სახელ-მძღვანელო პრინციპი, ის „ცხოვრებისული ჭკუა“, რომელიც ამ ერთიანი ტექსტის ნიუანსებში, უთქმელ სიტყვებსა და უესტებში, დაუსრულებელ აზრებშია ამოსაკითხი და რომელშიც ჩანს გმირთა შინაგანი ლირსების კვალი, მათი ნებელობა, რომელიც ადასტურებს მათი დაუდგრომელი ხასიათის სარგებლი-ანობას. საერთოდ, მათი მოქმედების მიზანშეწონილებას.

21. „დუმილისა“ და „ლაპარაკის“ ფილოსოფია

რამდენადაც სიტყვა ჩამოვარდა უესტებზე, როცა ლაპა-რაკია კლდიაშვილის გმირთა სახეების ირაციონალური (სული-ერი) მოცულობებით გახსნაზე, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევჩერდეთ აკ. განერელიას მიერ ამ უესტების ენის ბრნყინ-ვალე ახსნაზე.

როცა კლდიაშვილის პერსონაჟები მძაფრ კამათში შედი-ან, ისინი დაიხმარებენ სახის გამომეტყველებას, თვალებს ნამ-დვილი აზრის ამოსაკითხად. ეს შინაგანი ბრძოლის ნიშანია, ნე-ბელობის გამოხატვაა. სწორედ ამას გულისხმობს კრიტიკოსი-სეული შეფასება მწერლის ამ მეთოდისა; „მწერლის მზერა აქ ისევე უცდომელია, როგორც მისი სმენა“ (აკ. განერელია, გვ. 142).

მწერლის ეს უცდომელი მზერა და სმენა ასევე უცდომელ ფილოსოფიურ ახსნას მოითხოვს, როგორც ფსიქოლოგიური აქტი, რასაც კიდევ აღნევს კრიტიკოსი.

ფსიქოლოგიური განწყობის კონტექსტით ძალზე მნიშვ-ნელოვანია, აკ. განერელიას კრიტიკული თვალთახედვით და-ნახული ორი საპირისპირო ტიპაჟი. ჩუმი და მდუმარე კაროვნა და მზრუნველი სიტყვების გამოულევი მარაგის მქონე ეკვირი-ნე: „ის არის წყარო დაუსრულებელი „ოპტიმიზმის“. მისი დევი-ზია – „იმედი, იმედი!“ (აკ. განერელია). ეს ორი ხაზი განსაზ-ღვრავს კლდიაშვილის შემოქმედების ფსიქომორალურ საზრის-მომცველობას.

ახალი კოლონიალური წესრიგის შედეგად ძალაგამოც-ლილი პერსონაჟების შინაგანი პროტესტის გრძნობით გამსჭვა-ლული – **დუმილი** და „ნამდვილი... ტრადიციული ქართველი ქალის“, რომელსაც ერთხელაც არ დაუკვნესია – **ოპტიმიზმი**. მაშასადამე, მდუმარე, პროტესტანტი კაროუნა და ყველაზე მე-ტის მოლაპარაკე იმედა (იმედიანი) ეკვირინე წარმოაჩენენ ფსი-ქომორალურ ასპექტს ამ „ერთიანი წიგნისა“.

კაროუნაზე ჩვენ საკმაოდ ვიმსჯელეთ ირაციონალური კონტექსტით და რაღაც ახალი შტრიხები შევთავაზეთ მკით-ხველს მისი „მარტივი სახის“ გააზრებისთვის.

ეკვირინეს დახასიათება კიდევ ზედმიწებნითაა აკ. განე-რელიასთან. მისი (ეკვირინეს) ტყუილიც კი კეთილშობილების სამსახურშია ჩაყენებული. ისაა აზნაურის ქალი, რომლის ცხოვრებას ოჯახისთვის ზრუნვაში ჩაუვლია; სირცხვილად მი-აჩნია, ოჯახის ახალმა წევრმა ცუდად იგრძნოს თავი და ა. შ. მას არცერთხელ დაუკვნესია, იგი ყველაზე მეტს ლაპარაკობს, რათა ჩასახოს იმედი.

ეკვირინეში თვითრეალიზების უშრეტი ენერგიაა. საკმა-რისია, სულ ოდნავ შეანძრიო ირაციონალური მჭვრეტელობი-თი მუხტები, რომ უმაღლ შეიგრძნო ფუნქციონალობა (ეროვნუ-ლი სახელმწიფოებრიობა), მოშლილი საქართველოს მყინვარ-წერული მდუმარება (კაროუნა, ლევანი) და მუდმივად მდენი თერგის იმედის მომტანი (მომცემი) „ღრიალი“ (ეკვირინეს იმე-დიანი ლაპარაკი). ასე ესმოდათ ან უნდა გვესმოდეს კლდიაშვი-ლის მამობრივი სიყვარულით (პატრიციულ-პატრიოტული სიყ-ვარული) დახატული ამ სახეების ფილოსოფიური არსი. ისინი „მახინჯა ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეო-ბაში ჩააყენა“, ეს მახინჯი ცხოვრება კი რუსულმა უანდარმულ-მა კოლონიალურმა სისტემამ მოიტანა.

ასეთი განზოგადოებული მიდგომით უნდა აღვიქვათ მთელი მისი შემოქმედება და არა რაღაც ვიწრო, ლოკალური თვალსაზრისით, მით უმეტეს, დაცინვისა და გამათრახების მიზნით. ავტორი ყოველ მათგანში ხედავს ცხოვრების ულევ

ენერგიას, რომელიც ფუჭ ფუსფუსში იხარჯება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრვ უფლებათა წართმევის გამო, რამაც დაამა-ხინჯა უდიდესი გენოკულტურიდან მომდინარე ცხოვრების წე-სი.

ენერგიითა და ცხოვრების ხალისით აღსავსეა კირილე მი-მინოშვილი. ის დაუშრეტელი წყაროა სიხალისისა, სიცოცხლის ზეიმისა. მას ბევრი რამ ცუდიც და კარგიც შემორჩენია ფუნ-ქციადაუკარგავი და მისამოუშლელი იმ სოციუმისაგან, რომე-ლიც ათასწლეულობით იცავდა ეროვნულ ღირსებას და სახელ-მწიფოებრიობას. ირაციონალური მიდგომის თვალსაზრისით გამორჩეულია ლევან ქამუშაძე ის პიროვნება (რომლის სახის გააზრებაზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა), როგორც XIX ს-ის საქართველოს განზოგადებული სახე. მთავარი ისაა, რომ ის სიკედილსაც არ ეპურება. თავის თავში პოულობს საკმაო ენერ-გიას, რათა ანდერძად დააგდოს: „კმარა, რაც გვინახავს... კმა-რა, კმარა!“ შთამომავლობას უტოვებს დევიზს: „კმარა ასეთი ცხოვრება!“

ფსიქოლოგიურ განცდადობაშია კლდიაშვილის სოცია-ლური შემოქმედების ტრაგიკული კვანძი განასკვული. მიამი-ტური ყოველდღიურობის აღწერის იქით, ფსიქოზნეობრივი გა-აზრებებით შევდივართ ღრმა მიზეზ-შედეგობრივ ასპექტში, სრულფასოვნად ვხსნით სტრიქონებს შუა, „ქვეტექსტში ჩატე-ნილ“ ნიუანსებსა და გამოუთქმელ აზრებს, ამ გმირთა საქმია-ნობის აზრის მოცემულობას. ასეთ შემთხვევებში კლდიაშვი-ლის შემოქმედებითი ენერგია აღწევს მაქსიმალურ შედეგიანო-ბას და თავის მცირე მასშტაბებში შეიძლება შევუთანასწოროთ ბალზაკისას, როგორსაც მას გვიხასიათებს სტ. ცვაიგი: „შე-მოქმედებითი შრომა – ეს ნიშნავს მხატვრული სახის მკაფიოდ ხილვას, კონცენტრირებას, მისი დამახასიათებელი თვისებების გაძლიერებას, ყოველივე იმის გამოვლენას, რისი გამოვლენაც კი შეიძლება მისი ხასიათიდან, ახსნას იმისას, სახელდობრ, რა ვნებათა ღელვა ამოძრავებს თითოეულ პერსონაჟს, სისუსტის

გამოცნობას ძალაში, ადამიანში მთვლემარე ყველა ძალის ამოძრავებას“ (სტ. ცვაიგი, ბალზაკი, გვ. 222). დ. კლდიაშვილი, შეიძლება ითქვას, მხატვრულ სახეთა კონცენტრირების საკითხში იმდენად შორს მიღის, რომ მისი გმირების ნათქვამზე უფრო მეტად უთქმელობაში – დუმილში ვლინდება მათი ვნებათა-ღელვანი და მიზანსწრაფულობანი. რაც შეეხება მათში მთვლე-მარე ყველა ძალის ამოძრავებას, შეიძლება ითქვას, აյ ის ორი-გინალურობის განსაკუთრებულ საფეხურს აღწევს, როცა პრო-ცესში რთავს ჟესტის განსაკუთრებულად გამოკვეთილ ენას. ამასთან, „ამოძრავების“ უებარ სამუალებად, როგორც აკ. გა-ნერელია წერს, გამოყენებული აქვს იმერული კაცის საუბრის ყველა ნიუანსი, გამოთქმული, აკვიატებული სიტყვები და ხში-რად დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული ბგერებიც კი. საკმარისია მისმა პერსონაჟმა ხმა ამოილოს, რომ საზღვარი წა-იშალოს სინამდვილესა და ხელოვნებას შორის (აკ. განერელია, იქვე, გვ. 138).

კლდიაშვილის შემოქმედების ეს განსაკუთრებული თავი-სებურებანი, წარმოჩენილი ფსიქოზნეობრივი კონტექსტით, მოითხოვს ირაციონალურ მჭვრეტელობას და ფილოსოფიურ გააზრებას.

22. ბედისწერით შეკრული ერთობა

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენი წამყვანების (ლექტორების) მიერ წამოყენებულ „ბრალდებას“, რომ ქართულ ლიტერატუ-რასა და მნერლობაში, მკითხველ საზოგადოებაში დავით კლდიაშვილის შემოქმედება სათანადო დონეზე არ იყო დაფა-სებული, მასში ოდენ იმერელ სატირიკოსს ხედავდნენ და ა. შ. მთელი წყება „ბსურდებისა“. სინამდვილეში, ჩვენ ზემოთ ვნა-ხეთ (ნაწილობრივ), თუ როგორ აფასებდა მას ქართველი მკითხველი ზოგადად, როგორ ადარებდა მოცულობით „შემოსაზ-ღვრულ“ ამ შემოქმედებას კორიფეების შემოქმედებებთან შინ

და გარეთ. განსაკუთრებით საყურადღებოა, მისი „პატარა ადა-მიანების“ გულის ძახილს როგორ „უერთებდნენ“ მსოფლიო დონის ლიტერატურულ პერსონაჟთა სახეებს.

ამჯერად ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმას, რომ ქარ-თულ კრიტიკაში არა მარტო მწერლის „პატარა ადამიანები-სათვის“ გამოინახა შესაბამისი ადგილი საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟთა გალერეაში, არამედ მისი შემოქ-მედებისთვის ფონის მიმცემი იმერეთის მშვენიერი ბუნება და ამ გმირთა განუყრელად თანმდევი უტყვი „პერსონაჟებიც“ მი-სადაგებულ იქნა მსოფლიო ჰუმანიზმის მამამთავრად აღიარე-ბული სერვანტესის „გმირებთან“.

* * *

კლდიაშვილის გმირთა ფსიქოსოციალური სახე და მათი ჩამოყალიბების გარემო ქმნიან ერთ მთლიანობას იმ დონეზე, რომ ერთის გაცნობის შემთხვევაში მეორე ტყუპის ცალად წარ-მოგვიდგება, ხოლო როცა მათ შევავსებთ ამ მოთხრობების გა-ნუყოფელ ნაწილად ქცეული მესამე ერთეულით – „ცხოველთა სამყაროთი“, ვიღებთ სრულ კორელაციას „იმერული სინამდვი-ლისას“. ეს კი გვაძლევს ამ შემოქმედების ისეთ მაღალმხატ-ვრულ სახეს, რომელიც შეიძლება შეფასდეს მაქსიმით: „ზოგ-ჯერ რეალობა გასაოცარია გამონაგონზე“. მივყვეთ ამ გამონა-გონზე უფრო გასაოცარ რეალობას, აღწერილს კლდიაშვილის მოთხრობებში.

სოფლის თავზე წამონალილი ბინდის ფონზე პლატონის თვალწინ იშლება პატარა ხრიოკი დაფერდებული ადგილი, აქა-იქ ჩამტვრეული ღობით გარშემოვლებული, წინიდან ბარჯვებ-ზე შეყენებული პანანინა ოდა. ღობის გადაღმა ჩანდა ისლით დახურული, ერთიმეორეზე მიკრული გლეხის სახლები. აკ. გა-წერელიას შეფასებით, „ასეთია ავტორის წარმოდგენით თალ-ხში გახვეული ეზოები იმერეთისა“, ეს კი თვით ამ ეზოების პატრონთა სევდიანი ცხოვრების აღწერაა.

თითქოს იმავე მოთხრობის გაგრძელებაა „ქამუშაძის გაჭირვებაში“ აღნერილი გარემო: თავდაშვებული დალმართი, რომელზედაც დგას ოტიას ორთვალა სახლი, იმის იქით კი მოჩანან პატარა ქოხები, რომლებიც ერთიმეორეს მისდევდნენ და საცოდავად გამოიყურებოდნენ, თავშეყრილად იყვნენ, თითქოს სურდათ, მათი პატრონების მდგომარეობა თვალსაჩინო გაეხადათ. კრიტიკოსის თქმით, დავით კლდიაშვილი თვალით მიაცილებს ამ გმირებს ამ ეზოების გადაღმა – ორ რიგად მიმავალ ხეებსა, შუკებსა და ორლობებებში (აკ. განერელია, რჩეული, გვ. 136-137). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერლის თვალსაწინერში არა მარტო ეს პერსონაჟები და მათი საცხოვრისი, არამედ მთელი იმერეთია მოქცეული, ცხოვრებასთან ბრძოლაში ჩართული ადამიანებითა და ჯანლმორეული ბუნებით. როგორც კრიტიკოსი იტყვის, „კარგად დახატული ეს ეზოები, სადაც ამდენი მოწყენაა, წარმოადგენს კლდიაშვილის გმირების ასპარეზს“.

ეს ფონი ტიპურია, თალხშია გახვეული არა მარტო სიდუხჭირით ალსავსე ეს ეზოები და მათი პატრონები, არამედ მთელი ეს პატარა გენოკულტურული სამყარო მის ბუნებიანად, მაგრამ ასეთი სევდიანი ერთობა ცოცხალი ბუნებისა და საზოგადოებისა კლდიაშვილის ტექსტებში დასრულებულ სახეს იღებს, როცა, როგორც ითქვა, თავის ადგილს იკავებს ამ ერთიანი ცოცხალი სამყაროს მესამე წევრი – ცხოველთა სამყარო.

კლდიაშვილის შემოქმედებაში ამ სამერთიანობის საზრისმატარებლობის გახსნაში ჭეშმარიტად „ევროთვალთახედვის“ მოაზროვნედ გვევლინება აკ. განერელია. იგი ამ გაძვალ-ტყავებული ცხოველებისადმი მისი პატრონების ზრუნვაში ჭვრეტს არა მარტო ავტორის მიერ დახატულ „იმერულ გასაჭირს“, არამედ მას განიხილავს ზოგადად, როგორც ადამიანური არსობის „კომედიას“, რომელიც ყველგან, ყველა ეთნოსში ადამიანთა ტრაგედიის თანმხლებ მოვლენად გვეძლევა. მხოლოდ ასეთი თვალსაზრისით შეიძლება ავხსნათ, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, მის მიერ ბალზაკის დაუსახელებლად, მის

დიად შემოქმედებასთან კლდიაშვილის „მწირი“ შემოქმედების მისადაგება და, ბალზაკის „ადამიანური კომედიის“ მსგავსად, დ. კლდიაშვილის შემოქმედების „ერთი მთლიანი წიგნის“ სახით წარმოდგენა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მსოფლიო ჰუმანიზმის მამამთავრად აღიარებული სერვანტების დონ კიხოტთან კლდიაშვილის შემოქმედების ნათესაურ კავშირზე მითითება: „ეს მომენტი (დასუსტებული ჯორ-ცხენი) ანათესავებს ჩვენს ბელეტრისტს სერვანტესთან“.

კლდიაშვილის ამ „ერთიან წიგნში“ არა მარტო მისი მთავარი გმირები გადადიან მოთხრობიდან მოთხრობაში, პიესიდან პიესაში, არამედ მათი თანმდევი ბუნების ფონიც და უტყვი თანამგზავრთა რიგიც მიჰყვება თან. მათი გუნება-განწყობაც იდენტურია. თითქოს ბედისწერას შეუკრავს ისინი ერთად.

აკ. განწერელიას თქმით, დავით კლდიაშვილის გმირები სულ მოგზაურობაში არიან: სოლომონ მორბელაძე სამაჭან-კლოდ დადის; პლატონი სადედინაცვლოს ეძებს; მამა ზოსიმე მრევლში მიდის; დარისპანს თავისი ქალიშვილი ჰყავს გასათხოვებელი; მანველიძე ნათესავებში დაეხეტება. ყველანი ცხენებზე ან ჯორებზე სხედან. ეს პირუტყვები ერთგული არიან თავიანთი პატრონებისა, მათთან ერთად იტანენ ყველა სიძნელეს და გასაჭირს. ყველა ისინი გამხდარნი არიან, საცოდავად გამოიყურებიან. სტუმრად მისული პატრონები ყოველთვის ცდილობენ, იზრუნონ მათზე ისე მოხერხებულად, რომ არ დააზიანონ თავიანთი „ლირსება“.

* * *

კრიტიკოსი არ აკეთებს რაიმე შედარებას სერვანტესის ცხოველთა გალერეასთან. მაგრამ ოდენ ხსენება სერვანტესისა გვაძლევს საშუალებას, თავს ნება მივცეთ, რაღაც შედარება გავაკეთოთ მათ შორის, თუნდაც იმიტომ რომ ეს პირუტყვები და მათი პატრონები ერთ მთლიან, განუყოფელ სახეს ქმნიან. ისევე წარმოუდგენელია სოლომონ მორბელაძე თავის ჯორის

გარეშე, როგორც სანჩიო პანსა (ლიპიანი) თავისი ვირის უიმი-სოდ. აკი, სახლიდან გაბარვის წინ, თავის ახალ პატრონს უთ-ხრა, რომ თავის ვირის გარეშე ვერ წავიდოდა. „სანჩიომ იქვე დასძინა, ჩემი მშვენიერი ვირიც თან უნდა წამოვიყვანო“ (სერვანტესი, „დონ კიხოტი“, გვ. 80, ობ., 2008 წ.).

ახლა თვით სახელოვან იდალგოს (აზნაური) „რაშსაც“ მი-ვაქციოთ ყურადღება. მისი სახელი როსინანტი სერვანტესის შექმნილია: „როსინი“ – „ჯაგლაგს ნიშნავს ესპანურად, ხოლო „ანტეს“, „ნინათ“ „უნინ“ შეიძლება ასე ითარგმნოს – „ჯაგლაგ-ყოფილი“ „ნაჯაგლაგარი“ (იქვე, შენ. 90, გვ. 654). მაშასადამე, ის ჩვეულებრივი მუშა ცხენი იყო, სანამ მას იდალგოს ხელი არ შეეხო და მისი დიადი საქმეების მონაწილე არ გახდა.

დონ კიხოტი და როსინანტი, სანჩიო პანსა და მისი მშვენი-ერი ვირი ქმნიან ისეთ წყვილებს, რომელთა დაშორება წარმო-უდგენელია. სწორედ ამ ორი სამყაროს – ემპირიულისა და ადამიანთა საზოგადოების განუყოფლობა, სამყაროს მთლია-ნობაში გააზრება ქმნის სერვანტესის უჭკნობი ჰუმანიზმის საზრისს.

ახლა შევეცადოთ ავხსნათ, სერვანტესის ამ „განუყოფელ კავშირს“ რამდენად ენათესავება კლდიაშვილის აზნაურთა და-მოკიდებულება თავიანთ უტყვ თანამგზავრებთან.

ზემოთაც აღნიშნეთ და ახლაც უნდა ითქვას, რომ ეს „განუყოფელი კავშირი“ არანაკლებ ძალუმად იგრძნობა „იმე-რეთში“, ვიდრე „ლამანჩში“. ეს პირუტყვნი ძალზე ერთგულნი არიან თავიანთი პატრონებისა. მათთან ერთად ყველა ისინი იტანენ იმ გაჭირვებას, რაც თავს დასტყდომია მათ პატრონს, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, არც პატრონები რჩებიან გულ-გრილნი მათდამი.

„დია ჭიშკარში შემოაჯირითა... ჯორი მამაკაცმა“ – ეს სოლომონ მორბელაძეა; მამა ზოსიმე კი „მოუსვენრად სცემდა ქუსლებს პატარა ჯორს, რომელიც თანდათან უმატებდა ჩიქ-ჩიქს“ (მრევლი). ეს ჯორი თაგვის მსგავსია. ჯიმშერის სახლი-

დან გაქცეული, შეზარხოშებული კირილე კიდევ ქარივით მიაქ-
როლებს თავის ბედაურს და ა. შ. აქაც უტყვითა და მეტყველთა
ბედი სამუდამოდ გადასჯაჭვია ერთმანეთს. თუ კლდიაშვილი
ამ კავშირს სოციალურ ფონზე აგებს, სერვანტესი მას გენეო-
ლოგიურ და ისტორიულ საფუძველსაც უძებნის.

კლდიაშვილის მოთხრობებში ეს გამხდარი ჯორ-ცხენები,
ერთგულად ემსახურებიან თავიანთ პატრონებს; არც მათგან
რჩებიან უყურადღებოდ. ისინი, როგორც კი იშოვიან თავშესა-
ფარს, უმალ მათზე იწყებენ ზრუნვას. კიდევ ორიოდე მაგალი-
თი ამ საკითხზე.

არისტო, ბრეგაძეებთან მისვლისა და მიკითხვ-მოკითხვის
შემდეგ, უმალ ცხენზე იწყებს ზრუნვას. სერაპიონს სთხოვს,
ცხენებისთვის საკვები გვიშოვეო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ახ-
სენებს: „... მერე უცებ დაატანა... სერაპიონ ჩემო, ცხენების-
თვის რომ გთხოვე...“ ის არ დამივიწყოო. ან, ზოსიმემ ჯორი
ბიჭს გადასცა, პეტრიამ კი ბიჭს უთხრა – „ჩალა უშოვე მაგას!“
სოლომონი კიდევ თავის გაჯიქებულ ჯორს გადმოსძახებს აივ-
ნიდან: „გასაძღომად მიყავხარ, შე უბედუროო!“ (იქვე).

პატარა იმერეთის ამ სულდგმულთა მძიმე მდგომარეობა-
ზე უკეთეს ვითარებაში არც მათი დიდი ლამანჩელი თანამოძ-
მენი არიან. სერვანტესი საგანგებოდ აღწერს მათ გაუსაძლის
მდგომარეობას.

დონ კიხოტს როსინანტი, ჩვეულებრივ ცხენზეც უბად-
რუკი ჯაგლაგი, ბუცეფალსა და სიდის ბაბეკზე უკეთესად მიაჩ-
ნია. ლექსად თქმული მონოლოგიდან ვიგებთ, რომ ეს ბაბეკის
შვილთაშვილი ხშირად ჰყავდა თავის პატრონს **მშიერი**, „წინა-
პართან“ დიალოგიდან კი ვიგებთ, რომ როსინანტი ძალზე
მჭლე ყოფილა, „რადგან ჭაპანწყვეტა დიდია, სარჩო კი – მწი-
რი; ჭირსა და ვარამს კი ვერავის შესჩივლებს, ვინაიდან ბატონს
გონება არევია, მსახური კი ბრიყვია“ („დონ კიხოტი“, გვ. 30).

მაშასადამე, ამ გაძვალტყავებულ ლამანჩელ პირუტყვითა
არსებობა არანაკლებ მძიმეა იმერულ ჯორ-ცხენებისაზე. თუ

პირველთა უბედურება ბრალდება პატრონთა უგულისყურობას თუ სიბრიყვეს, კლდიაშვილის პერსონაჟები მათ ზრუნვას არ აკლებენ, მაგრამ უღონობას და უქონლობას ვერ ერევიან. მა-შასადამე, მათ შორის ნათესაობაზე მსჯელობა არცთუ უადგი-ლო ყოფილა.

რამდენადაც ისეთ გაბედულ შედარებას შეპბედა ქარ-თულმა კრიტიკამ და მკითხველმა, მინდა ავტორთა ბიოგრაფი-იდან სახალისოდ, ერთი წმინდად მისტიკურ დამთხვევაზე მი-ვაქციო მკითხველის ყურადღება, მაგრამ მანამდე რამდენიმე შტრიხით შევეხოთ იმერელი აზნაურისა და ლამანჩელი იდალ-გოს ფსიქომორალურ განწყობას, რომელიც მათ ხშირად აყე-ნებს კურიოზულ ვითარებაში.

23. უცნაური აზრების იდალგო და ახირებული ხასიათის აზნაური

ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვიმსჯელეთ კლდიაშვილის გალატა-კებულ აზნაურთა ახირებული ხასიათის ბუნებაზე ისტორიულ ჭრილში, ასევე უბოროტესი მტრის მიერ თავსმოხვეული კო-ლონიალური ჩაგვრით გამოწვეულ ფსიქოზნეობრივ დევალვა-ციურ პროცესზე. როცა ყველაფერი დასულია შინაარსისგან დაცლილი მოჩვენებითი თავმოყვარეობის დაცვამდე, რაც მათ „ხშირად კურიოზულ მდგომარეობაში აყენებთ“. სატირალს სა-საცილოს ხდის. ასეა ლამანჩი, ასევეა იმერეთში. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, იმ ზოგადადამიანურ საზრისმომცველობის გარდა, რაზედაც მოგვითხრობს სერვანტესი, კლდიაშვილის პერსონაჟების ბედუკულმართობას ძირითადად განაპირობებს გარეშე მტრის – ცარისტული რეჟიმის უღელქვეშ ყოფნა.

მამასადამე, ამ „ერთიან წიგნში“ მისიამოშლილი სოციუ-მისთვის ცხოვრებისეული საზრისმომცველობის წარმართვე-ლად გვეძლევა ფსიქოზნეობრივი ასპექტი, მისი უკიდურესი –

ინდივიდუალური ფორმით, იმ დონეზე, რომ ის ჩვევად ქცეულა.

ახლა კი ვნახოთ, მოეძიება კი რაიმე საერთო ამ იმერელ გაღატაკებულ აზნაურს ლამანჩელ მახვილგონიერ იდალგოს-თან (აზნაურთან).

სერვანტესი, პირველი სტრიქონებიდანვე, თითქმის ფიცის დონეზე გვამუნათებს იმაში, რომ მისი ეს გონების ნაყოფი უნდოდა მშვენიერი და დახვეწილი ყოფილიყო, მაგრამ ის ვერ აღუდგა ბუნების კანონს და მსგავსმა მსგავსი დაბადა, „ამიტომ ჩემი ბერნი და გაუნათლებელი ჭკუის ნაყოფი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა გაძვალტყავებული, გაწლობილი, **ახირებული ზნისა და უცნაური აზრებით** შეპყრობილი გმირის ამბავი...“ (სერვანტესი, იქვე, გვ. 15).

მაშასადამე, განწლობილი ლამანჩელი იდალგო – გაძვალტყავებული, ახირებული ზნისა, უცნაური აზრებით შეპყრობილი ადამიანი, რომლის უჩვეულო თავგადასავლის ამბავსაც გვიყვება ავტორი, დავით კლდიაშვილის „ერთიანი გმირი“ – გაღატაკებული (სერვანტესით: „გაძვალტყავებული“) აზნაური (იდალგო) თავისი უცნაური ზნით, ძალზე ახირებული თავგადასავლებით, ე. ი. ფსიქომორალური განწყობით, თითქმის ზედმინევნით იმეორებენ ერთურთს.

შესაბამისად, ეს პერსონაჟები: „მსოფლიო იდალგო“ – ლამანჩელი და იმერელი „პატარა ადამიანი“ (აზნაური) თითქოს მისტიკურ კავშირში არიან ერთმანეთან. ეს იმას ნიშნავს, რომ კლდიაშვილის გმირების სულიერება ენათესავება „ადამიანური აზრის უკანასკნელ და უდიადეს სიტყვას“ (დოსტოევსკი). ამიტომ არის ფასეული აკ. განერელიას მიერ თქმული: „კლდიაშვილს თავისი გმირები აჰყავს ადამიანური განცდის უმაღლეს საფეხურზე“.

ამდენად, კლდიაშვილის ეს კაცთმოყვარეობა ნათესაობას ამჟღავნებს სერვანტესის დიად ჰუმანიზმთან. ამას მოწმობს თუნდაც თავის შვილთან დიალოგში გაცხადებული მისი მწერ-

ლური გუნება-განწყობის გახსნა. „მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასდროს მიფიცირებია. ჩემთვის მთავარია, რას და როგორ სწერ. თუ ნანარმოები განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს... მე ის არ მომწონს. ტყუის, კუდაბზიკა აზნაურივით იქაჩება, რაღაცას იპერება, რაღაც ბრძნული უნდა ვითომ თქვას და ტყუის, კაცი იმას არ უყვარს, ადამიანის უკეთესობისთვის არ ფიქრობს. გულგრილობით შორს ვერ წახვალ, გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე...“ (ხაზი, მ. ზ.) (თხზ. გვ. 412, თბ., 1998 წ.). მაშასადამე, ადამიანისადმი სიყვარული მისი შემოქმედების წყაროს თავია.

თუკი კაცობრიობისადმი სიყვარულითაა გაულენთილი სერვანტესის მწარე ირონია, იმავე სიყვარულითაა ნაპატივები დ. კლდიაშვილის მწვავედ მამხილებელი ცხოვრებისეული კომედია. ამიტომ სერვანტესთან ნათესაობა არა მარტო ცხოველთა მიმართ ურთიერთობაში იკვეთება, არამედ უმთავრესში – ადამიანებისადმი დიდ სიყვარულში. ეს მომენტიც შეიძლება კონკრეტული მაგალითებით დადასტურდეს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სერვანტესს სურდა, მისი ეს გონების ნაყოფი მშვენიერი და დახვენილი ყოფილიყო. გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. ფაქტი ერთია: ავტორმა მასში მთელი სიყვარული ჩააქსოვა. მისი ჭკუის ნაყოფი დიდი ჰუმანიზმის მბადია, ვინაიდან „მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ამ წიგნზე უფრო ღრმა და ძლიერი ნაწარმოები. დღესდღეობით ესაა ადამიანური აზრის უკანასკნელი და უდიდესი სიტყვა. ესაა ყველაზე მწარე ირონია, რომელიც ოდესმე გამოუთქვამს ადამიანს“ (თ. დოსტოევსკი). აი, ამ ირონიასთან ანათესავებენ კლდიაშვილის „პატარა ადამიანების“ (აზნაურების) „ახირებულ თავგადასავლებს“, რომლის აღწერაში ავტორს ჩაუდია მთელი მისი ადამიანური არსება. უაზრო გადამკითხველთაგან გულშენუხებული თვითონვე მოგვითხრობს ამაზე.

დავითის საიუბილეო საღამოს თავმჯდომარემ თურმე თქვა: „მწერალი თავის მოთხრობებში დაუნდობლად ამათრა-ხებდა და დასცინოდა ხელმოკლე აზნაურებსო“. სერგო კლდი-აშვილის თქმით, ამან იუბილარი ძალზე გააბრაზა. შემდეგ კი სამადლობელ სიტყვაში განაცხადა: „არა, მე არავინ გამიმათ-რახებია, არ დავცინოდი იმ უბედურ ადამიანებს, მე ისინი მე-ცოდებოდნენ, მებრალებოდა ადამიანი, რომელიც **მახიჯამა ცხოვრებამ** გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყე-ნა. მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამნარე-ბულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და გულისტკივილით ვწერდი. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ახლავე უარს ვიტყოდი ჩემს ნაწე-რებზე. მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძლოდა მხო-ლოდ ადამიანის სიყვარული“ (თხზ., გვ.411).

სხვათა შორის, „ოპონენტებს“ ვურჩევდი, ყურადღება გა-ამაცვილონ ამ იუბილეს თარიღზე და ნუ ცდილობენ ზოგიერთი უნიჭო შეფასების ნორმად გამოცხადებას, ან კიდევ ყველაფე-რი მიანერონ ბოლშევიკური იდეოლოგიის ძალდატანებას. ეს თავმჯდომარე, ამ დროს, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქარ-თველოს მოქალაქეა, ე. წ. პირველი რესპუბლიკის ელიტის წარ-მომადგენელი, მათი სოციალ-დემოკრატიული იდეის მატარე-ბელი; ეს გაჭირვებული ფენა სულ ფეხებზე კიდია. ისინი მის-თვის კლასობრივი მტერია. მათ თვითონ რომ დასცინის, ასე-თივე ჰგონია ავტორის დამოკიდებულებაც მათდამი. ისინი (ბოლშევიკ-მენშევიკი) ერთი იდეოლოგიის ორ ფრთას წარმო-ადგენენ.

მისგან განსხვავებით, კლდიაშვილი დასტირის ამ მახიჯი ცხოვრების მიერ გატანჯულ ადამიანებს; **თუ გამათრახებაზე** მიდგა საქმე, ის სწორედ მათ დაუნდობელ მხილებას ცდილობს, ვინაც ასეთ დღეში ჩააყენა ეს ადამიანები. მათი ჭეშმარიტი სა-ხე კიდევ დუმილით „გამოთქმულ“ პროტესტებსა და ამ „ერთი-ანი წიგნის“ სტრიქონებს შუა ჩატენილ გააზრებაში ჩანს. თ. სა-ხოკიასთან და ალ. ჯაბადართან ლაპარაკში ის იტყვის: იქნებ

მოვესწრო, დაემხოს ტახტი და ჩვენს ნამებულ ხალხს ელირსოს რუსეთის კლანჭებიდან თავდახსნაო.

სამწუხაროდ, კლდიაშვილის ამ „გამწარებულ“ ახსნა-განმარტებას თავის შემოქმედების არსზე ზუსტად ასი წლის შემდეგაც ვერ ჩასწოდნენ მრავალნი. ვერ გაუგიათ, თუ ვინაა გამათრახებული და ვინ – უმაღლესი ადამიანური სიყვარულით გამთბარი. რაშია ამ დიდებული ბელეტრისტის მიერ „გამუღავნებული ჰუმანიზმის“ არსი?

დავითი თითქოს საგანგებოდ მიჰყვება აღორძინების ხანის საამცხოვრებო საზრისმატარებელ სენტენციას, რომ „სიცილი სულის ტაროსია!“ მას თითქოსდა რაღაც მისტიკური ძალა ექაჩება, თავისი გმირების ამ სიცილ-ტირილის ფონზე სრულიად ჩაინთქას ჰუმანიზმის თვალჩაუწვდომელ სიღრმებში; და მისთვის ბუნებრივად დამახასიათებელი „ახირებული ჩაციებით“ თვალი მიედევნებინა ცხოვრების ორომტრიალისთვის, როგორც ამას სერვანტესი აკეთებდა.

24. მწერლის ცხოვრებისეული ეპიზოდების მისტიკური გააზრება

მისტიკური თანხვედრის რაღაც ნიშნები მათ (სერვანტესისა და კლდიაშვილის) ბიოგრაფიებს შორისაც შეიძლება მონახოს. ასეთ, მეტაფიზიკურ გააზრებათა შემოტანა ჩვენს ტექსტში, საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს კლდიაშვილის შემოქმედების პერსონაჟთა ფსიქომორალური განწყობის ნათესაური კავშირის მოძიების თვალსაზრისით სერვანტესის გმირთა **ახირებულ ხასიათებთან**.

სერვანტესი პროლოგში, ჩვენი შეხედულებით, სრულიად შეგნებულად, აღნიშნავს თავისი თავგადასავლის იმ ავბედით ნაწილს, რომ აპსოლუტურად უდანაშაულოდ ორჯერ ჩასვეს ციხეში. მას უნდა, დაგვანახვოს კავშირი თავის შემოქმედებით საქმიანობასა და რეალურ ცხოვრებას შორის. ის წერს: ან კი რა

დაიბადებოდა საპყრობილეში, ათასგვარი ჭირ-ვარამისა და გულის გამანვრილებელი ვაი-ვიშის ამ სამყოფელში? (გვ.13). ისე მეჩვენება, თითქოს, სერვანტესს ციხეში ყოფნისა და ამ დიადი რომანის წერის დაწყების გარემოს აღწერისას ხმარებული სიტყვები კლდიაშვილის გაუბედურებულ, ლარიბ აზნაურთა ცხოვრების აღწერიდან ესესხებინოს. ეს კი მაჩვენებელია ამ პერსონაჟების ფსიქომორალური განწყობის შემქმნელი სიტუაციური გარემოს მსგავსებისა.

მიგელ დე სერვანტეს საავედრას 1597 წელს, იმხანად გრანადის საბაჟოს წვრილ მოხელეს, ბრალი დასდეს 2641 რეალის გაფლანგვაში. ამ, სრულიად უსაფუძვლო ბრალდების გამო სევილის ციხეში ჩასვეს (როგორც შემდეგ გაირკვა, ნამდვილი დამნაშავე ვინმე სიმონ ფრეისე ლიმელი ყოფილა). 1602 წელს კვლავ უსაფუძვლო ბრალდებით ხელახლა აპატიმრებენ და ისევ სევილის ციხეში სვამენ. სერვანტესისტების ვარაუდით, სწორედ ამ ორი პატიმრობისას უნდა ჩაეფიქრებინა და ნაწილობრივ დაეწერა კიდეც „დონ კიხოტის“ პირველი წიგნი (იქვე, შენ. 2, გვ. 648). აი, რა სასტიკ გარემოში იბადებოდა ეს მსოფლიო ჰუმანიზმის შედევრი. ამიტომ არ ეშინია ავტორს, რომ ის ვერ გაუძლებს მკაცრ გამოცდას. ამადაც ექცევა თავის პირმშოს მამინაცვალივით და მკითხველს შესთხოვს, მის ნაშიერს არაფერი მიუტევონ. რამხელა თვითდაჯერებულობაა. ეს მხოლოდ გენიოსის თვისებაა. მაშასადამე, ეს ახირებული ამბავი საპყრობილის საკუნებში იდებდა ფერხორცს.

არანაკლებ რთული იყო ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფონი, სადაც ყალიბდებოდა დავით კლდიაშვილის ლარიბი აზნაურის ზედმინევნით რეალისტური ტიპის სახე.

სერგო კლდიაშვილი იგონებს: „ოჯახს თავიდანვე აფორიაქებულ გარემოში უხდებოდა ცხოვრება. საზოგადოებრივი მუშაობაში ჩაბმულ დაუდევარ დავითს ყოველ წუთს ხიფათი მოელის: დუელი, გადასახლება, დევნა, დამატებული რთული და კაპრიზული ხასიათი (იმერელი აზნაურის – მ. ზ.).

მან „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმა დუ-ელში გამოიწვია. საბედნიეროდ, ეს დუელი არ შედგა, რადგან პალმამ ბოდიში მოიხადა. ალბათ, პროფესიონალ სამხედროს-თან დუელის გამართვის შეეშინდა?!

ამ პროფესიონალი მებრძოლის თვისებების თვალსაზრი-სით, არანაკლებ საყურადღებოა სერვანტესის საბრძოლო თავ-გადასავალი. ის მონაწილეობდა 1571 წლის ლეპანტოს საზ-ლვაო ბრძოლაში თურქეთთან, სადაც მძიმედ დაიჭრა მკერდის არესა და მარცხენა ხელში, რომელიც შემდეგ, მთელი სიცოც-ხლის მანძილზე გაშეშებული დარჩა (იქვე, ტ. II, შენ.8, გვ.717). ხელის გაშეშებულობის მიუხედავად, ლეპანტოს შემდეგ, მან კიდევ რამდენიმე საზღვაო და სახმელეთო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა (იქვე, შენ.7).

ამდენად, თუ რაღაც დამთხვევებზეა ლაპარაკი, მისტი-კურად თუ ბედისნერის ირონიის თვალსაზრისით, უფრო საყუ-რადღებოა ის, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს გენიოსი, ამ-დენი ბრძოლაგამოვლილი კაცი, სრულიად უდანაშაულოდ ორ-ჯერ ჩასვეს ციხეში მაბეზღრებმა და ნაძირალებმა. არანაკლებ რთულ ვითარებაში აღმოჩენილა დავითიც.

სერვანტესის მაბეზღრები თუკი რიგითი თალღითი წვრილმოხელეები იყვნენ, დავითს გასაქანს არ აძლევს თავისი უმუალო უფროსი და აბეზღებს ქართველთათვის ავადსახსენე-ბელ გენერალ გრიაზნოვთან. ამ დაბეზღების შემდეგ, გრიაზ-ნოვის ბრძანებით, ის უნდა გაეგზავნათ დაღესტანში – დიშლა-გორში, რაც მის ფიზიკურ განადგურებას თუ არა, ქართული საზოგადო საქმეებისგან ჩამოშორების, შესაბამისად, ლიტერა-ტურული მოღვაწეობის ჩაკვლის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ ამასობაში გრიაზნოვი მოკლა არსენა ჯორჯიაშვილმა, დავითი დაღესტანში გაგზავნას გადაარჩინა საოლქო შტაბის უფროსმა გენერალმა ბერხმანმა (შეადარ. თხზ. გვ.414, შენ. გვ.446).

ამ ავტორების ცხოვრების ხიფათიანი მომენტების მსგავ-სების გარდა კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ სერვანტესი თავისი მსოფლიო გმირის – ლამანჩელი იდალგოს (აზნაურის)

სახეს ქმნიდა სევილის საპატიმროს დილეგში; დავით კლდიაშვილი კოლონიალურ უღლის შედეგად გაღატაკებული აზნაურის ტიპაჟს ხატავდა გონებაჩლუნგ რუს სამხედროთა ყაზარმაში. რუს სამხედროთა ასეთ დახასიათებაში რომ არ ვაჭარპებ, ამაში დაგვარწმუნებს თედო სახოკიას მოგონება დავით კლდიაშვილის ცხოვრების ერთი ეპიზოდზე.

„მოამბის“ რედაქტორი ალ. ჯაბადარი და თ. სახოკია მიდიან დ. კლდიაშვილთან ბათუმში, შეიარაღებული გამოსვლების საკითხთან დაკავშირებით. საქმის ვითარებაში გარკვევის შემდეგ ის სტუმრებს ეუბნება: „ჩემო კარგო!.. მე მარტო ვარ, მარტო ... გარშემო სულ შავრაზმელები მახვევია... **გონიქაჩლუნგი** და ჩამორჩენილი სალდათი რუსისა“ (თხზ. გვ. 391). აი, რა გარემოში უხდებოდა მას ცხოვრება და მუშაობა. ძირითადად ამ ყაზარმებში რომ ქმნიდა თავის გმირთა უკვდავ სახეებს, ესეც მისი მონათხრობიდან ირკვევა.

იგი, თავის მოგონებათა წიგნში ყვება: ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას, „ნრფელი გული“ რომ ჰქვია, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი, ტონის მიმცემი პირველი სტრიქონი ვერ ჩამოვაყალიბე. ასე დიდხანს ვეწვალე. ერთხელ გრიგოლ ვოლსკისთან ერთად ბათუმის ბულვარიდან გამოვდიოდით და ვლაპარაკობდით, უეცრად ჩემი მოთხრობა გამახსენდა, უცებ თითქოს ფარდა აიხადა, ერთ წუთში თვალწინ დამეხატა მთელი მოთხრობა ... დასაწყისიც აგერ არის. მე არ მოვდივარ, გრიშა, ვუთხარი და ბანაკისკენ გავიქეცი. მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიდე ქალალდი და გატაცებით ვიწყე წერა... ეს უმაღლესი სიამოვნება იყო. ასევე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალიც“ (თხზ. გვ. 359). ასე, ყაზარმებში (ბანაკებში) იძერნებოდა დიდი ლამაზჩელი იდალგოსა და იმერელი პატარა აზნაურის სახეები. ესეც ხომ მისტიკის სფეროა.

თავი III

მცირებლის საკუთარი შემოქმედების „ჩადგენ“

25. გმირთა გაუპედურების წყაროზე

დ. კლდიაშვილი თავის შემოქმედებას იმთავითვე ზოგად-ქართულ პრობლემათა კონტექსტში წარმოიდგენდა. ავტორი სრულიად ქართულ გასაჭიროს უტრიალებდა, ხოლო მთელი ამ ტრაგიკომედის სათავედ რუსული თვითმპყრობელური სისტემა მიაჩნდა. ამას თვალნათლივ აღნერს თავის მემუარებში. თვალსაჩინოების მიზნით შევეხებით რამდენიმე მომენტს მისი „ჩემი ცხოვრების გზაზედან“.

ის იხსენებს: როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ბეჭდვა დასრულდა უურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში. მასთან იყო არტურ ლაისტი. მე შენ ხმას არ გაგცემ, შემომიტია პეტრემ, რიგიანი კაცი მეგონე, ზარმაცი ყოფილხარ, ამჩატებული... როცა შევეეკითხე, რატომ პატონო პეტრე-მეთქი, რატომ და იმიტომ რომ ასე მალე დაამთავრე სამანიშვილის მოგზაურობა. გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში, რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა, შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი. თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი“ (თხზ., გვ.136). ამ შემთხვევაში ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. კლდიაშვილის ერთიან წიგნში, ერთიანი ქართული გასაჭირია აღნერილი. ამიტომ, ყურით მოთრეული მტკიცება: „კლდიაშვილს ოდენ იმერელ სატირიკოსად წარმოაჩენდნენ“, დიდი შეცდომაა.

სულ სხვაგვარად, უფრო რთულად დგება საკითხი, როცა ამ არნახულ ტანჯვა-წამებათა მიზეზთა ავტორისეულ გააზრებების ძიებაზე მიდგება საქმე. ამ უბედურებათა შიდა სოციალური მანკების: ცრურნმენა, რელიგიური ფანატიზმი, წერა-კითხვის უცოდინარობა, ეკონომიკური და კულტურული განვი-

თარების სტაგნაცია და ა. შ. მიღმა არსად ჩანს მითითება მათ გამომწვევ მიზეზთა მიზეზზე – სახელმწიფო პრიობის მოშლი-სა და კოლონიალური წესრიგის გაბატონებაზე. თუნდაც მის თანმდევ პროცესებზე – ავტოკეფალიის გაუქმებასა და გაბო-როტებული რუსული სამღვდელოების როლზე იმ რელიგიური ფანატიზმის მოძღვავრებაში, რომელსაც ასე მაღალმხატვრუ-ლად აღწერს მწერალი, ისევე, როგორც გარუსების პოლიტიკის როლზე წერა-კითხვის უცოდინარობასა თუ კულტურულ-სა-განმანათლებლო პროცესთა დევალვაციაში.

მაგრამ საკმარისია, მის შემოქმედებით და საზოგადოებ-რივ საქმიანობას მთლიანობაში შევხედოთ, ჩავწედეთ მათ საზ-რისმომცველობას, რომ მთელი სისრულით დავინახოთ მისი ბე-ლეტრისტიკის მამოძრავებელი არსი.

ამიტომ აუცილებელია მთავარ შტრიხებში წარმოვაჩი-ნოთ ავტორისეულ მიზანსწრაფულობა და იდეალები მისივე მოგონებათა შუქზე, მისივე შეფისება საკუთარი შემოქმედების „ბედისწერისა“.

მაგალითისთვის ისევ თ. სახოკიას მივუბრუნდეთ; ის წერს: დ. „კლდიაშვილმა საოცარი აღფრთოვანებით მოგვისმი-ნა სათქმელი. თითქოს ადგილს ვერ პოულობდა. მადლობა თქვენ, რომ გამახარეთ, – გვითხრა მან, – და გულს იმედი ჩა-მისახეთ. იქნება მოვესწრო დაემხოს ნიკოლოზის ტახტი. ჩვენს ქვეყანას, ჩვენს განამებულ ხალხს ეღირსოს, რუსეთის ორთა-ვიან არწივს თავი დააღწიოს, დამოუკიდებელი ცხოვრებით იც-ხოვროს, სხვა ერებს ამოუდგეს, როგორც სწორი სწორს. ეს ჩე-მი ოცნების საგანია და ამისთვის თავი არ მეზოგება. პირადად მე ჩემი ქვეყნის ჭირის სანაცვლო ვიყო... მზად ვარ, ზვარაკად მივიტანო თავი“ (თხზ., გვ. 331), ასეთია მწერლის მიზანდასა-ხულობა, მისი ოცნება და იმედი, რომლის გავლენითაც იქმნება მთელი ეს მხატვრული შემოქმედება. სწორედ ამიტომ იმთა-ვითვე შეიყვარა ის ხალხმა (ქართულ მწერლებს შორის მას პირველს მიენიჭა სახალხო მწერლის წოდება), ვინაიდან მკით-

ხველს კარგად ესმოდა როგორც ეს, ხალხურ სიბრძნეზე განყობილი მისი შემოქმედების არსი, ასევე, როგორც განერელი-ასთან ვნახეთ, ის, რაც მთლიანად „ქვეტექსტშია ჩატენილი“ და უთქმელი.

ამდენად, ხალხისგან დაფასება და სიყვარული მწერალს არასდროს დაჰკულებია. ამიტომ არის ჩვენთვის ასე მიუღებელი ამ ლექტორების გაუაზრებლად ნათქვამი: დავით კლდიაშვილის შემოქმედება დღემდე Sic ჩვენამდე დაუფასებელი იყოო.

26. ავტორი თავისი ლიტერატურული შემოქმედების დაფასებაზე

დავით კლდიაშვილის შემოქმედების მიმართ ქართველი მკითხველის, ლიტერატურული კრიტიკის, ზოგადად ეროვნული კულტურის დამოკიდებულებაზე საკმაოდ ვიმსჯელეთ, მაგრამ ამ საკითხში ძირფესვიანად გარკვევისთვის მნიშვნელოვანია საკუთრივ ავტორის აზრი, ვინაიდან, ზოგადად „ყოველი დიდი შემოქმედი დიდი კრიტიკოსიც არის“ (კ. გამსახურდია). ამიტომ მასზე უკეთესად არავის შეუძლია ახსნას მისი ლიტერატურული შემოქმედების არსი და ის, თუ რამდენად სწორად იქნა წაკითხული და გაგებული ეს ტექსტები, ე. ი. მისი ეს გამონაგონი „საოცარი ამბები“, და ის, მიანიჭა თუ არა მან ბედნიერება თუ უბედურება მკითხველს. შესაბამისად, რამდენად სრულფასოვნად იყო ავტორი დაფასებული საზოგადოების მხრიდან.

მარსელ პრუსტი წერს: „გამონაგონს შეუძლია მოგვანიჭოს ბედნიერება ან უბედურება, ეს ძალა გადმოდის ჩვენს სულში, სადაც ტკივილს სილამაზედ ვაქცევთ“ (მ. პრუსტი, წიგნის კითხვა, გვ. 106, თბ., 1993 წ.). თითქოს კლდიაშვილის შემოქმედებაზე იყოს ნათქვამი. სწორედ რომ მისი გამონაგონი ანიჭებდა მკითხველს სიხარულსა და სინაულსაც, ვინაიდან იმდენად ცოცხალი და ადამიანურნი იყვნენ ეს გმირები, რომ

საზღვარი წაშლილია სინამდვილესა და ხელოვნებას შორის. ავტორს ადამიანური განცდის მწვერვალზე აპყავს ისინი.

რაც შეეხება ბედნიერებისა და უბედურების – სიხარულისა და მჭმუნვარების პრობლემას, ეს ხომ მისი შემოქმედების ცენტრალური საკითხია. მისი „მოთხოვობები ყოველთვის მხიარული აკორდით იწყება, ხოლო თავდება უნუგეშო ღალადით: გმირი დასაწყისში იცინის, ბოლოს კი მოთქვამს“ (აკ. განერელია, გვ. 147). ამდენად, კლდიაშვილის შემოქმედების გმირების სული გადმოდის ჩვენში და იმ მჭმუნვარებებს, რომელთაც განიცდიან ისინი, სილამაზედ ვაქცევთ (იხილეთ ავტორისეული მოგონება, პიესის „ირინეს ბედნიერების“ დადგმაზე ქუთაისში (თხზ., გვ. 32).

მაშასადამე, კლდიაშვილის შემოქმედების არსში სრულფასოვნად წვდომისთვის მასვე უნდა მივმართოთ, მით უმეტეს, მან შექმნა თავისი მაღალმხატვრული შემოქმედების ტოლსწორი მემუარები. ს. კლდიაშვილი წერს: არ შევმცდარვარ „ახირებული ჩაციებით“, დავითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო მოთხოვობების თანასწორი დასწერა (თხზ., გვ. 410), მისი დაწერის მიზანს კიდევ თვითონ ავტორი განსაზღვრავს მემუარის წინასიტყვაობაში.

მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის აღსადგენად ამ სტრიქონებშიც იპოვოს გამოსადეგი მასალა, თუ ეს ასე იქნა, მაშინ დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დაკმაყოფილებული (თხზ., გვ. 313). მაშასადამე, ავტორი მიგვანიშნებს, რომ მის შემოქმედებაში დახატული XIX საუკუნის სურათის გაგებისათვის საჭიროა ამ მემუარებში მოხმობილი ამბების გამოყენება და მთლიანობაში გააზრება.

ამჯერად საინტერესოა მისი მითითება იმ წრეზე, ვისაც ის უძღვნის ამ ნაშრომს: „მათ, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა“. მით უმეტეს, რომ ფიცივით იტყვის: „მოგონებებში არაფერი შეფერადებული

არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გა-
დაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავ-
ლობაში“ (დ. კლდიაშვილი, 1925 წ.) (თხზ., გვ. 313).

მოდით, მივყვეთ მის ამ სიმართლეს, ყოველგვარი შეფე-
რადების გარეშე აღწერილს და თუკი სადმე შევხვდით ქართუ-
ლი მკითხველი საზოგადოებისადმი საყვედურს, მის მიმართ
რაღაც უმადურობის გამოხატულებას, მაშინ რაღაცნაირი გა-
მართლება ექნება ამ ლექტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრე-
ბას იმაზე, რომ კლდიაშვილის შემოქმედებას სათანადო დაფა-
სება არ ჰქონდა.

* * *

მისი შემოქმედების არსში წვდომისთვის უპრიანი იქნება,
თუკი მისივე ცხოვრებისეული მრწამსით: „ჩემი ცხოვრების
გზაზე წინ მიმიძღოდა მხოლოდ ადამიანისადმი სიყვარული“
ვიხელმძღვანელებთ. ადამიანებისადმი ეს სიყვარული მას მრა-
ვალწილ უნაზღაურდებოდა, თავის გმირებთან და თავისი შე-
მოქმედების დამფასებლებთან (მკითხველებთან) ეგზომ მჭიდ-
რო ურთიერთობით. ამ ურთიერთპატივისცემასა და ნდობაში
გაირბინა მთელმა მისმა ცხოვრებამ. ამიტომ ამბობს დანანე-
ბით: „... რა უცბად გაიარა დრომ, თითქოს ერთი წაძინება
იყოს“ (თხზ., გვ. 415).

მწერლის ამ ფსიქოზნეობრივი სურათ-ხატის სრული სი-
სავსით წარმოდგენისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი შვი-
ლის – სერგო კლდიაშვილისული აღწერა მამის გულალალი
ხასიათისა. დავითი უცბად გადაშლის გულს, სხვებსაც გადაშ-
ლევინებს. სირცხვილია მასთან ითაღლითო... დავითის მოტყუ-
ება სულ ადვილია. თვითონ ტყუილი არასდროს უთქვამს, სიც-
რუე არც სხვისგან წარმოუდგენია (თხზ., გვ. 414). ამიტომ მისი
ნათქვამი თავის „შემოქმედების ბედზე“ არა მარტო სრულფა-
სოვანია, არამედ, მის მიმართ სხვანაირი პოზიციის დაკავება
თაღლითობაა.

27. მნერლის მსოფლმხედველობის ფორმირების გზა

დავით კლდიაშვილი თავის მსოფლმხედველობით შეხე-დულებათა არსის ფორმირებაზე თვითონვე მიანიშნებს გრი-გოლ რობაქიძის ქუთაისური ლექციების მოგონების ფონზე. ის ასე აღნერს XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის სრულიად გა-დაგვარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებას: ქარ-თულად ლაპარაკი ესირცხვილებოდათ. ჩვევლებად იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა – ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ, რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო. ამგვარი იყო მდგომარეობა, რობაქიძეც ლექციას კითხულობდა რუსულად, თბილისშიც და ქუთაისშიც უამრავი ხალხი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, ქარ-თველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ გვაგონებდა. შემოგ-ვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო.

მართლაც, მალე წაიკითხა ლექცია ქართულად – ბარა-თაშვილზე. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. გაზეთებში ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, მის ცოდნას; განსა-კუთრებით აღნიშნავდნენ საუცხოო ქართულს. ცნობილი სა-ზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი მელაპარაკებოდა: „ჩვე-ნი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ“. კოტე ბაქრაძე კი გაიძახოდა: სად ისწავ-ლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული. გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. მას რობაქიძის მიერ ვაჟას შემოქმედების შეფასება კიდევ გადაჭარბებულად მოსჩვენებია, მაგრამ თვი-თონვე ამბობდა თურმე, არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს. გადაგვარებაზე ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვვერა! მერე კლდიაშვილი დასძენს: „რობა-ქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა. ნათლად დაუმ-ტკიცა საზოგადოებას ის, რომ ქართული ენა შვენებით სავსეა. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე დაანა-ხვა და გაიტაცა. მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნა-

მოღვაწარს“ (თხზ., გვ. 346-347). სამწუხაროდ, რობაქიძის ეს დიდი ლვანლი თავის დროზე ვერ დაფასდა სათანადოდ, მაგრამ ეს სხვა პრობლემაა.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ დ. კლდიაშვილის შემოქმედების საზრისმომცველობა ეროვნული გადარჩენისთვის თავდაუზოგავი ბრძოლის გარემოში ფორმირდებოდა. მისი გმირების ყოველდღიური ფუსფუსი, მედგარი ბრძოლა ყოველდღიურობისთვის უერთდებოდა იმ დრად ბრძოლას, რომელსაც ეწეოდა მაშინდელი, ჭეშმარიტად ეროვნული იდეებით გამსჭვალული მოწინავე ნაწილი ერისა.

ანტირუსული განწყობა მისთვის ბავშვობიდანვე თანამდევი პროცესია. ამიტომაც შეძლო დავიწყებული ენის ხელახლა შესწავლა და მავანთა მსგავსად არ გაიძახოდა, – ქართული არ მეხერხებაო. მისი ერთი მოგონებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი პასუხისმგებლობით უდგებოდა ამ საკითხს.

ის წერს, აკაკი სხვებთან ერთად მეც გამომელაპარაკა; მყითხა, სად ვსწავლობ, საით მივდივარ და მისთანები... მე ვუთხარი, კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების დასამთავრებლად? — მხიარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

— არა, მე არ გავრუსდები, — მივუგე.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან (თხზ.. გვ. 350) (ხაზი, მ. ზ.).

მწერალმა თავისი ეს დაპირება პირნათლად შეასრულა.

კლდიაშვილის შემოქმედების რეალისტური არსის გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი პირველი მოთხრობების — „შერისხვა“ და „მსხვერპლის“ გამო „მოამპის“ რედაქტორის ალ. ჭყონიას შენიშვნაზე მისი რეაქცია.

რედაქტორი სწერდა ავტორს: მოთხრობებში აღწერილი სურათები მეტად შავბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო, ნუთუ მართლა ასეთი შეგნებით არის მოცული სოფლის

ცხოვრებათ, საჭიროა უფრო შენელება სურათისა. ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემგან; პირიქით, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა სიჩქარეში (თხზ., გვ. 359). ეს მომენტიც კმარა იმის-თვის, რომ ეჭვი არ შეგვეპაროს მის გმირთა რეალურობაში. ამასთან, ამ შემთხვევაში კლდიაშვილის ფსიქოზნეობრივი მიდგომა თავისი გმირებისადმი თითქოს იმეორებს სერვანტესისას, რომელიც მკითხველს მიმართავს: არ მსურს თვალცრემლიანმა შევთხოვო ჩემს ნაშიერს, მიუტევონ მისი ნაკლი ანდა თვალი დახუჭონ მასზე (სერვანტესი, ტ. I, გვ.15). ვერც კლდიაშვილი იძლევა იმის საშუალებას, რომ თვალი დახუჭონ ნამდვილ ცხოვრებაზე, სინამდვილის რეალურ ასახვაზე. ეს უკვე არაა მისტიკური თანხვედრა, არამედ მაღალი შემოქმედების ნიშანია.

ამდენად, კლდიაშვილის შემოქმედებისადმი ინტერესი იზრდებოდა. განსაკუთრებით, „სოლომონ მორბელაძის“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ გამოსვლის შემდეგ. ის იხსენებს: „მოამბის“ რედაქტორმა გამომიგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევებით, დარიგებით ალ-სავსე წერილი“. ასეთი ყურადღებით აღფრთოვანებული, ის წერს: „ბედს ვერ დავემდურები, ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ“ (თხზ., გვ. 361).

მაშასადამე, მის შემოქმედებას იმთავითვე, პირველი მოთხოვებიდან მოყოლებული, არ დაკლებია ყურადღება; შესაბამისი დაფასება, რაც მთავარია, **სახალხო სიყვარული**. ამასთან, ჩვენი ლექტორის მიერ „დახეთქებული“ მოსაზრება, რომ მას ისე ეჩვენება, თითქოსდა მწერალს რაღაცნაირად სიფრთხილისკენ უბიძგებდა ის, რომ ორჯერ მოუხდა ქართული ენის შესწავლა და ეშინოდა, რაიმე შეცდომები გაპპარვოდა და ა. შ. რაღაც სტილისტური თუ ტექნიკური აბსურდები, სისულე-ლეა. სინამდვილეში კი მისი ნაწარმოებების ასეთი თბილი მიღება ხდიდა მას „ფხიზელ მომუშავედ“.

მწერალი სხვაგან კიდევ უფრო დაწვრილებით აღწერს მისი შემოქმედებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და სიყვარულს. „ვიმეორებ – ბედი მწყალობდა, სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომარეთელი, ილია ნაკაშიძე, ხომლელი („აკაკის კრებულში“), საშა წულუკიძე („ნოვოე ობოზრენიეში“) თავიანთი თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ... (თხზ., გვ. 362). ის იქვე განავრძობს: ამგვარი მოსიყვარულე პირები შეხვდნენ ჩემს პატარა პიესებსაც. „ირინეს ბედნიერების“ და „დარისპანის გასაჭირის“ დადგმის რთული პროცესების აღწერას კი ასე ამთავრებს თავის მოგონებებში: „ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადაუხდელი დაჯილდოება. ასეთივე შეღავათიანი მიღება შეხვდა „უბედურებასაც“ ... განსაკუთრებული სიყვარულით გამითბო ჩემი პიესები, გამოაცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფალავამ“ (იქვე). ასე მადლიერებით მოიხსენიებს ის ქართული თეატრის განსაკუთრებულ ყურადღებას მისი პიესებისადმი. ესაა უყურადღებობა?!

ის, ზოგადად თავის შემოქმედებისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ასე აგვინერს: „ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც, ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია (თხზ., გვ. 364) – ესაა მწერლის შემოქმედების დაუფასებლობა?!“ (ხაზი ყველგან, მ. ზ.).

27. კლდიაშვილის შემოქმედება მისი თანამედროვეთა შეფასებით.

ვინაიდან, კლდიაშვილის შემოქმედების კრიტიკულ შეფასებაზე საბჭოთა პერიოდში საკმაოდ ვიმსჯელეთ, საკუთრივ მისი და მისი ბელეტრისტიკისადმი საზოგადოების დამოკიდე-

ბულებაზე მწერლის შეხედულებაც ვნახეთ, უპრიანი იქნება მოვუსმინოთ მის თანამედროვეებს და მეტ-ნაკლებად გავარკვიოთ, როგორ „ესმოდათ“ მისი შემოქმედება და რაგვარ პატივს მიაგებდნენ თვითონ მას!

დავიწყოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურათმცოდნითა და კრიტიკოსით კიტა აბაშიძით. შემოქმედებითი მოღვაწეობის 20 წლისთავზე ის მიმართავს მწერალს: შენ რომ კაცს არ უყვარდე არ შეიძლება, შენი დიდი ნიჭის გამო, რომელიც ყველა ჩვენს მიერ თაყვანისცემულია. შენი მაღალი სულის, შენის მგრძნობიარის არსების გამო: ის რაც შენ განგასხვავებს ჩვევლებრივი ადამიანისაგან, შენი ძალა და მეუფება აქაც გვიმორჩილებს და გვიმონებს (თხზ., გვ. 376). ისევ გავმეორდებით: ეს კიტა აბაშიძეა, ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის და პროფესიონალური კრიტიკის ფუძემდებელთაგანი.

იქვე ერთსტრიქონიან მილოცვაში ია ეკალაძე გვაძლევს დ. კლდიაშვილის შემოქმედების ნაღდ შეფასებას: „სამშობლოს გააუბედურებდნენ გადაგვარებულნი, შენისთანა ჭირისუფლები რომ არ ჰყოლოდა“. ბარე ერთ-ორ დიდ კორიფესაც კი შე-შურდებოდა სამშობლოს წინაშე მისი შემოქმედების როლის ასეთი დაფასება. ნუთუ ლექტორებს ყოველივე ეს ეცოტავებათ? – მაშინ მოვუსმინოთ იმ ხანაში ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქვეყნის – სომხეთის თვალსაჩინო მწერალს ჰოვანეს თუ-მანიანს. ის წერს: „იყავით ყოველთვის ერთი იმ რჩეულთაგანი, რომელსაც სამშობლო ენის და ლიტერატურის დევნის დროს მაღლა ეჭირათ დროშა თქვენი ხალხის სულიერი ძლიერებისა. დიდი ბედნიერება თქვენთვის, რომ დღეს თავისუფალი თქვენი სამშობლო ეამპორება თქვენს მაღალ შემოქმედ შუბლს“ (გვ. 377).

დავითს, როგორც სამშობლოს ჭირისუფალს, ისე მიმართავს ქართველთა ერთიანობის მომლერალი დუტუ მეგრელი: „დღეს თავისუფალი საქართველო ყველასგან ცნობილია. მხო-

ლოდ ერთი ჩრდილი ჰბურავს მას, რომ საქართველოს განთავი-სუფლებასთან მისი გაერთიანებაც არ არის განხორციელებული და მის საზღვრებში არ შემოდიან არამც თუ ლაზისტანი, თვით აჭარა-ქობულეთიც კი ბათუმით, რომელიც ასე საყვარელია ყოველი ქართველისათვის და მით უმეტეს შენთვის“ (იქვე, გვ. 376-377). აი, რა მაღალი დონის პატრიოტიზმით ფასდებოდა მისი შემოქმედების როლი და ადგილი თავისუფლებისათვის, ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლის პროცესში. ამიტომ არა მარტო მის შემოქმედებას, არამედ მის პიროვნებასაც არ დაჰკლებია უურადღება, როგორც თვითონ ბრძანებს, – საყოველთაო სიყვარული.

დავითისადმი ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო მისი გმირებისადმი დამოკიდებულებით. ს. ქვარიანი წერდა: „საუკუნენი გაირბენენ ვითარც წუთნი, მოხდება ბევრი რამ ქვეყანაზე, ხოლო ჩვენი შორეული შთამომავლობა კვლავ უშრეტი სიამოვნებით განაგრძოს თქვენი უკვდავი ნაწარმოების კითხვას“ (იქვე, გვ. 382). ამ სტრიქონების დაწერიდან გაიარა ცხრა ათეულმა წელმა და ჩვენ დღეს გულდადებით შეგვიძლია ავტორს დავუდასტუროთ, რომ მიუხედავად „ტექნიკური რევოლუციებისა“, მისი ნაწინასწარმეტყველები ახდა. ოღონდ დღევანდელ თაობებს ნუ მოეჩვენებათ, რომ მათგან იწყება ამ „უკვდავი ნაწარმოებების“ ჭეშმარიტად რეალისტური გააზრება. წარსული თაობები კი ბალზე ისხდნენ და ტყემალს ჭამდნენ, თუმცა ამაზე უფრო ქვემოთ შევჩერდეთ.

დავითის შემოქმედების დაფასების მართლაც საყოველთაო სიყვარულის გამოხატულებაა ქუთაისის მასწავლებელთა სახელით თქმული: „დიდი და პატარა აფასებს შენს ნაშრომს, პატივს სცემს შენს ნიჭს“. სამწუხაროდ, ის, რასაც ერთი საუკუნის წინ ნათლად ხედავდა და განიცდიდა ქართული საზოგადოება, ვერ დაუნახავთ ჩვენ დროში.

საოცრად ადამიანური, „უცნაური ამბების“ უბადლო აღმწერი ჩვენ ბელეტრისტის გმირები, თავიანთი ტკივილებითა და გაჭირვებებით სამუდამოდ რომ შემორჩენ უძველეს ქარ-

თულ ლიტერატურას, მსოფლიო ლიტერატურის ფონზე გაუაზ-რებია ქართული პოეზიის კორიფეს – გალაკტიონს.

ის მოსკოვიდან გამოგზვნილ წერილში ასე ახასიათებს დავითის შემოქმედებას: „როდესაც ხელთ ვიღებ დავით კლდი-აშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გაიფიქრო: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი თავისებური კოლორიტით მწერა-ლი (არ დაგავიწყდეთ: პირველი ქართველი სახალხო მწერალი). არ შეიძლება არ გაგახსენდეს პაოლო იაშვილის სტრიქონები: „და გადაიქცა ეს იმერეთი არნახულ ზღაპრის დაბოლოებად“. რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფ-ლიო ლიტერატურაში სოლომონ მორბელაძე, ვერც ერთი მწე-რალი ვერ მოისაზრებდა, გამოესახა ბეკინა და ერთადერთი მთელ შავი ზღვის პირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით. მოგზაურობს იგი თავისი ლათინისე-ბით, ხურჯინით და „იმე-იმე“-თი. რომ არა დავით კლდიაშვილი, დაუხატველი „დარჩებოდა კაროუნა, მშვენიერზე მშვენიერი კა-როუნა“ (თხ. გვ.385, 386). ალბათ ნაკლებად ვინმეს ლირსე-ბოდეს ქართული პოეზიის მეფისგან ასეთი გულითადი შეფასე-ბა, ისიც არა რაიმე იუბილეს ჟამს, როცა უფრო გრძნობასა და ფორმას ეძლევა გასაქანი, არამედ მწერლის გარდაცვალებიდან ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ისიც ჩვენი ოპონენტების მხრივ სასპეკულაციოდ ქცეული გაგანია კომუნისტური იდეო-ლოგის ხანაში, ისიც არა სადღაც, არამედ მოსკოვში. ასე რომ, კლდიაშვილის შემოქმედების დაუფასებლობის ეს „იდეა“ გამო-ნაგონია, თუ რატომ, შევეცდებით ამის ახსნას.

29. დროსა და სივრცეს აცდენილი ჭკუის სწავლა

ამ გადაცემაში ლექტორთა მსჯელობა პრინციპულ სა-კითხებში რამდენადმე აცდენილი იყო დროსა და სივრცეში „თემატურ“ რეალობას. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი შეე-ცადნენ, მაღალმხატვრულად აღწერილი XIX საუკუნის პრაქ-ტიკა (ცხოვრება) მიესადაგებინათ XXI საუკუნის კვაზიდემოკ-

რატიულ, ჭუისდამრიგებლურ „სწავლებასთან“. კლდიაშვილის შემოქმედების ასეთი გააზრების მცდელობის გამო მისი უმთავრესი საზრისმანარმოებელი – ჰუმანიზმი თვალსა და ხელს შეა გაქრა. ეს დამახასიათებელი ნიშანია პოსტპუტრისტური კრიზისული ცნობიერებისა. ე.ი. განზე დარჩათ კლდიაშვილის შემოქმედების მთავარი არსი. მაღალი ეროვნული და ჰუმანური იდეალებისადმი მსახურება.

დღევანდელი ფსევდოსოციური და მისი ფსევდოიდეოლოგები, თავიანთი პირადი სურვილების განხორციელების მიზანსწრაფვით შეპყრობილნი, მორიელივით ჩასჭიდებიან XIX საუკუნის ამ ჩვენს კლასიკას (ეს არ ეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას) და შხამავენ მის მძლე ორგანიზმს, ერთნი – რუსული ერთმორწმუნეობისა და მის „მაღალ კულტურასთან“ მყარი კავშირურთიერთობის მოშველიებით; მეორენი მათში ეძებენ თავიანთ ფსევდოდემოკრატიული ზნეთსწავლების შედეგად პროფანირებული დასავლური კულტურის სუროგატების დამკვიდრების, მათდამი ბრმად მინდობის საშუალებას. შესაბამისად, განზე რჩებათ ამ „კლასიკის“ უმთავრესი საზრისმანარმოებელი აქსიომატური ფორმულირებანი: უძველესი გენოკულტურიდან მომდინარე, ენის, სამშობლოს, ერისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის, მისი დამოუკიდებლობის, თავისუფლების, პატრიოტიზმის, ზოგადად, ჰუმანიზმის საკაცობრიო იდეა, რითაც ასულდგმულებდა ფუნქციანართმეულ და ცხოვრებისეულ მისიამოშლილ ერს კლასიკა თავისი უმთავრესი ლოზუნგებით: „მოძრაობა და მოძრაობა...“ და „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მძიმეა სათქმელად, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ თავიანთი პინძური სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ისინი იწყებენ „იგნორირებას კულტურის მთელი ეთიკური საწყისებისას. „ყოველივე ეს გუშინდელი დღეა, ვის რაში სჭირდებაო!“ – ამბობენ ისინი. ამ კრიზისული ცნობიერებისთვის არნახული ძალისხმევით მოპოვებული დამოუკიდებლობაც „გუშინდელი დღეა“; მისთვის დაღვრილი სის-

ხლი უკვე დავიწყებასაა მიცემული. აი, ასეთი მძიმე პროცესების ერთ-ერთი ნაკლებად საგანგაშო გამოსახულება იყო ეს ტე-ლე-ლექცია, რომლის რამდენადმე მიუღებლობა იმ ახალგაზ-რდულმა აუდიტორიამ გამოიწვია, რომელთა წინაშეც ისინი გა-მოდიოდნენ.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესი იყო ის, რომ ზოგა-დად ეს „ახალი იდეოლოგიები“, თავიანთი კრიზისული ცნობიე-რებიდან მომდინარე, შეცდომებითა და ცრუ იდეებით გონებას უბნევენ და ცხოვრების გზას უმრუდებენ ახალგაზრდობას. და-მოუკიდებელ საქართველოში დაბადებულ სამ-ოთხ თაობას თითქმის დაავიწყეს წმინდა ილიადან მომდინარე იდენტობის შენარჩუნების ზემოთ დასახელებული ლოზუნგები. „იდოლად“ მყინვარი უქციეს.

არავითარი მოძრაობა... მხოლოდ კაროჭნასეული დუმი-ლი. სცენის ბოლოს ამოკვნესა – „ვიქები ჩემთვის!“...

რისი ენა!.. რა მამული!.. რომელი სარწმუნოება!..

ამდენად, კლასიკის გამუდმებული „შეწუხება“ იმისთვის კი არ უნდა გვჭირდებოდეს, რომ გავამართლოთ ჩვენი გაუმაძ-ლარი სულის დაუოკებელი მისწრაფებანი, არამედ დავძლიოთ ცნობიერების კრიზისი, რომელიც ანადგურებს ჩვენს ნაციონა-ლურ თავისთავადობას.

თავი IV

„ნებისმიერი ცენტრის საქართველოსას“

30. „მე – შენის“ მიმოქცევის დარღვევა

ვოლტერის თქმით, უნდა მოვერიდოთ იმას, რაც თითქოსდა ძალზე იოლი გასაგებია, ისევე, როგორც იმას, რისი გაგებაც ადამიანებს არ აქვთ (უფირთ). ამიტომ, ნუ გვგონია, რომ რაც მარტივია (მკითხველისთვის ადვილად აღსაქ-მელი, უფრო ფაბულის თვალსაზრისით), მით უფრო სრულყოფილია შემოქ-მედება. თითქოსდა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ყურადღების დამაბავი, გულდასმით წასაკითხი, ტვინის შემუჯუცეუნებელი ტექსტებით ნა-წარმოქბის დატვირთვა. არადა, ამ გადაცემაში ზოგადადაც სწორედ ასეთი „გამარტივებული“ პოზიციებიდან გველაპარაკებიდნენ კლდიაშვილის შემოქ-მედებაზე.

მგონი, ჩვენ ზემოთ საკმაოდ დამაჯერებლად გავარკვიეთ, რომ დ. კლდი-აშვილის სტილისტურად მარტივად (ხალხურთან მიახლოებული) დაწერილი ტექსტები შინაარსობრივად ძალიან დატვირთულია ქვეტექსტებით და სტრი-ქნებს შორის გასააზრებელი მოცემულობებით.

საერთოდ, მთელი ეს შემოქმედებითი საქმიანობა, ზოგადად, ინტელექ-ტუალური შრომა იმისთვის გვჭირდება, რომ ადამიანები მისი მეშვეობით თვითონაც იზრდებოდნენ და სხვებსაც ზრდიდნენ გონიერად. აქ დაშვებული შეცდომები ძვირად უკადება საზოგადოებას. ამიტომ არის ფასეული კამათი და კრიტიკა ხელოვნებაში.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, მსმენელთა აუდი-ტორია XXI საუკუნის თაობისგან შედგებოდა, რომელთა ცნობიერებაც ჭეშ-მარტების, ზოგადადამიანურ ღირებულებათა ძიების თვალსაზრისით ახლა ფორმირდება. ამ რთულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქო-კულტურულ მოცემულობათა ფორმირების თვალსაზრისით წინასწარი გან-წყობის შექმნას.ამ შემთხვევაში ყოველდღიური სწავლა-განათლებით ყალიბ-დება არა მარტო ზოგადი ინტელექტი, არამედ „მე“-ს ხასიათიც, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის სოციუმის სახეს. ამიტომ არის აგრერიგად მოსაფ-რთხილებელი ეს აუდიტორიები. ასეთ შემთხვევაში უნდა ვუფრთხილდეთ არა მარტო საეჭვო, მით უმეტეს, ცრუ იდეოლოგიურობაზე დამყარებულ მოსაზ-რებებს, არამედ მათ წინაშე ყოველი ახალი „რაობის“ გასწავაც დოზირებულად უნდა მოხდეს, რათა უმტკიცენებულოდ შეძლონ მიმდინარე რთული პროცესე-ბის გაცნობიერება.

რამდენადც შევხეთ „მე“-სა და „სოციუმის“ ხასიათის ურთიერთმიმარ-თების საკითხს, რამდენიმე სიტყვით ისევ მივუბრუნდეთ გრ. რობაქიძის ზე-მოთ დამოწმებულ ტექსტს ქართულ ხასიათზე. კონკრეტულად იმაზე გვმარ-

თებს დაკვირვება, თუ როგორ და რატომ ირლვევა სასურველი ურთიერთმიმოქცევა „მე-შენისა“, რომელთა დარღვევასაც სახედისწეროს უწოდებს ავტორი. ახსნა ასეთა: „შენის“ დაუდევრობა და „მე“-ს სიფიცე პადებს საყოველთაო **თავნებობას**. ასეთი სიტუაციური ურთიერთმიმართება დიდი ხანია ანადგურებს ერის უდიდესი ძალისხმევით მოპოვებულ თავისუფლებას, უბე-დურება ის არის, რომ მოცემულ შემთხვევაში „შენიც“ და „მეც“ ისევ ჩვენვე ვართ. გარეშე „ის“ ისე მართავს ამ ჩვენებურ „შენ“-ს, რომ მას ავიწყდება თავისი „მეობა“. ამიტომ, რობაქიძის მიერ ზედმინევნით გახსნილი ქართული ხა-სიათის მთავარი ნიშნის „გაახარე-გაიხარეს“ ნაცვლად ნინა პლანზე წამოიწია „თავნებობა“ – ჩვენი ხასიათის უკიდურესმა ნეგატიურზე მხარემ.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენის შემდეგ მთლიანად მოვევეცით გარეშე „შენი“-ს გავლენის ქვეშ. გაგვისხლტა ხელიდან ქართული ხასიათის სიავარგე. მის ნაცვლად შემოგვაჩერეს ინტელიგიბელური (ცონებით საწვდომი) ალ-რეული ცნებები, საზოგადოებრივ თეორიათა გაუკულმართებული მინამგვა-ნები.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების კონკრეტული იდეების პრაქტიკული განხორციელების ნაცვლად ხელში შეგრჩა რაღაც აბსტრაქტული ჭეშ-მარიტების ნაგლეჯი, რომელსაც დემოკრატია ეწოდა. ეს იყო „კრიზისული ჭკუის“ ნაყოფი. მათ დემოკრატია ჭეშმარიტებას გაუტოლეს, ხოლო ჭეშმარიტი ლირბეულებანი: თავისუფლება, ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური (სა-ხელმწიფოებრივი) დამოუკიდებლობა, სამშობლო და პატრიოტობა პროვინ-ციულობად გამოაცხადეს.

თავისუფლებისთვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის პროცესში ამ უმ-თავრეს ჭეშმარიტ ლირბეულებათა „კანონგარეშე“ გამოცხადება ანადგურებს რობაქიძის მიერ შემოთავაზებულ უმთავრეს ნიშანს ქართული ხასიათისა: „გაახარე-გაიხარე“-ს და ამკვიდრებს მის ანტიპოდს: „გავიხარო-გავახარო!“

ამ ხელოვნურად გამოყვანილ სარეველას თვით სახალხო რევოლუციამაც ვერაფერი უყო. „ზრდა“ განაგრძო ოდნავი ევოლუციური ფორმით – ლოზუნ-გით: „ყველაფერი ჩემგან ინყება“ და ბოლოს მეტამორფოზირდა ყველაფერი „ჩემია-ჩემია“-თი, რომლის განხორციელების „მშვენიერ დღეებს“ განვიცდით.

აი, ასეთი „თეორიისა“ და „პრაქტიკისა“ გავლენით იწყებს თავისი ცხოვ-რების გზას XXI საუკუნის ჩვენი ახალი თაობა. თუკი ყოველდღიურ პრაქტიკაში ერთურთს რაღაცნაირად ანონასწორებენ ისინი, ცალკე ალებული „თე-ორია“ – ეს კრიზისული გონის ნაყოფი, სრული გაფურჩქვნის ეტაპზეა და სწორედ ესაა უფრო საშიში, ვიდრე ის „პრაქტიკა“, რომელსაც ახორციელებენ.

ქართული გენოფსიქოლოგიური წყობის (ხასიათის) რობაქიძისულ ამ უტყუარ ნიშანს „გაახარე-გაიხარეს!“ სანაცვლოდ ქართველის ბუნებაზე ქმნიან თავისებურ ლეგენდებს. მაგალითისთვის მივმართავთ ამ საკითხზე მ.

მამარდაშვილის მიერ შემოთავაზებულ გენეტიკურ და კულტურულ-ისტო-რიულ გააზრებებს.

31. ორი შეხედულება ქართველთა ბუნებაზე

გენიალური მწერლისა და მოაზროვნის მიერ ქართველთა ბუნებაზე შემოთავაზებული ფორმულირებები, რომ „ქართველი თავმომწონეა, აქვს კი-დეც უფლება თავმომწონეობისთვის. მას ფესვი გადგმული აქვს „გაახარე-გაიხარეს“ გენეტიკურ თვისებაში, რაც არის „მთავარი: „ხრტილი ქართული ბუნებისა“; არსი მისი კი ის არის, რომ „შეუწყო ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვითონაც იზრდებოდე“. ამასთან, მისი დაჯერებული თქმით, „არც ერთს შვილს... სხვა ერისას არ ძალუძს... იყვეს „ერთგული“, თავდადებული მეორისთვის, სხვისთვის როგორც ქართველს“. სრულიად საპირისპირო გაგე-ბას ქართული ხასიათისა გვთავაზობს საბჭოთა ფილოსოფიოსი.

მ. მამარდაშვილი წერს: „შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ პირა-დად მე, რამდენადაც თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი, იმდენადვე ვგრძნობდი თავს არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“ (მე-რაპ მამარდაშვილი, გვ. 84, თბ., 2007 წ. შემდგ. თ. თიბელაშვილი). მაშასა-დამე, რობაჟიძისთვის თავმომწონეობის უფლების მქონებელი ქართველი, რომელიც ცდილობს სხვასთან ერთად იზრდებოდეს, მამარდაშვილისთვის არქაული და თანამედროვე სამყაროსთვის შეესაბამო. დღეს ამ კონცეფცი-ას გვახვევენ თავზე. ამ პრინციპით ზრდიან თაობებს, „არქაული“ მოდგმა გამოუსადეგარია თანამედროვეობისთვისი.

ასეთ თეორიულ საფუძველზეა ალმოცენებული ჩვენი წამყვანების ცნო-ბიერება, მათი გააზრება კლდიაშვილის შემოქმედების მიმართ. ამიტომაც გა-ვიხადეთ ეს ერთი შეხედვით „უწყინარი“ გადაცემა ფონად ამ პატარა შრომი-სა.

ახლა კი ისევ მოვაზრუნდეთ მავანთაგან XX ს-ის მეორე ნახევრის საპ-ჭოური ფილოსოფიის ერთ-ერთ მეტრად აღიარებულ მამარდაშვილს.

ის იქვე აგრძელებს: „ქართველობა – ეს არის მშვენიერი, ამაღლებული ლეგენდა ან ლეგენდარული ხატი, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტიც და რეა-ლურიცა, – უფრო რეალური, ვიდრე ყოველდღიური რეალობა. ეს, ძირითა-დად, ფუნდალური რაინდული ხატია“ (XXI ს. მიჯნაზე, მ. ზ.).

მაშასადამე, ავტორმა გაგვიხსნა ჩვენი „არქაულობის“ მთელი ფიზიონო-მია. ეს არქაული ქართველი ლეგენდაა, – შვენიერ და ამაღლებული ექსპო-ნატი; არსებული სულიერი რელიევის სახით, როგორც მრავალი სხვა ლეგენ-და გადაშენებულ დიდ თუ პატარა მოდგმებზე. მისი ადგილი არაა ყოველ-დღიურობასა და რაციონალურ საქმიანობაში. ის არსებობს, როგორც „ფე-დალური ... ხატი“.

სოციალური არსებობის ეს ფეოდალური ფორმა (ხატი) შეესაბამება მის არქაულობას. შესაბამისად, ამ საინფორმაციო რევოლუციის ხანაში მას არა აქვს უზარი ვიზმეს გახარებისა.

ამდენად, ეს ორი მიდგომა არის სრულიად ანტიპოდური. სათანადოდ, მათი მიზნებიც ანტიპოდურია. ე. ი. იგნორირებულია რობაქიძის შეული იდეა – ქართველის მიერ სხვისი გახარებისთვის ზრუნვისა, შესაბამისად, თავისი თავისაც; სხვისი გაზრდით საკუთარი თავის „გაზრდისა“. ამის ნაცვლად არქაულობის კონცეფციის შესაბამისი სოციუმი ყალიბდება ფსევდოდემოკრატიული ანტურაჟით. ამაშია სათავე დღევანდელი უკულმართობისა.

რამდენადაც ამ ქართველისთვის ადგილი არ იყო თანამედროვე მოწინავე საზოგადოებაში, მას სამყოფლად და „სანავარდოდ“ აუშენეს ანტიკარული სუპერმარკეტი და მიდის გაცხოველებული „შოპინგობა“.

მაგრამ, ამ ფილოსოფიური კონცეფციის ერთიგულ მიმდევრებს უნდა შევახსენოთ, რომ უნიჭო გამონაგონი ქართველი ერის „არქაულობის“, „დაბერების“ შესახებ არახალია, ის „მობარულია“ XIX საუკუნის რუსულ-ევროპულად კარგად განსწავლული „ქართველისგან“, რომელსაც მაშინ ბდლვინი ადინა დიდმა ილიამ.

32. ასი წლის შემდეგ „გაცოცხლებული“ იდეა

ნაროდნიკული ფილოსოფიის (იდეის, მსოფლებელების) მიმართულების მოღვაწე ივანე ჯაბადარი, ურნალ „Северный Вестник“-ის №№9, 10, 1889 წ. თებერვალ-მარტი; თავის წერილში „Письма о Грузии“ წერდა: „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავისი ღონისაგან... დღეს აქამდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალონე მერმისისთვისო, ...“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 12, თბ., 1987 წ.). ქართული ერის ამ შეფასებაში ორი საკვანძო საკითხა წინ წამოწეული: გერონტოლოგიურ-ქრონისული და სოციალურ-რაციონალური.

პირველი – გერონტოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოს ერი დაბერებულია, დაცლილია ღონისაგან; ქრონისის თვალსაზრისით, ის არქაულია;

მეორე – სოციალურად ვერ ცხოვრობს ინტენსიურად, მისი რაციონუმოქმედოა, გამოუსადეგარია ამ ცხოვრებისთვის; თუმცა ავტორი უშვებს, რომ ერს შეიძლება მერმისისთვის შემონახული პერიოდებს ენერგია. ამ საკვანძო საკითხების გამო დაატეხა მას ილიამ და მაშინდელმა ინტელექტუალურმა საზოგადოებამ (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი და სხვები) რისხვა. ის ერთხმად შეფასდა საეჭვო „მეცნიერულ“ დებულებად, შესაბამისად, ეროვნული ნიპილიზმის გამოხატულებად. ასეთია ერის დაბერების – არქაულობის ისტორია. როგორც ვნახეთ, ის დაიბადა იმპერიის დედა-ქალაქში – პეტერბურგში.

ახლა შევეცადოთ, **ნაროდნიკ-ფილოსოფოსის** ამ მოძღვრებას შევადა-როთ სსრკ-ს დედაქალაქში რუსულ-ევროპულად ღრმად განათლებულ ფი-ლოსოფოს-ლიტერატორის ზემოთ განხილული მოსაზრება ქართველი ერის არ-სებაზე. ამ შემთხვევაშიც ორი საზრისია წინ წამოწეული:

პირველი – ქართველი არქაულია („თავს... ქართველად ვგრძნობდი... იმ-დენადვე არქაულად“), ე. ი. დაბერებული ერია; ჯაბადარს იმეორებს.

მეორე – „უადგილოა თანამედროვე სამყაროში“, ეს კი იგივეა, რაც ჯაბა-დართან გვაქვს: „ვერ ცხოვორობს ინტენსიური ცხოვრებით“, ე. ი. ამ თანამედ-როვე ცხოვრებაში მისი ადგილი არაა.

ამდენად, ისინი ზედმინევნით იმეორებენ ერთიმეორეს, უფრო – პირ-ველს მეორე. შესაბამისად, პირველის მიმართ მყარად დამკვიდრებული შეფა-სება, რომ „ეს დებულება ეროვნული ნიჭილიზმის გამოხატულებაა“, ერთი შესწორებით, „უკიდურესის“ ჩამატებით სრულად მიესადაგება მეორეს.

კიდევ უფრო საყურადლებოა ის პერსპექტივა, რასაც ისინი სახავენ – ჯა-ბადარი უშვებს, იქნებ ერს „შეუნახავს თავისი ძალ-ლონე მერმისისთვის“; ე. ი. ის თვითონ ერის არსებაში ექებს „შენახულ“ ძალას. მამარდაშვილი კი დაბეჯითებით იმეორებს, არქაული და უადგილონი ვართ ამ სამყაროშით. ის წერს: „....ამაში იმასაც ვგულისხმობ, რომ ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, თანა-მედროვენი გავხდეთ“. მაშასადამე, ამოცანად სახავენ უარყოფას ყოველივე-სი, რაც ჩვენს გენოკულტურას უწარმოებია, გაუცია და მიუღია.

თანამედროვედ გახდომა აქ გულისხმობს სხვის დასაგასებას, სხვაში შერწყმას, ამიტომაც მოიქნია მაშინ მათრაზი ილიამ, რომლის შხუილი დღე-საც უნდა ესმოდეთ მათ, ვინც ამ უკიდურეს ნიჭილიზმს შეუცყრია.

მაგრამ ეს სხვა დიდი თემაა... ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობა იმით გვინდა დავასრულოთ, რომ ქართველი ერის დაბერების ეს ნიჭილისტური „დებულება“ ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ გააცოცხლეს და დაუპირისპი-რეს მათ მიერვე რადიკალურ ნაცონალიზმად მონათლულ ეროვნულ-განმა-თავისუფლებელ მოძრაობას 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ კრიზისულ ხა-ნაში.

მამარდაშვილი, ხალხოსნის ამ „გერონტოლოგიური ნიჭილიზმი“ აღ-ჭურვილი, ტრიალებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ხალ-ხოსნურ“ ფრონტში.

მგონი არავითარი რკვევა არ უნდა იმას, რომ ისინი ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს. მათი წყაროც იგივურია – ეროვნული ნიჭილიზმი და იმპერიის გარდაქმაზე ზრუნვა. ამიტომ ილიას განჩინება ვიკმაროთ მამარდაშვილისე-ული „გენიალობის“ შეფასებად, ილია სვამს კითხვებს: „ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს. რას გვიქვიან ერის სიბერე?“ და რიგი მსჯელობების შემდეგ: „აქ სი-ბერე არაფერსშუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შე-უძლებელია“ (იქვე, გვ. 14). ეს მოსაზრება ილიასი მგონი „არქაული ქართვე-

ლის“ ავტორს და მის ადეპტებს უფრო განეკუთვნება, ვიდრე „დრეპერისტ“ ჯაბადარს, რომელიც, როგორც ილია ბრძანებდა, ხავსიც არა აქვთ ხელმოსაჭიდებლად. ესენი, თუ ისევ ილიას დავესესხებით: „...ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლიან“, და ყველას და ყველაფერს წუნობენ, გმობენ, თვით თავისუფლების სულის არნაული აფეთქებისა და ერის კონსოლიდაციის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის ჩათვლით. ეს არა მარტო პოლიტიკური უვიცობაა, არამედ მიზანმიმართული ქმედება ეროვნული თვითიდენტობის საკითხში გარკვევის ნინაღმდეგ მიმართული.

სამწუხაროდ, „Северный Вестник“-იდან მოპარული ეს ნიპოლისტური იდეა რევანშისტული პუტჩის შემდეგ ძალზე ნოყიერ ნიადაგში მოხვდა. ის, სხვადასხვაგვარად მეტამორფოზირებული, ანგრევს ეროვნული თვითიდენტობის გენოკულტურულ საფუძველს, მთელ კულტუროკაბელობას. ის შობს აბსურდულობით ალსაგვე ისეთ წმინდად ანარქისტულ „შედევრებს“, როგორსაც გვთავაზობდა მამარდაშვილი, რომ „ყოველი ქართველი ... თავისითავად ცალკე სახელმწიფოა“. რა თქმა უნდა, როცა საზოგადოების ყოველ წევრს თავისითავი სახელმწიფო პერნია, ცივილიზებულ სამყაროში მისი ადგილი არ იქნება. ამის დასადასტურებლად დასჭირდა მას ქართველ კაცზე ამ ლეგენდის შეთხვა.

მან ეს თეზისი „გადმოისროლა“ 1990 წლის სექტემბერში მოსკოვიდან, ხოლო ერთი თვეს შემდეგ მას მოაყოლა ზემოთ განხილული გაცოცხლებული თეორია ერის „არქაულობასა და უადგილობაზე“. იქვე ამ ჩიხური მდგრამარეობიდან გამოსავალიც დასახა: „ჩევნ ნინაშე დგას ამოცანა, თანამედროვენი გავხდეთო“. მაგრამ რამდენი ხანი დასჭირდება „დაბერებულ“, კულტურულ საზოგადოებაში ადგილის არმქონე „ბარბაროს“ თანამედროვე ერად გახდომისთვის?

ეს შემოთავაზება ხდება სსრკ იმპერიისთვის გაუგონარი მრავალპარტიული, დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარების კვირაძალზე.

საოცრება მოახდინა საქართველოს მოსახლეობამ და დაადასტურა, რომ მისი ადგილი იმთავითვე იყო ცივილიზებულ სამყაროში. მაგრამ ფილოსოფოსი აგრძელებდა თავის გზას. კონსოლიდირებული ერის მიერ ერთპარტიული დიქტატის მოშლის შემდეგ, ის მოსკოვიდან გვწერს: „ამჟამინდელი მოთხოვნილება კერპის ყოლისა საბჭოთა სისტემის მსახვრალი გავლენის შედეგია“. მაგრამ ერში, რომლის ყველა სუბიექტი „თვითონ არის სახელმწიფო“, ორ-სამ თვეში როგორ გაჩნდა მოთხოვნილება „იდოლზე“ – ერთმმართველ დიქტატორზე? განა ერის გენეტიკა შეიცვალა საბჭოური ერთპარტიულობის უარყოფის შემდეგ? აქ საბჭოთა სისტემის აუგად მოხსენიება ფარისევლობა და ცუდლუტობაა, ის მიმართულია „გარდაქმნილი საბჭოეთის“ დაცვისაკენ. ეს სოფისტიკაა, რომელზედაც აგებს თავის „შედევრებს“ ფილოსოფოსი.

ალბათ მსგავს აბსურდულობებზე უთქვამს, თუ არ ვცდები, აინშტაინს: „უსასრულობა და ადამიანის სიპრივე არ იზომებათ. საუბედუროდ, მაშინ, გარდამტეს პერიოდში, იმარჯვა „გაუზომელმა სიპრივემ“. შეიქმნა მისი შე-საბამისი ბრივული სოციუმი. კი არ ვცხოვრობთ, არამედ ვართ, ვარსებობთ ამ სიპრივეში. ვიძირებით სიცრუის ჭაობში და ვძირავთ მომავალ თაობებს. ისინი იზრდებიან ამ უკულმართი „გალამატების“ გავლენით.

„უარყოფილ იქნა ქართული ხასიათის წმინდად ეროვნული და გამორჩეულად ჰუმანური ფორმულირება რობაქიძისა: „გაახარე-გამახარე“, როგორც ითქვა, ის ჩაანაცვლეს ჯერ ამპარტაგნული – „ყველაფერი ჩემით იწყებათი“, შემდეგ კიდევ ყველაზე უფრო არაადამიანური – ყველაფერი „ჩემია-ჩემიათი“.

33. გარდასაქმნელი რა მჭირს

„გარდასაქმნელი ვინც არის,
გარდაქმნას ითხოვს სხვისას!“
ზურ მოლაშხია

მაშასადამე, დაგივიწყეთ ის „რა(ც) უნდა აგონდებოდეს ქართველს“ – როგორც ეს დაგვიძარა ერთ-ერთმა უდიდესმა „ევროპისტმა“, გენიალურმა ქართველმა – გრიგოლ რობაქიძემ. საპირნონედ მივიღეთ საუკუნის წინანდელი დებულება „ერის დაბერებისა“, მოქრილი ფილოსოფოსის თარგზე და განყობილი რუსული „გარდაქმნისეული“ დემოკრატიის ზიზილ-პიპილებით.

მამარდაშვილის მიერ დახატული სახე ქართველისა (მისი საკუთარი) იყო საპირისპირო პოლუსი ქართველობისა. საუბედუროდ, მავანი დღემდე იმყოფებიან ამ საპირისპირო მხარეს ქართული იდენტობისა. სწორედ ამ პოლუსი-დან მსჯელობრივ იმ გადაცემაში ლექტორ-წამყვანები. საერთოდაც, ამ გაუკულმართებული „იდეით“ შეეარალებული შეჟყურებენ ისინი ცხოვრებას და ასრულებენ „ფილოსოფიურ ანდერსს“.

მამარდაშვილს აღწერილი აქვს ასეთი ქართველის სახე: „თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალყე ცდილობს თავისი გატანას,... რას ნიშნავს „ცალკეობა“, რისგან გამოცალკევებას. Respublica-სგან, ე.ი. საზოგადოებრივი სივრცის-გან, საზოგადოებრივი საქმისგან,... ქართველები, „ყველა თავისთვის“, საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ზურგშექცეულნი... ებრძვიან დინებას“ (დასხ. წიგნი, გვ. 95).მაშასადამე, „გავხდეთ თანამედროვენ“ მამარდაშვილის-თვის ნიშნავს: სსრკ-ს მოწყვეტილა, მისგან ზურგშექცეული საზოგადოება ისევ დაუბრუნდეს „გარდაქმნილ რუსეთს“. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იქ, სადაც „ყველა თავისთვისაა“, „სოციუმი კი არა, ნინასაზოგადოებრივი ადამიანი! – ნალდი არქაული ტიპი. ალბათ, ის მითოსური ქართველნიც არ იქნებოდნენ ასეთნი, ქეიფს რომ შეყვნენ და ღმერთის მიერ მიწების განაწი-

ლებაზე რომ დააგვიანდათ, თორემ ცალ-ცალკე მყოფნი როგორ შეძლებდნენ
ძმურად ქეიფს?

ამას წერს ფილოსოფოსი, რომელიც, თუ არ ვცდები, სადღაც ამბობდა,
მისთვის ნაღდი ფილოსოფოსი პლატონია. ის კი გვასწავლიდა: **ადამიანი სა-
ზოგადოებრივი ცხოველიაო.** მამარდაშვილმა, როგორც „პლატონისოფმა“,
ეს ჩვენზე უკეთესად იცის. მაშასადამე, სავსებით შეგნებულად ამოუგდო
ქართველებს ამ ფორმულიდან „საზოგადოებრივი“, დავრჩით იმად, რაც ცნე-
ბა „საზოგადოებრივის“ გარეშე დარჩა. ასეთებისთვის კი თანამედროვე სა-
ზოგადოებაში, რა თქმა უნდა, ადგილი არაა.

მაშასადამე, ფილოსოფოსი თანამიმდევრულად ავითარებს ქართველების
„ცალცალკეობისა“ და ანტისაზოგადოებრიობის იდეას, რაც თავისთავად
ნიშნავს იმას, რომ ქართველს არ აქვს უნარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს
(საზოგადოების) ფორმირებისა. შესაბამისად, თანამედროვე თავისუფალ სა-
ზოგადოებაში მისი მიღება დაუშვებელია. ამას შეესაბამება მისი მეორე, გა-
ცოცხლებული თუ „მოპარული“ „თეორია“ „არქაული და უადგილო“ ერისა და
ა. შ. სხვა ყბადალებული თეორიები, რომლებიც ამ „დებულებების“ ლოგიკურ
გაგრძელებას წარმოადგენენ. ასეთია საპირისპირო პოლუსში ყოფნის ფილო-
სოფია და პრაქტიკა, რომელშიც აღმოჩნდა თანამედროვე სოციუმის ცნობიე-
რი ნაკადი.

ასეთია საპირისპირო პოლუსი ნაღდი ქართველობისა, რომლის ცხოვრე-
ბის საზრისია „გაახარე – გაიხარეს“ რობაქიძისიული კონცეპტი.

მაინც როგორ ხდება, რომ ვივიწყებთ ასეთ მაცოცხლებელ სიბრძნეებს,
რომელშიც მოდგმის – ერის გულისგული ფეთქავს? რატომ ავეკიდებით
ხოლმე ზემოთ მოყვანილის მსგავს, შეურაცხმყოფელ გალამათიებს, რომელ-
ნიც არა მარტო ჩვენი გენეტიკური არსობისთვისაა ყოვლად შეუსაბამო, არა-
მედ თვით ყოველდღიური ცხოვრებისთვისაც მიუღებელია?! რატომ მოხდა,
რომ ილიას და ნაღდი ერთსშვილების მიერ ერთი საუკუნის წინ გამათრახელუ-
ლი და დაგმობილი სულელური დებულება კიდევ უფრო უარეს ვარიანტში
გავაცოცხლებინეთ? ის კი არადა, ეს სიბრივე მსოფლგანცდის დონემდე
ავიყვანეთ და ვანადგურებთ ჩვენს იდენტობას. ეს სიბრივის პოვერაა – თავ-
ხედობისა და განუსჯელობის შედეგი. აბა, რა უნდა ენიჭოს იმას, რაც შე-
მოგვთავაზეს ჩვენი ეროვნულ ბუნების დასახასიათებლად?! დღეს ეს აბსურ-
დი სახელმძღვანელო ნორმად უქცევია დამოუკიდებელი საქართველოს სა-
ზოგადოებრივ აზრს, „მედასავლურს“ თუ პრიორუსულ კოლაბორაციონა-
ლურს. ჩვენ ამ დახასიათებაზე ნაწილობრივ კი ვიმსჯელეთ, მაგრამ უპრიანი
იქნება, კონცენტრირებული სახით კიდევ ერთხელ მივადევნოთ მას თვალი.

ჩვენ ამ შემთხვევაში თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს მაგალითი მ. მა-
მარდაშვილისგან, როგორც ამ საუკუნოვანი ცრუიდეის გამცოცხლებლის მო-

საზრებებიდან, თორემ, სამწუხაროდ, ამ იდეის „მემარჯვენული“ თუ „მემარცხენული“ სიბრიყვით გაყლენთილია მთელი პუტჩისშემდგომი სოციუმი.

34. აპსურდულობათა მთელი გამა

ფილოსოფოს-პოლიტიკოსი ქადაგებს: „...რამდენადაც თავს ქართველად ვგრძნობ, იმდენად არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროშიო“.
მაშასადამე, იმ ქართველებისთვის, რომლებიც მამარდაშვილზე „დიდ“ ქართველებად წარმოგვიდგენია (თუ დავუშვებთ ასეთ პირობითობას), საერთოდ, არ ყოფილა ადგილი ამ თანამედროვე სამყაროში. ამასთან – უკუპროცესი: რამდენადაც ნაკლებად შეიგრძნობ თავს ქართველად, თურმე მით უფრო მყარად იქნება შენი ადგილი „კულტუროსან“ ხალხთა გვერდით.

კიდევ უფრო „მძღვანელ დახასიათებას“ აძლევს ის ჩვენი არსობის თავისებურებას, რომ ამ გონიერ სამყაროში ქართველი „სულ არ საჭიროებს გონებრივ აქცს“. ე. ი. ის ინტუიციით ცხოვრობს?! მაშასადამე, შესაბამისად არის აგებული მთელი მისი ცხოვრება. „კი არ ცხოვრობდა, არამედ ძლივძლივობით არსებობდაო“, წერს ის. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იგივერია ერის სულიერ-შემეცნებითი სამყარო. თურმე ჩვენ არ გვყავს (ან ცოტა) „ნამდვილ გონებრივ სიმწიფემდე მიღწეული ადამიანი“, გონებრივ სიმწიფეს მიულნეველი ადამიანი, ე. ი. რაღაც ნეანდერტალელი არსება. ასეთ შემთხვევაში მისი ცხოვრებაც შესაბამება ნეანდერტალელი ადამიანისას, რასაც იქვე ადასტურებს: „მთელი ჩვენი ენერგია ერის ფიზიკურ თვითშენარჩუნებას ხმარდებოდაო“. საკუთარ ხალხზე ასეთი რამე დაწერო, ან გიურ უნდა იყო, ან მართლაც მოუმწიფებელი.

მგონი, ამ ფორმულაში „ერი“ უადგილოდაა ნახმარი, მხოლოდ ფიზიკური არსებობისთვის მოფიქრალი ალბათ შორს დგას ეროვნულობისაგან. ამას იქვე ადასტურებს ავტორი. მისი აზრით, ერი, როგორც საზოგადო სოციალური რაობა, არც არსებობს, ვინაიდან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზურგშექცეული არიან და ...განთითოებით ებრძვიან დინებას“.

მათი სიხარულიც არამართლზომიერია, „უკანონო სიხარულიაო“ მათი სიხარული. მან ქართველებს, რომლებიც ყველაფერში უკანონონი არიან, სიხარულში მოსთხოვა კანონი. ჩვენი სიხარული იმიტომაა უკანონო, რომ, საბაბი გვაქვს თუ არა გვაქვს, „ჩვენ მაინც ვილხენთ და ვქეიფობთ – ისე, უმიზეზოდ“.

მაშასადამე, ჩვენი სიხარულიც უკანონოა – არა ადამიანური. ე. ი. ქართველს მადლი არ დაპყოლია მხიარულებისა. ის უსაბაბოდ ილხენს.

ეს ყველაფერი უდიდესი უმეცრებაა, როგორც ყველა სხვა ზემოთ მოხმობილი. თუ მათ შევადარებთ გრიგოლ რობაქიძის იდეას ქართველთა ბუნე-

ბაზე, რაზედაც ზემოთ ვიმსჯელეთ, აშკარაა „გაახარე-გაიხარეს“ იდეის სრულ ანტიპოდთან გვაქვს საქმე.

აი თუნდაც:

ის წერს: უსიხარულო „რეალური ვითარებით გაუმართლებელი და ამდე-ნად, არაკანონიერი სიხარულია ჟღერა იმ სივრცის, რომელშიც გავჩნდი“. მა-შასადამე, მშობლიური სივრცის შეგრძნება და მისით გახარებაც კი აგვიკრძა-ლეს.

ეროვნული ხასიათისადმი ასეთი მიდგომის შემდეგ, როგორიც ასახა თ-ვის ამ ფსევდოფილოსოფიურ ოპუსებში ავტორმა, სხვა რა დარჩენია ქართ-ველს თვითიერ მიმბაძველობისა „განდიდებულ ხალხთა წინ ქედმალის ევ-როპისა“ (ვ. ბარნოვი) და „გარდაქმნილ“ სსრკ-ს (რუსეთის) წინაშე ქედმოდ-რეკისა.

ჩვენდა სამწუხაროდ, პოსტპუტჩინსტური ფსევდოსოციური აპყოლია ამ ცუდმიმბაძველობას და, გრ. რობაქიძის თქმისა არ იყოს, „ქართული გენია თავის თავს ჭამს, დაიფერცლება, თუ მას, როგორც „თვისებას, მოვლა მოკა-ლდა“ და ზემოთ მოხმობილი სიბრივით ჩავანაცვლეთ თუნდაც ისეთით, რაც ითქვა უმიზეზოდ და უსიხარულოდ ლხენაზე. ასეთი ლხენა ალბათ რუსეთში „ნა ტრაიხზე“ ნახა ფილოსოფოსმა...

* * *

გრ. რობაქიძისთვის ის ლხინი, რომელიც მამარდაშვილისთვის უსაბაბოა, წარმოადგენს „ცდა(ს)... საფრთხის აცდენისა“ მისთვის „ქართული ნადიმი,...“ „ქეიფი“ კი არაა უპრალო, ანუ „დროსტარება“. იგი კულტია ნამდვილი, საცა შეცვედრა კრებულში პოლიფონიური იმართება. ამ „პოლიფონიურობით“ იც-დენს ქართველი თავის საფრთხეს: განკერძოებას, განაპირებას, გათიშვას, განდგომას. საკვირველი არაა, თუ რატომ აფასებენ ქართველი ასე დიდად ნადიმის ხელმძღვანელს: თამადას. „პოლიფონის“ გამყვანელი იგია და რო-გორც ნამდვილი ხელოვანი, ხელვანი ყოფის მოვერებისა, გამჭრიახი გონი, ცოდნა ფსიქოლოგიური წიუანსებისა, ხასიათთა მოზომვა „სმურის“, სიდინ-ჯე, შემარიგებელი ტონი შეხლა-შემოხლისას, ტაქტი, ეს უწინარეს ყოვლისა – აი დამახასიათებელნი თვისებანი ნამდვილი თამადისა.

ეს სუფრაზე. სახალხო ასპარეზზე? აქაც მმართველი იგივე „თამადაა“, ...იმ განსხვავებით, რომ მას ... საქმე აქვს მთელ ერთან, ... იგი ... მართებუ-ლად განვითნება თავის „თავმოსაწონ“ ნიჭს, ბუნებისაგან ბოძებულს... ერის ბე-დის წარმართვაში“ (გრ. რობაქიძე, დასახ. წიგნი, გვ. 26-27). მაშასადამე: ქართული ნადიმი უსაბაბო ქეიფი კი არ ყოფილა (ასეთი რამ მის განმსწავ-ლელ რუსეთში მოიკითხოს), არამედ ხელოვნება. ქართველები გონებრივი სიმ-წიფემდე მიულწეველნი კი არ ყოფილან, არამედ „გამჭრიახი გონი, ცოდნა ფსიქოლოგიური, სიდინჯე, ტაქტი დამახასიათებელი თვისება ყოფილა ყოვე-

ლი თამადისა“. ასეთი თამადები ყოველდღიურად ათასობით გამოდიან „ასპარეზზე“. ისინი სწორედ რომ „გონებრივი აქტის“ მეშვეობით განაგებები მთელ ამ „პოლიფონიას“, იცდენენ საფრთხეს, დიდ განზომილებაში, სხვალში ასპარეზზე კიდევ მართებულად განფენს თავის ნიჭს და წარმართავს ერის ბედს.

ამ გონივრული გააზრებობიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ მამარდაშვილისეული „ევანგელიე ქართული“, რომ თითქოსდა ყველა ქართველი ცალკე სახელმწიფოა, ყველა მპრძანებელი, არავის აქვს „მომწიფებული“ შეგნება იმ დონემდე, რომ სხვას დაემორჩილოს, გ. რობაქიძის ნაღდი ევროპული (დასავლური) აზროვნების წინაშე გაქარწყლდა.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი ფსევდოსოციუმი აპკიდებია ამ უნაყოფო, ფშუტე მოსაზრებას, შთაბეჭდილების მოსახდენად ტრაგიკულობას ფატუმად რომ უხდის მთელ მოდგმას. მისი თქმით, ის (ერი) მუდამ თავის გადასარჩენად იბრძვის, ამიტომ „ასეთი ერი ტრაგიკულია“; „ტრაგიკულია მისი კულტურაც“. ხოლო ყოველივე ამას „მხარულ ტრაგიკულობას დავარქმევ-დიო“, და გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენ ტრაგიკულობის „აღქმის უნარი არ გვაქვს“, რადგან გვაკლია „გონებრივი სიმწიფე“, „არ ვსაჭიროებთ გონებრივ აქტს“, „საზოგადოებისადმი ზურგშექცეულნი“ ვართ და ა. შ. რადგან ტრაგიკულობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მით უმეტეს, რაღაც გიუურ „მხარულ ტრაგედიაზე“, შევეცადოთ, გავერკვეთ იმაში, თუ რამდენად შესაძლებელია, ტრაგედია იყოს მხარული.

* * *

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთ თქმული ქართველთა ბუნებრივ ტრაგიკულობაზე შორს არის საღი აზრისგან. ერთი ძეველი ინგლისელი პოეტის მიერ ადამიანზე თქმულის პერიფრაზით თუ ვიტყვით, ჩვენმა ფილოსოფოსმა ქართველი ერის ბედსა და ხასიათზე ისეთი ლაპირინთი შექმნა, რომელშიც თვითონვე გაიბლანდა და აერია გზა-კვალი. აბა, რა უნდა ეწოდოს მის მიერ შემოთავაზებულ ამ აბსურდულ ფორმულირებებს, თუნდაც „მხარულ ტრაგიკულობას“. ანდა მის მიმბარეობას ჯაბადარისტულ ნიჰილისტურ „თეორიასთან“, რომელიც გადმოტანილი იყო დრეპერის უსიცოცხლო კონცეფციიან.

მაშინ, მიუხედავად ილიას მათრახის შეუიღისა, ამისთანა ნიჰილიზმა ხელი შეუწყო უსაგნო კოსმოპოლიტიზმის მომძლავრებას, რამაც თვით დიდი ილიაც კი შეიწირა.

ამჯერად, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში, ფილოსოფოსის მიერ გაცოცხლებულმა ჯაბადარისტულმა „თეორიამ“ ბიძგი მისცა ჯაბაურ ანარქიასა და „პრაქტიკას“. დღემდე ვართ ამ სულიერ ანარქიაში; არც გონებრივი აქტივობა, არც საზოგადოებრივი აზროვნება, არც რამე კულტურული ძერები და ა. შ. სრულად აღსრულებულია იდეა მამარდაშვილისა ერის დაჩარჩანაკებასა და უადგილობაზე „კულტუროსან“

ერებს შორის; მხოლოდ მიმბაძველობის გზა დაგვრჩენია თურმე. მაგრამ ყოველგვარი მიმბაძველობა განწირულია, შედეგად ხელში შეგვრჩება დიდი სისულელები, რომელთაგან ზოგს მიიღებს ხალხი და ზოგს აუცილებლად გამოუყვანს ნირვას.

მიღება-არმიდების საკითხზე, ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში, ვოლტერს ერთი სახასიათო მაგალითი მოჰყავს: ტრაგიკოს ოტუენის პიესიდან საღ აზრს მოწყვეტილი, ზედმეტად თავაშვებული სცენები ამოიღეს, მაგრამ შექსპირის „იულიუს კეისარში“ ბუფონადები მეჩექმეებისა და ხარაზების ცხოვრებიდან ხელუხლებელი დატოვეს და მიიღო მაყურებელმა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, მაყურებლის (საზოგადოების) ანტიპოდური დამოკიდებულება ორი, არსით ერთგვაროვანი მოვლენისადმი. ვოლტერი ამ თითქოსდა ალოგიკურ მიმართებას ასე ხსნის: „ეს იმიტომ ხდება, რომ ოფუენის სისულელები ახალია, ხოლო შექსპირის უგუნურობანი – ძველი“ (Вольтер, Философские сочинения, стр. 161, М. 1988 г.). მაშასადამე, მამარდაშვილის მიერ გაცოცხლებული ამ ძველი სიბრივისადმი ჩვენი ასოციალური საზოგადოების აყოლა და მისი რეანიმირება უარესი ფორმით რაღაცნაირად ახსნადია, მისთვის ყურადღების მიქევეა კი – აუცილებელი.

ამიტომაც დაინტერა ეს სპეციალური თავი, რათა გამოვარკვიოთ დღევანდელი სახე ჩვენი ყოფიერებისა, სულიერი არსობისა, ვნახოთ დღევანდელი მოცემულობა ნამდვილი კულტუროგნობისა.

ამ თვალსაზრისით შევადარეთ ერთმანეთს ორი განსხვავებული შეხედულება, გრ. რობაქიძისა და მ. მამარდაშვილისა, ქართველთა ბუნებაზე, მის ხასიათზე, ცხოვრებისეული წესის მარად მყოფადობასთან კავშირზე. ვინაიდან, როგორც ვოლტერი იტყვის, „მე არ მეგულება უკეთესი საშუალება გემოვნების (რეალობის გაგების, სწორი გააზრების – მ. ზ.) სრულყოფილებისთვის, ვიდრე ერთმანეთს შორის შედარება დადი ტალანტებისა, რომლებიც ერთსა და იმავე სოუშეტზე მუშაობენ“ (ვოლტერი, გვ. 170).

ამ შეპირისპირების საზრისი ის არის, რომ როგორც თეატრალურ პიესებშია (ზოგადად შემოქმედებაში), „გაიმარჯვოს სიმართლეში და ბოლო მოეღლოს მანკიერებას (ბინიერებას)“, რომელიც ასახირებს ჩვენს იდენტობას.

უდავოდ გვიჩანს, რომ ცხოვრების ის წესი, რომელიც დაინტერგა ჩვენში, პოსტპუტჩისტურ ხანაში, აგბულია ისეთ პოსტულატებზე, როგორიც შემოგვთავაზა მამარდაშვილმა: რომ ჩვენ არქაულნი (ჩამონერილი) ვართ, შესაბამისად, „უდავლონი“ (ულირსი) განვითარებულ სამყაროში ყოფილისთვის; რაც მთავარია, როგორც ზემოთ აგხსენით, ასეთივე ბრიყვული თქმით: არ გვყავს ნამდვილი, გონებრივ სიმწიფემდე მიღწეული ადამიანები. ამიტომაც გვისახავდა „დიდ ამოცანას“, გარდავქმნილიყავით „გარდაქმნის“ შუქზე და დავლოდებოდით რუსეთის გადემოკრატებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლე-

ბოდა ფიქრი თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, სახელმწიფოებრიობაზე და ა.შ.

მაშასადამე, სრულებით უარყოფილია „გაახარე-გაიხარე“-ს რობაქიძისე-ული ახსნა ქართული ხასიათისა, რაზედაც საქმაოდ ვიმსჯელეთ. მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ რობაქიძის მიერ გახსნილმა ზოისებამ ჩვენი ხასია-თისა დაგვანახვა, რომ სხვისი ზრდის პროცესში შეგვიძლია თვითონაც ვაზ-რდებოდეთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაცია-ში. ეს ასეც იყომუდამ, ამიტომაცაა, რომ იმდენად არ ჩამოვრჩებით თანამედ-როვეობას, რომ მისი ასავალ-დასავალი დაგვკარგოდა, როგორც ამაში გვარ-წმუნებდნენ მამარდაშვილები.

ჩვენი არსების უშრეტი წყარო მუდამ იყო „თავის რწმენა“.¹ თუ ეს რწმენა არა გაქვს, ვერ გამოდგები ვერარადო, – იტყვის რობაქიძე.

რწმენდაკარგულთა გამონაგონია ზემოთ განხილული ბრიყვული „თეო-რიები“ და მათზეა აგებული ჩვენი დღევანდელი ცხოვრების იდეოგრამა. ისი-ნი იცნობენ მხოლოდ ზედაპირს „ქართული არსებისას“. გრ. რობაქიძის თქმი-სა არ იყოს: „ეს „ანამნეზისა“ ნამდვილი – ეს არსება მათოვის „უცხო ხი-ლია“. ის იქვე გვთავაზობს ერთ საინტერესო შემთხვევას. პეტერბურგში 1913 წელს, ილიას ხსოვნის საღამოზე, რობაქიძის მოხსენების მოსმენის შემ-დეგ პეტერბურგელი რუსი სტუდენტი თავის ხარკოველ მეგობარ სტუდენტს უგზავნის ტელეგრამას, „გ. რ. ს სიტყვის შემდგომ, საქართველო თავისუფა-ლი მხარე იყვეს, მე მისი ქვეშევრდომი გავხდებოდიო“. ამ რუსის მიერაც აღი-არებული ნიჭიერების ხალხს, თავისუფლების მოპოვების „კვირაძალს“, ამ ბრიყვული იდეოგრამების აკტორები ცხოვრების საზრისს უკარგავდნენ ადა-მიანებს და არწმუნებდნენ, ნამდვილ გონიეროვ სიმწიფემდე მიუღწეველი ვართო.

მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფსევდოულტურულ გამონაგონებ-თან, ის კი, როგორც რობაქიძი იტყოდა, „ხრნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოულტურას, ქართველთა კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართული ენის წიაღიძან უნდა აგრძელებდეს თავის ვითა-რებას. წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა: მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის პერიოდულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ ფესვებს და ფესვები არნივის ფრთხებად აგესხმით და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. თავისუფალი, გესმით, რა გულისხმიე-რი სიტყვა?! მარჯო საქართველოს, თავის თავის უფალს! მზეგრძელი იყავ, საქართველო!“

ეს არის ამონარიდი გრ. რობაქიძის მიმართვიდან ქართველი ხალხისადმი. თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობად ფსევდოულტურის ხრნად გავლე-ნასთან ბრძოლაა გამოცხადებული. მაშინდელმა ახალმა თაობამ შეძლო ამ მიმართვის არსის სწორად აღქმა, შეძლო სწოდომიდა „ცოცხალ ფესვებს სა-ქართველოისას“, შეენარჩუნებინა მისი „გენიალური ენა“, ხალასი ნიჭი ცხოვ-

რებისა, ინდივიდუალობა და ჰეროიკულობა კულტურისა. შედეგად, აღ-სრულდა წინასწარმეტყველური ჩრევა გენიალური მწერლისა: მთელი განვი-თარებული სამყაროს გასაოცრად საქართველო გახდა – თავის თავის უფა-ლი!

სამწუხაროდ, სულ მალე ხრწნადი ფსევდოკულტურის ამ ჭკუათმყოფელ-ებმა, რომელთაც ზედმინევნით ზუსტად უწოდეს „წითელი ინტელიგურია“, რობაქიძისეული თავის თავის უფლობის იდეის ნაცვლად ხალხს თავზე მოახ-ვიეს ზემოთ განხილული სიბრიყვები. დღემდე ვიმყოფებით ამ უკულმართო-ბაში.

სარტრის გმირის ფრანც ჰერელიხს მომავალი საუკუნებისადმი მიმარ-თვის პერიფრაზით თუ ვისარგებლებთ, სასწაულებრივ მოპოვებული „თავის თავის უფლების“ დასამარება მოახდინეს; თავს ლაფი დაისხეს. ჩვენი დღე-ვანდელი ცხოვრება არ იქნებოდა ასე გამოუსწორებლად ცუდი, რომ ამ ადა-მიანებს არ გაეხრწნათ იგი.

ეს გახდა სოციალური უკუსვლის მიზეზი.

* * *

ევროპოპულიზმისა და ევროსკეპტიკიზმის ურთიერთდაპირისპირება ჩვენი ფსევდოსოციურიმის ყალბისქმნადობის ნიშად იქცა! იწყება კულტურის მამოძრავებელი მექანიზმის მომლა; შესაბამისად, ხდება ქართველთა ფსიქო-ლოგიური „თავურმდგრენის“ ამოძირკვა. ისინი აყენებენ რასის გადაგვარების (არქაულობის) საკითხს – საპირნონედ რობაქიძისა, რომ ქართველი (კარდუ) მეტი სილრმით აცნაურებს მარად მყოფადს. მისი თქმით, „ზედაში“ ყოფილა: ევროპაც და ქართული მწაც; თვითონ „ზედაში“ ქართული ელემენტები უფრო მეტია, ვიდრე ევროპული“ (გრ. რობაქიძე, დასახ, ნაშრ., გვ.17). ამ ქართულის მეტობას გაუმართეს ბრძოლა. ის „არქაულად“ – გამოუსადეგ-რად გამოაცხადეს, შესაბამისად, არც ადგილი არგუნეს ამ „განვითარებულ სამყაროში“, რაზედაც საქმაოდ ვიმსჯელეთ.

ამდენად, ეს ჩხრევა დაპირისპირებულობაზე ქართული ბუნების და ხასი-ათის გააზრების საკითხში, რომელიც ისედაც გაგვიჭიანურდა, მინდა დავამ-თავრო ქართველი მწერლებისადმი რობაქიძის მიმართვიდან ამონარიდის მი-მოხილვით, ის წერს: „საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას...“

ჩვენმა სულმა იცის წამება, მაგრამ ჩვენს მხრებს არ მოსხმიათ მელანქო-ლიის წამოსასხამი, ჩვენმა გულმა იცის ცეცხლი, – მაგრამ ჩვენი ფიქრები ფერფლით არ დამტვერებულან, წამება ჩვენი დიონისეს ვნებაა და ცეცხლი ჩვენი სიცოცხლის გენია...“

30 წლის შემდეგ კი ის ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს კიდევ ერთხელ აცნობებს თავის გულისნადებს: „ქართული ენის ავტორი კარდჟა არის, ქარ-თველთა მითიური „თაურმდგრენი“ – არა ცალკეული, რომელიმე ქართველი.

ახლა მოგმართავთ, მწერლები: ხომ გიგრძენიათ დაძაბულობა კარდჰესა და თქვენ შორის უამსა ქართული სიტყვის ქმედითი განთვენის?! მოპოვებთ კონტაქტს ამ დაძაბულობის მოშვილდვაში, იგემებთ „მარჯეს“ – არადა, მაშინ ინვენეთ „მარცხს“?... და ასე ყოველ ფენაში ყოფისა“ (გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 213).

მაშასადამე, უნდა გვწამდეს, რომ საქართველო შეძლებს, მსოფლიოს უთხრას თავისი ნამდვილი სიტყვა; ამისთვის კი აუცილებელია ახლოს არ გავიკაროთ ბრიყვული გამონაგონი: „არქაული და უადგილო თანამედროვე სამყაროში“. არ გამოვეკიდოთ „მხიარული ტრაგიკულობის“ მსგავს სტილისტურ სიყეუჩებს და ჩვენი კაცობრიობის ტოლ-სწორი კულტურა ტრაგიკულად არ ნარმოვიდგინოთ. შესაბამისად, მის ნინაშე დავსახოთ სხვა, უფრო დიდი მიზანი; ავიცდინოთ „კულტურის პათოლოგია“, რომელიც ემყარება იმ ყალბ ცნობიერებას, რომლითაც ჯაბადარის დროიდან მოყოლებული გვიტევენ ნიპილისტები.

ეს ყალბი ცნობიერება ამტკიცებს, რომ კულტურა არის მეცნიერებისა და ტექნიკის, ნაწილობრივ მხატვრული სფეროს ნაყოფი (პროდუქტი), უარყოფილია „გონიერი ეთიკური იდეალები“ (შვეიცერი), გენოკულტურის მთელი საზრისმომცველობა. ეს ყალბი ცნობიერება ანგრევს ჩვენს არსობას. ამიტომ გვახსოვდეს ნაღდი „ევროპელი“ ქართველის გენიალური შეხსენება, რომ ჩვენმა სულმა იცის ნამება, გულმა ცეცხლის გზება; სულს მელანქოლია ვერ დაიურვებს, ხოლო გულის ნადებს (ფექრებს) ფერწლია არ მოედება. შესაბამისად, არ უნდა გავიკაროთ იდიოტური მოსაზრება, ისიც „მობარული“ ჯაბადარისგან, რომ მთელი ჩვენი ენერგია მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ხმარდებოდა და უნდა ხმარდებოდეს.

მარადშვილისეული „მთელი ჩვენ ენერგია“ ფიზიკურ არსებობას რომ მოვახმარეთ, ეს არის ჯაბადარის „ძალ-ლონე“, რომელიც არ გამოუყენებია ერს ინტენსიურად ცხოვრებისათვის და მერმისისათვის შეუნახავს. მაშასადამე, ორივეთაგან ერთი და იგივე აზრია გატარებული. ჯაბადარი იმას მაინც უშვებდა, რომ ეს ენერგია მერმისში იჩენდა თავს; მერაბ ბატონის აზრით კი, მთელი ეს ენერგია ფიზიკური არსებობისთვის შეგვილევია. ვართ ასე, „არქაულნი და უადგილონი“, „გონებრივ სიმწიფემდე მიუღწეველინი“ „არაკომპეტენტურნი“, საბოლოო ჯამში, შესაბამისი დასკვნა: ტრაგიკული ერი ტრაგიკული კულტურით. კიდევ უარესი: მისი თეზისებიდან გამომდინარე, ერიც არა ვართ.

გამოდის, ყოველგვარი იმედი გადაწურულია; ისლა დაგვრჩენია, სხვებს მივებაროთ „გასაკულტურუბლად“. სწორედ ეს ამოცანა დაგვისახა ფილოსოფისმა, – „თანამედროვენი გავხდეთო“, ე. ი. „ველურობა“ დავძლიოთო (კავკასიელთა მიმართ ამ ტერმინის დამკვიდრების ავტორობა ვის ეკუთვნის, ამის შეხსენება ალბათ არაა აუცილებელი). თუმცა ის არც ამ საკითხშია ორი-

გინალური: თვით სიტყვა „თანამედროვენის“ ჩათვლით. ეს მოსაზრება წამო-ლებულია ჯაბადარისგან, რომელიც ამბობდა, – „ეს ყოვლად – შემძლებელი ეხლანდელობა...“ და ამოცანად სახავდა, ქართული ინტელიგენცია შერ-წყმოდა „კაცობრიობის აზრთა ყოვლად-შემძლებელ წყაროს!“

მაშინ ილიამ ამ „პროგრესიული“ აზრის წყაროზე აშკარად მიუთითა, რომ ეს იყო შენილბული სლავიანოფილობის ნაყოფი. „მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა (სლავიანოფილების), რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცი-ლოდ აგდებულია“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 18). აი, ამ თავის დროს ყველას-გან სასაცილოდ აგდებულ და საბჭოური „გარდაქმნის“ კვალიბაზე პერიფრა-ზირებულ ფსევდოიდეას უსახავდა მამარდაშვილი სამიზნედ ეროვნული თა-ვისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს. ასეთი სიყალის მიზანს მაშინ ილია ასე ხსნიდა: „ავტორს სურს, ქართული ენა არიულის, სემიტურის და თურანულის ნაბიჭვრად გაპხალოს ჩამომავლობით, და ლირსებით ხომ თითქმის მინასთან გაასწოროს, როგორც ყველაფერი, რასაც კი ქართული სახელი ჰქვიან“ (იქვე, გვ. 66). მამარდაშვილის მიერ გაცოცხლებულმა ამ იდეოლოგიზებულმა „არ-ქაულისა და უადგილობის“ პასკვილმა მხოლოდ ზიანი მიაყენა ყოველივე იმას, რაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სახელით კეთდებოდა.

ამიტომ გინებითა და წიოკით კი არ ავიკლოთ წარსული, რომელზეც უა-რის თქა, როგორც ილია ამბობს: „მომსანქაცხელია ერის სულით და ხორ-ცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისასაც“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 165), არმედ გვახსოვდეს „თავურმდგენი“ ჩვენი კოლხ-იბერული მოდგმისა, მისი ერისა, კულტურისა, რწმენისა. ვესწრაფოთ მის „ქმედით გან-ფენას“ ჭეშმარიტად კულტუროსან სამყაროში. ამით მოვიპოვებთ, უფრო სწორად, ალვადგენთ იმ კონტაქტს, რომელიც როგორც მატერიალური კულ-ტურის, ასევე სულიერ-შემეცნებითი თვალსაზრისით აკავშირებს ჩვენი მოდ-გმის გენოკულტურას მონინავე ცივილიზაციებთან. მაშინ აშკარად გამოჩ-ნდება, რომ არც ერია ოდენ ტრაგიკული და არც მისი კულტურა.

* * *

ქართული მოდგმის პერიოდული ისტორიული ტრაგიზმი მაღალკულტუ-რულობის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. საერთოდაც, ის თავისთა-ვადობისთვის, თავისუფლებისთვის, ლირსეულად ცხოვრებისთვის ბრძოლის სასიათში მოცემულობის გამოხატულებაა. მაგრამ, მთლიანობაში, არ შეიძ-ლება ერის არსებობის საზრისი ტრაგიკულობა იყოს, მაშინ ისიც უნდა დაგ-ვეშვა, რომ ერი კომიკურია, თუმცა მგონი ამასაც უშვებს ფილოსოფია, როცა შემოგვთავაზა აბსურდული – „მხიარული ტრაგიკულობა“, როგორც ერის ხა-სიათის განმსაზღვრელი ცნება.

მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ ასეთ მიმართებას გენოკულტურასთან დაკავ-

შირებით, ტრაგიკულისა და კომედიურის გააზრებას ერის არსობაში, მაშინ ის უნდა განვსაჯოთ მათი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წარმოდგენების კონტექსტში, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქართველი თავისი პერიოდული ტრაგიკულობით „უადგილოდ“ კი არ უნდა იყოს „თანამედროვე სამყაროში“, არამედ ის ერთ-ერთი უნივერსალური ფენომენთაგანია თავისი ამ ტრაგიკული ბედით.

ვოლტერი ასე ხსნის ტრაგიკულისა და კომიკურის საზრისმომცველობას: ტრაგედიაში საქმე გვაქვს მაღალ ვრებებთან, საგმირო გზნებებთან, მითებიდან თუ ისტორიიდან მომდინარე დასაშვებ შესაბამისობებთან თუ შეუსაბამობებთან. ამიტომ ოიდიპოსი, ელექტრა ისევე მიეკუთვნებიან ესპანელებს, ინგლისელებს, ჩვენ (ფრანგებს, მ. ზ.), როგორც ბერძნებს, და იქვე აგრძელებს: მაგრამ კარგი კომედია – ეს ცოცხალი სურათია ნაციის სასაცილო მხარისა (თვისებებისა – მ. ზ.). ამიტომ, თუ ზედმინევნით სიღრმისეულად არ იცნობთ ამ ერს, თქვენ ვერ შეძლებთ იმსჯელოთ ამ სურათებზე, ვინაიდან ვერ აღიქვამთ მის დახვენილობას, სიმახვილეს აზრისას, ქარაგმას – გადაკვრით ლაპარაკს, თვით გადაკრულ სიტყვას თუ საკითხთა სიმწვავესა და საჭიროოროგობას.

მასასადამე, ტრაგედია უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ფენომენია როგორც ლიტერატურაში, ასევე ისტორიასა თუ რეალურ ცხოვრებაში. ამიტომ რაღა ამ ჩვენს ტრაგიკულობას ვერ გაუგო რამე ამ მაღალინტელექტულურმა თანამედროვეობამ და დაგვტოვა „უადგილოდ“?

სხვა სიპრტყეზე დგას კომედიურობა, ის წმინდად ეროვნული თავისებურებების გამოხატულებადაა მიჩნეული; შესაბამისად, მისი სრულფასოვანი გაგება გარეშეთაგან მოითხოვს ამ ერის ხასიათის, მისი ფსიქოკულტურული წყობის სიღრმისეულ ცოდნას. ამიტომ ჩვენი წამყვანების (ლექტორების) წუხილი, რომ გერმანელ მთარგმნელებს დიდი წვალებით აღუძრეს ინტერესი „სამანიშვილის დედინაცვლისადმი“, ამ კანონზომიერებით არის განპირობებული ის გარემოება, რომ მას ასე ძნელად სწვდებიან „გარეშენი“, იმის მაჩვენებლად უნდა აღიქვათ, რომ დ. კლდიაშვილის ეს ნაწარმოები „კარგი კომედია“ ყოფილა, ე. ი. ეროვნული დახვენილობის, გონის სიმახვილის, ცხოვრებისეულ სიმწვავეთა დამტევი.

ამდენად, როგორც ყოველი „ქლასიკური“ მოდგმისთვის, ქართველი ეთნოსისთვისაც „ტრაგიკულისა“ და „კომიკურის“ განცდა წარმოადგენს მისი ნაციონალური არსებობის ერთ-ერთ ნიშანს და არა მისი არსებობის წეს-ბუნებას. ამიტომ მამარდაშვილის მიერ აქსომად განსაზღვრული „ტრაგიკული ერი“ „ტრაგიკული კულტურით“, თუნდაც რებუსული „მხიარული ტრაგედიით“, ეროვნული ნიჭის დევალვირებულობის მინიშნებაა. ეს სრული უარყოფაა ეროვნული „გენისა ვითარც თვისებისა“ (გრ. რობაქიძე), რაც იმის ნიშანია, რომ, როგორც რობაქიძე გვაფრთხოებდა, ჩვენს ეროვნულ გენიას დაფერფვლის საფრთხე კარს მოსდგომია, ვინაიდან მას მოვლა მოჰქმებია. მიზეზი

ამისა ისაა, რომ უარი ეთქვა ხრტილს ქართული ბუნებისას „გაახარე-გაიხარე“, დაგმობილ იქნა თემა: „შეუწყვე ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვითონ იზრდებოდე“.

* * *

მამარდაშვილისტთა მიერ მიზანში იქნა ამოღებული ქართული ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშანი: რომ „არცერთს ერს... არ ძალუს ისეთი სისრულით იყვეს „ერთგული“, თავდადებული მეორისთვის, სხვისთვის, როგორც ქართველს; უკანასკნელი მსახურია მოყვასისა, „მსახური“, ამ სიტყვის უკეთილ-შობილეს მნშვნელობით“ (გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 23).

სწორედ რომ ამ თვისებების ამოქმედებით გახდა შესაძლებელი ქართველი ხალხის დიდი ნაწილის კონსოლიდირება ბოროტების იმპერიასთან ბრძოლაში. მიღწეულ იქნა სასწაულებრივი გამარჯვება. მთელი სამყაროს გასაცრად, კომუნისტურმა ერთპარტიულმა სისტემამ, რომელიც მაშინ შიშის ზარს სცემდა მსოფლიო დემოკრატიას, აյ იწვნია პირველი, როგორც აღმოჩნდა, მთელი სისტემისთვის გამანადგურებელი დარტყმა.

რობაქიძის პერიფრაზით თუ ვიტყვით, ქართველის „მე“ გასხივისნდა „შენ“-ში, მოქმედებაში მოვიდა ხრტილი ქართული ბუნებისა, მან ამ გამარჯვებით „გაახარა“ და იმედი ჩაუსახა ყველა იმათ, ვინც იპრძოდა ერთპარტიული დიქტატის წინააღმდეგ. ამით მოქმედებაში მოვიდა უკეთილშობილესი მეორე ნიშანიც: შეუწყვე ხელი სხვის ზრდას... მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ თავისუფალ ერთა მაგალითზე თვითონ ესწავლა და განეგრძო „ზრდა“, რათა დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი თანამედროვე სამყაროში. მაგრამ ვინ გაცალა, ფილოსოფოსმა დიდის რიხით გამოგვიცაადა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ: „თავს ქართველად ვგრძნობ, მაშასადამე, არქაული და უადგილო ვარ თანამედროვე სამყაროშიო“. ასე „აგრესიული უმეცრებით“ შემოგვიტიეს.

უბედურება ის არის, რომ, როგორც ილია ბრძანებდა: „გონიაობა, თუ სადაც მიგუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე“ და ასეც მოხდა. ამ ფანტასტიკური კონსოლიდირებისა და დიდი გამარჯვების შემდეგ, როცა მოხდა „მე“-ს გასხივისნება „შენ“-ში, ამუშავდა „გაახარე-გაახარეს“ წმინდად ეროვნული იდეა, მაშინ ამ „ქართველმა და ფილოსოფოსმა“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს, ყოველივე ეს კერპის ყოლის მოთხოვნილებად შერაცხა, შესაბამისად, იმ წარმატებაზე, რასაც ხალხმა მიაღწია – კომპარტიის დიქტატის დამარცხებაზე თქვა, „ერის გადაგვარებას მოასწავებსო“. ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვების დაახლოებით ერთი კვირის თავზე ის ამ წარმატებას ასე აფასებდა: „გაჰყეფო კომპარტიას რა ბედენაა“; ამ დიდი გამარჯვების მომზოვებელ ხალხზე კი წერდა: ის აყოლილია მავნე ჩვევებს, ყალბ პატრიოტიზმს. უკიდურესობამდე ჩამორჩენილი,

საკუთარ თავზე შეყვარებული, ამპარტაგანი; მათი რწმენით: ყველაზე კარგები, ჭკვიანები, ლამაზები არიან და სხვა კიდევ უფრო უარესი“ რამეები.... ქართველმა ერმა ჯერ უნდა ყურადღებით შეხედოს საკუთარ თავს სარკეში, შერცხვეს ტრაბახის და უსაქმურობის, თავისი მონური რეაქციებისა და სტერეოტიპების, შერცხვეს საკუთარი მკვდრების“ და ა. შ. (მ. მამარდაშვილი, კრებ., გვ. 101), ე. ი. 170 წლის განმავლობაში რაც სისახალე გამოიუგონია ქართველი მოდგმის წინააღმდეგ რუსის შოვინისტურ გონის, ყველაფერს ერთად მოუყარა თავი ამ „კრიზისში მყოფმა ჭკუაშ“ და ერს რისხვად დაატყდა თავზე. ასე მიულოცა ერთპარტიული დიქტატის დამარცხება მან ხალხს.

საყურადღებოა ის, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული პასკვილის ეს უპრეცედენტო ნიმუში, 1991 წლის 22-23 დეკემბერს, რუსულ-ქართული რევანშისტული პუტჩის დაწყების დღეს, დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, გამოაქვეყნეს გაზეთ „მამულში“ და სინამდვილეში ის გახდა პუტჩისტური ალანის სამოქმედო პროგრამა. ამიტომაც პუტჩისტურმა „მთავრობაშ“ მას ძეგლი აუგო იმელის კარებთან.

უფრო ადრე, პრეზიდენტის არჩევნებამდე, ის ნერდა: „სოციალური გამოკვლევების მიხედვით, ქართველი ხალხის უმრავლესობას პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩეა სურს. თუ ეს მოხდება, მე იძულებული ვიქენები ჩემი ხალხის წინააღმდეგ ნავიდე. არ მინდა დავივერო, რომ ეს შეიძლება მოხდეს“ (იქვე, გვ. 100). ასეთი იყო ერის „ინფერიური ნაწილის“ იდეოლოგია, რომელიც სახელმძღვანელო პროგრამად იქცა პოსტპუტჩისტურ ეპოქაში და დღემდე ხრავს ჩვენს აწმყოს, რომელმაც უნდა მოპფინოს ნათელი იმ დიად ბრძოლას, რომელმაც შეგვაძლებინა აღვევდგინა საუკუნეობით დაკარგული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ გეგმაზომიერად ანადგურებენ ერის არსებობის გენეტიკურ კოდს: „გაახარე-გაიხარეს“. სოციუმი, უფრო ფსევდოსოციუმი მოიცავა სიცარიელემ; მის „კრიზისულ გონს“ არაფერი უკვირს. მისთვის „არარაობად“ გადაქცევა ბუნებრივ მოვლენად იქცა; იგი ამ შეურაცხმყოფელი ყოფის მიმართ გულგრილი გახდა, შიშით შეჰყურებს აწმყოს და ა. შ. აი, ეს მოუტანა ხალხს ამ ფილოსოფიამ.

ამ ფსევდონტელეგტურმა ფილოსოფიამ მთლიანად გამოშიგნა გრიგოლ რობაქიძისული ჰუმანური იდეა ქართველის შინაგანი არსისა, რომელსაც გამარჯვების პროგრამად სახავდა ზვიად გამსახურდია: ის 9 აპრილი-სადმი მიძღვნილ სიტყვაში ამბობდა: „ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისკენ, საღმრთო სიყვარულისკენ, საქართველოს გზაეკლიანი გზა ქრისტეს ჯვარცმისა, დაფლვისა და გარდაუვალი აღდგომისა. ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთისყვარული, დიდი პატივა, მიტევება, რამეთუ არ არის კაცი, რომელიც ცხონდეს და არ სცოდოს. გავხედოთ ამ მძიმე გზას, რომელიც გველოდება და მოიხოვს ჩვენგან დიდ დარაზმულობას, შრომას, ურთიერთგატანას ამ უდიდეს

ჟამს“ (ზვიად გამსახურდია, ტ. III, გვ. 16, თბ. 2013 წ.). ასეთი იყო თავისუფ-ლებისთვის მეპრძოლი ერის გულისნადილი საპირისპიროდ მამარდაშვილისა და „წითელი ინტელიგენციისა“.

თუ მათ ისტორიის თეორიის თვალსაზრისით შევაფასებთ, მაშინ საკითხი დგება „ისტორიული პესიმიზმისა“ და „ისტორიული ოპტიმიზმის“ თვალსაზ-რისით, მესამე გზა აწმყოს ისტორიული გააზრებისა, უბრალოდ, არ არსებობს.

რობაქიძისეულმა გენოულტურული ოპტიმიზმის მობილიზებამ მიგვიყვანა დღიდ გამარჯვებამდე. მამარდაშვილისეულმა „დაცემული გონის“ პესი-მიზმა კა გააცადებული წარმატება და დღემდე ასამარებს გამარჯვებულების ოპტიმიზმს. თუ ჰაიდეგერის მოსაზრებას მივუსადაგებთ ჩვენში ჩა-ნერგილ ამ პესიმისტურ სასონარვეთას, დავინახავთ, რომ ხალხს ემუქრება უკანასკნელ გონითძალთა დაკარგვა, მაშასადამე, ძნელი ხდება „აწმყოს ლა-ბირინთებში ორიენტირება“.

* * *

ვოლტერს, პასკალის მაქსიმათა კრიტიკისას, ერთი ასეთი მაგალითი მოჰყვას: თუ რომელიმე მოძღვარი კათედრიდან ფრანგებს ეტყვის: „თქვენ ბინიერნი ხართ; უწესონი და უგულონი; თქვენ განადგურდით გოხშტედთან და რამილთან, იმიტომ რომ ვერ შეძელით თავის დაცვა, – მას ქვებით ჩაქო-ლავენ“ (ვოლტერი, გვ. 198). თუნდაც ზედაპირული შედარებაც კი ნათელს ხდის, რომ მამარდაშვილის მიერ დამოუკიდებლობისთვის მეპრძოლი ხალხის პირველი ბრწყინვალე გამარჯვებების პროცესში ნაქადაგები ათასჯერ უფრო მყაცრი და აუტანელია. მასზე რეაქცია კი ეფემერული იყო. დღეს კი მის „ინ-ფექციური ტუინის“ ნაყოფი ევროპასოფობის წყაროდაა გამოცხადებული.

ამდენად, „კრიზისული ცნობიერების“ ამ საძაგლობრივო განაზრებებმა, რომლის მსგავსი რამებისთვის ევროპის დღიდ ერებშიც კი თურმე ჩაქოლვას ვერ აიცდებით, ჩვენში ნოყიერი ნიადაგი პოვა; კომპარტიული და „ნითელი ინტე-ლიგენციის“ რევანშისტული ნარჩენების სახით, მათ შეუერთდა დამოუკიდებ-ლობისა და თავისუფლებისთვის მეპრძოლთა ჯერაც მოუმწიფებელი მერყევი ნაწილი, გასამხედროებული კრიმინალური ჯგუფების თანხლებით, რომლებიც საბჭოური ნომენკლატურის ხელოვნურ თანამგზავრებს წარმოადგენს. ეს პუტინისტური ალიანსი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანგრევს ეროვ-ნულ იდეოლოგიაზე გამართულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, აგებულს რობაქიძის მაქსიმაზე: შეუწყვე ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვითონ „იზრდებოდე“. ის ჩაანაცვლეს მამარდაშვილის ავადმყოფური განაზრებებით, რომ ბუნებრივად ქართველები საზოგადოებრივი სივრცისგან გამოცალკევე-ბულები, ხალხის ინტერესებისადმი ზურგშექცეულნი, „ყველა თავთავის-თვის“ არის. თურმე მისი სიხარული, გამოწვეული ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული გამარჯვებით, არაკანონიერი იყო. ჯერაც ფეხმოუკიდებელი დამოუკიდებლობის ფონზე მოაწყვეს კრიმინალური პუტინი და დაამყარეს მა-

მარდაშვილისეული თეორიის შესაბამისი საზოგადოებრივი წესი „ყველა თავისთვის“. გამეფდა სრული უკანონობა, ანარქია და ქაოსი; ზედმინევნით აღსრულდა მიმარდაშვილის კრიზისული გონის გაზრდან.

დემოკრატიისა და „მედასავლეთობის“ ნილბით შექმნეს ისეთი პლატ-ფორმა, რომელიც სახალხო რევოლუციამაც ვერ დაანგრია. ეს ცრუიდეოლო-გრური „სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა“ მთლიანად აგებულია მა-მარდაშვილისტურიანუსურ ორსახოვანებაზე, წმინდად რუსულ „ობშჩია-კურ“, გარდაქმნისეულ „დემოკრატიზმზე“ – ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი – ყალბი პროდასავლურობით შენიდბულ ფსევდოლიბერალიზმზე.

ამ პროცესში სრულად განხორციელდა „თანაარსებობის დიალექტიკა“. ისინი ფეხანყობით უტევენ ჩვენი ხასიათიდან მომდინარე ჭეშმარიტ ეროვ-ნულ ინტერესებს. ამ ე. წ. ფილოსოფიურმა განაზრებებმა მთლიანად წაბილ-ნეს ეროვნული ხასიათის ზნებორივი ნაწილი, ეროვნული ნიადაგი გამოაცა-ლა გენოკულტურაზე აგებულ ამ იდეას.

მთელი ჩვენი ცხოვრება ერთ დიდ ტყუილად იქცა.

მხოლოდ: ტყუილი... ტყუილი და კიდევ ტყუილი!

ამდენად, უარყოფილ იქნა რობაქიძისეული სიბრძნე, რომელიც ფორმულა-ში „გაახარეგაიხარე“ „სიყვარულსა და წრფელ გულს გულისხმობდა“. ქართუ-ლი მოდგმის ხასიათის ეს მთავარი არსი წარმოადგენდა თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის ბრძოლაში გამარჯვების გარანტიას. სწორედ მას შეუტიეს ფილოსოფობამა და მისმა დასმა (თანამზრახველებმა). ასე აღმოჩ-ნდა ხალხი სიბრძიყვისა და სიბრძნის სხვადასხვა სივრცეში. სიბრძიყვით შეპ-ყრობილი ირივე ხელით უარყოფინ ქართული არსების ხორცშესხმულობას, მასში დაუშრეტელი ნაციონალური ენერგიის მოცემულობასა და გამომსახვე-ლობას. ისინი ცდილობენ, ახლებურად ააღორძინონ მამარდაშვილის „ჩაქოლ-ვის ლირსი“ ნაქადაგარი. მისი გავლენა იგრძნობოდა ამ ლექციაშიც.

* * *

დღეს სიცრუეისა და ორპირობის დაღი ასვია მთელ ჩვენს ცხოვრებას. მასში გარკვევა ძალზე ძნელია ახალი თაობისთვის; ამიტომ სჭირდება ღრმა დაკვირ-ვება ყოველ სიტყვას, მიმართულს ახალგაზრდული (საგანმანათლებლო) აუდი-ტორიისადმი, რაგინდ არაკეთილი მიზნით იყოს ის თქმული. ერთია პიროვნუ-ლი პატიოსნება და ბუნებრივი გულწრფელობა და მეორე – რა სოციალურ-კულტურულ გარემოში მოხდა ამ ბუნებრივი პატიოსანი „მე“-ს ხელოვნური (კულტურულ-საგანმანათლებლო) პროცესების გავლენით განსწავლულობა. თუ ის არასწორად, არამართებულად წარიმართა, ბუნებრივად ჩამოქნილი ეს „პატიოსნება“ უფრო დამანგრეველი ხდება, ვიდრე უსინდისოთა აშეარა და ლია ცრუპენტელობა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ის შეიძლება უსიმ-პტომო კორონავირუსს შევადაროთ, რომელიც, თუ არ აღმოჩინე და არ უმ-კურნალე, აუცილებლად პანდემიად გადაიქცევა. ამ „აპოკალიფსური გონების“

ნაყოფის პანდემიად ქცევისა და მთელი ჩვენი ჯანსაღი სააზროვნო სიკრცის ხანგრძლივად დაავადების საშიშროების წინაშე ვდგავართ.

ისე გამოდის, როგორც ერთ დასავლელ მწერალს უთქვამს: სიგიუჟ არ არსებობს ან ყველანი გიუჟბი ვართ. კაცობრიობას რა დიაგნოზს დაუსვამენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის, რაც ჩვენში მოხდა და ხდება, ამას სიგიუჟ უნდა ეწოდოს – ეს ფაქტია. ამ ესე-პამცულების დაწერის მოთხოვნილება სწორედ ამ დაინფორმირებული გონების მიერ მთელი ჩვენი ეროვნული სააზროვნო სიკრცის ხანგრძლივად მონამცლის საშიშროებამ განაპირობა, როგორმე უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან, რათა ყველა ერთად არ გავგიუდეთ...

P.S.

პოლ ვალერი წერდა: ყოველთვის შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თუ ქმნი-ლება არ იძირება, მაშინ ის ძალიან ცოტათი ჰგავს იმას, რაც ავტორმა მისი აზრით დაუტოვა შთამომავლობას (პოლ. ვალერი, გვ. 48). ავტორისა და მისი შემოქმედების ურთიერთმიართების შესახებ კ. გამსახურდია კი ამბობდა: „ყოველმა შემოქმედმა უნდა შეიგნოს, რომ ავტორის ქმნილება უკანასკნელი კორექტურის შემდეგ მას აღარ ეკუთვნის (კ. გამსახურდია, ტ.VI, გვ. 606, თბ., 1963წ.). ერთიც და მეორეც არის მითითება იმაზე, რომ ნაწარმოების ნამდვილი სიცოცხლე, შეიძლება უკვდავებაც კი, მაშინ იწყება, როცა მყით-ხველნი (თაობები) მასში (მათში) დაინტებენ იმ საიდუმლოთა ამოხსნას (შეგრძნებას), რაც ავტორთა პირველგაზრებისა და პირველმიზნის მიღმა მუდამ მოიძიება მაღალშემოქმედებით ნაწარმოებში. ამიტომაცაა, რომ ეს ქმნილებები უკანასკნელი კორექტურის შემდეგ ავტორებს არ ეკუთვნიან, ან კიდევ, ცოტათი ჰგვანან იმას, რაც ავტორმა დაგვიტოვა. ისინი ხალხის გულში იდებენ ბინას; განსაკუთრებულად ამაღლებულნი ერწყმიან მათ გენოკულტურულ არსებას; გარდატყდებიან ფსიქოზნეობრივ პრიზმაში და ერის ნიჭით გასხივოსნებულნი გადაეცემიან შთამომავლობას. ამ პერმანენტულ „გადაცემას“, „მე“-დან, „შე“-ში, – ვალერი შემოქმედების დღეგრძელობას უწოდებს. მისი თქმით, „ნაწარმოები ცოცხლობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუძლია სულ სხვა რამედ ჩანდეს და არა იმად, რადაც ის შექმნა ავტორმა“ (იქვე).

ამდენად, კლასიკურ ნაწარმოებთა ახლებურად წაკითხვა და გააზრება უნდა ხდებოდეს არა ძველის „რევზირების“ მიზნით (იმ ძველში მოცემულმა გასაკრიტიკებელმა თავისი დრო მოქამა), არამედ იმ დაფარულის ძიების-თვის, რომელსაც ეს შედევრები ინახავენ თავისთ წიაღში და რომელთა არ-სებობა „ძალიან დიდხანს აზრადაც არ მოუვა ვინმეს“. აი, სად არის ასპარეზი კლასიკოსთა დიადი შემოქმედების თანამედროვეობის მოთხოვნათა თვალთა-ხედვით წაკითხვისა და გააზრებისთვის, „იმ სულ სხვა რამის აღმოჩენის-თვის“, რაც თქვენამდე აზრადაც არ მოსვლია ვინმეს.

ძველ ნარმოდგენებსა და „ამოხსნილ“ საიდუმლოებებს იმისთვის ვეხე-ბით, რომ მათი მეობებით მივიღოთ ახალი „ამონახსნები“. მაგრამ თუ ამ უც-

ნობის ამოხსნის პროცესში ძველ ფორმულებსა და თეორიებს არასწორად გა-
მოვიყენებთ, ვერასდროს მივიღებთ სწორ პასუხს, როგორც ამ ტელელექცი-
ის დროს მოუვიდათ ლექტორ-ზამყვანებს. მით უმეტეს, ამს ნუ გადავაბრა-
ლებთ ძველ განსაზღვრებებსა და აქსიომებს, რომლის არსებიც ვერ ვწვდე-
ბით; კიდევ უფრო უარესი, თუკი არც არასოდეს გვიცდია მათი შესწავლა და
სიღრმისეულად გაგება.

ამდენად, დავით კლდიაშვილის შემოქმედებისთვის „ხელის შეშველება“,
მისი რაღაც ეფემერული მტრებისგან დაცვა, ქართულ კულტურულ სივრცე-
ში მისი ლვანლის დაუფასებლობის მტკიცებულება ამ „ძველი ფორმულების“
არასწორად გამოყენების შემდეგია.

კონსტანტინე გამსახურდია თავისი შემოქმედების ზოგიერთ გზააბნე-
ულ კრიტიკოსთ მიმართავდა: „თუ ჩემ ცხენს შეშველება დასჭირდა, დე, იგი
ნურც მისულა ჰელლემდისო“ (იქვე), ასევე, ახალი თაობის მკითხველ თუ ძვე-
ლი თაობის „გამოსწორებულ“ გადამკითხველ „რევიზონისტი“, რომელთაც
მიზნად დაუსახავთ კლასიკოსთა შემოქმედების „თანამედროვე“ კონტექსტით
გააზრება, უნდა შევახსენოთ ეს მითითება, რომ ამ კლასიკოსთ არ სჭირდებათ
ხელის შეშველება. ისინი არ არიან ფერდებჩაცვინულ ჯაგლაგ ცხენებზე ამ-
ხედრებულნი, როგორც თანამედროვე კრიზისული ცნობიერების მატარებელ
„ინტელექტუალთა“ უმრავლესობა. მათი „მერნები“ მუდამ აჩენენ ნათელ
კვალს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებასა და პედისწერაში. ამ
თვალსაზრისით, ქართული ტერატურის ისტორიაში იშვიათად მოიძებნება
დავით კლდიაშვილზე უფრო „განებივრებული“ ავტორი. მას ხალხის სიყვა-
რული არც სიცოცხლეში დაჰკლებია და არც შემდეგ, ამიტომ მისთვის ხელის
შეშველება, ჩვენში დასავლეური დემოკრატიის სიმბოლოდ გამოყვანა, მის და-
უფასებლობაზე წუნუნი ისეთივე კრიზისული ცნობიერების შედეგია, როგო-
რიც მამარდაშვილის პოლიტფილოსოფიის „შედევრები“.

მუქხედავად ზემოთ თქმულისა, ამ ესეს მიზანს არ შეადგენდა კონკრე-
ტული შემოქმედებითი აქტის კრიტიკა. მოცემულ შემთხვევაში „არტარეას“
ამ ლექციაში, უარყოფით-ცნობიერ პლანს იქთ, იმდენი პრაქტიკული სიკეთე
ჩანდა, რომ არა ზოგადად დამღუპველად საშიში ფსევდოიდეური განააზრე-
ბის გაულენის ანარეკლები. ჩვენ მას ალბათ არც გავიხდიდთ ფონად, თუმცა
ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი „შეხლა-შემოხლით“ (კ. გამსახურდია) უნდა
იარსებოს ეროვნულმა შემოქმედებითმა კულტურამ, ზოგადად, სულიერმა
სამყარომ, სხვანაირად ცნობიერების ეს კრიზისი სამარეში ჩაგვიტანს.

* * *

კონსტანტინე გამსახურდია თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ წერს:
„დავა აცხოველებს ლიტერატურას საერთოდ, აღმრმავებს შემოქმედებისადმი
ინტერესს, „ის ქმნილებანი, რომელიც მძაფრ რეაგირებას არ იწვევენ, რო-

მელთაც ერთობლივი მოწონებით მიიღებენ, ერთობლივ დავიწყებას მიეცემიან ხშირად“ (იქვე, გვ. 606). აუტორი ამ „მძაფრი რეაგირებას“ და გაწევ-გამოწევის მაგალითებს გვახსენებს გენიალური შემოქმედთა ცხოვრებიდან, რომლებიც ზოგჯერ საუკუნეებსაც გადასწყდებოდა ხოლმე (ფლობერი, სტენდალი, ლევ ტოლსტოი, ბაირონ და ა. შ.), თავის საყვარელ გენიაზე კი იტყვის: „გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“ არის ... კრიტიკასთან ფარიგაობაზ“ (იქვე). ყოველივე ეს გარდაუვლად თანმდევი პროცესია შემოქმედებითი ღვაწებისა. შილერი მოუწოდებდა მწერალს: წიგნს დაწერ თუ არა, მდუმარედ გადაისროლე შენთვის უცნობი სამყაროს ოკეანეში.

სამუხაროდ, დღევანდელი კრიზისული ცხობიერებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ყოველი „დაინტერესებული“ სუბიექტი, ამ დრად კლასიკაში თუ, ზოგადად, ისტორიაში ექცეს იმას, რაც მას სურს. ეს სურვილი კიდევ წარმოშვა „კაცობრიობის ინფექციური ნაწილის“ ავადმყოფურმა მისწრაფებმა. ეს უკიცობით გათანგული ჭკუა შეპყრობილია აპოკალიფსური შიშით საკუთარ რაციონალისტურ ქმედებათა ნაყოფისადმი. „ეს შეში იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი მოწინებით იხდის ქუდს არარაობის ნინაშე“ (ე. ტრიოლე).

არარაობის ნინაშე ქუდის მოხდად გვეჩენება რობაქიძისეული ქართული ხასიათის უდიდეს მგზებარებაზე – „გახახარე-გახარე“ – უარის თქმა და იმპერიისეული კრიზისული ცხობიერების გამონაგონთა მისადაგება ქართველი ერის ბუნებისადმი, რომელიც, რობაქიძისევე თქმით, „თავმომწონეა და აქეს კიდევ უფლება თავმოწონებისა“, როგორც ეს გააკეთა ფილოსოფოსმა და რასაც მოცყვა ყოველგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსისგან დაცლილი კულტურის „სიცოცხლის მრუდის“ სასიკვდილოდ დაქანება, რასის მარადუამულ კულტუროგენურ მოცემულობათა დაქვეითება.

* * *

რაც შეეხება დავით კლიტაშვილის შემოქმედების „არტარეას“ ლექციის ფონზე გააზრებას, მათში მყარად დანერგილი სოციალური და მორალური მოტივების იქით ახალი, ნაციონალური იდენტურობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის საკითხების გამოყოფა გახდა შესაძლებელი.

რაციონალური კრიტიკის მოცემულობათა გვერდით ირაციონალურ-ფილოსოფიური გააზრებების ნინ ნამონევით ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის თვალში საცემი შტრიხები გამოიკვეთა. ე. ი. იმის მოძიება გახდა შესაძლებელი, რაც „ძალიან ცოტათი ჰგავს იმას, რაც ავტორმა დაუტოვა შთამომავლობას“.

„ესე – უპირველესად ცდას ნიშნავს“, – წერდა კ. გამსახურდია. ჩვენი პატარა ნარკვევიც ცდაა იმისა, რომ დ. კლიტაშვილის ნანარმოების თანამედროვე „ზეპოსტმოდერნისტული კრიტიკის“ გააზრების ფონზე აგვესახა ჩვენი თანამედროვეობის (დამუკადებელი ქვეყნის) სტაგნაციაში მყოფი კრიზისული ცხობიერებისთვის დამახასიათებელი სუბიექტური ავი და კარგი.

სარჩევი

ნინასი 3

თავი I

რეპლიკა „არტარეას“ ერთ ტელელექციაზე 7

1. რეპლიკის წინაისტორია
2. როიალისტი ბალზაკი და დემოკრატი კლდიაშვილი 12
3. სისასტიკის სიყვარული 18

თავი II

ეგზისტენციალური გადარჩენისათვის
ბრძოლის საზრისი დავით კლდიაშვილის
შემოქმედებაში

4. აპრიორულად გაცხადებული „ბრალდებები“ 22
5. ხალხის საუბარს მიყურადებული მწერალი 24
6. „ზედმეტი ადამიანები“ თუ ზნეობის სადარაჯოზე
მდგარი გმირები?! 26
7. კლდიაშვილის შემოქმედების საზრისმატარებელი
შტრიხები 27
8. ცხოვრების სარკე 31
9. ქვეყნის გულისტქმის შემეცნება 34
10. მწერალი „ახირებულ გმირთა“ წრეში 36
11. კლდიაშვილის გმირთა ყოველდღიური რუტინიდან
„ამოყვანაზე“ 38
12. „ახირებულობის“ ბუნება 40
13. ქართული ხასიათის ბუნებისთვის 49
14. გაცვეთილი კლასოპრივი ეტიკეტი 51
15. მეთოდური შენიშვნა კვლევის პროცესისადმი 53
16. რაციონალურ კონტექსტის მიღმა არსებულის
ახსნისთვის 54
17. მდუმარე კაროჟნა და გარინდებული საქართველო 60

| | | |
|-----|---|----|
| 18. | ეგზისტენციალური გადარჩენის გზის ძიება | 62 |
| 19. | ზნეობის ამბიონიდან მომდინარე მოვალეობის შეგრძნება | 67 |
| 20. | ნებელობის საკითხზე... | 71 |
| 21. | „დუმილისა“ და „ლაპარაკის“ ფილოსოფია..... | 75 |
| 22. | ბედისწერით შეკრული ერთობა | 78 |
| 23. | უცნაური აზრების იდალგო და ახირებული ხასიათის აზნაური | 84 |
| 24. | მწერლის ცხოვრებისეული ეპიზოდების მისტიური გააზრება | 88 |

თავი III.

მწერალი საკუთარი შემოქმედების „პედი“

| | | |
|-----|--|-----|
| 25. | გმირთა გაუბედურების წყაროზე..... | 92 |
| 26. | ავტორი თავისი ლიტერატურული შემოქმედების დაფასებაზე..... | 94 |
| 27. | მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირების გზა | 97 |
| 27. | კლდიაშვილის შემოქმედება მისი თანამედროვეთა შეფასებით..... | 100 |
| 29. | დროსა და სივრცეს აცდენილი ჭკუის სწავლა | 103 |

თავი IV.

„ნიდით ცოცხალ ფესვებს საძართველოსას“

| | | |
|-----|---|-----|
| 30. | „მე – შენის“ მიმოქცევის დარღვევა..... | 106 |
| 31. | ორი შეხედულება ქართველთა ბუნებაზე | 108 |
| 32. | ასი წლის შემდეგ „გაცოცხლებული“ იდეა | 109 |
| 33. | გარდასაქმნელი რა მჭირს | 112 |
| 34. | აბსურდულობათა მთელი გამა | 114 |



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. ჭოდიძე ქუჩაზე №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-214-2

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-33-214-2.

9 789941 332142